

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა – "განათლების მეცნიერებები"

თინათინ საბაური

მოსწავლეთა ინტერესებსა და მათ პიროვნულ მახასიათებლებს შორის
კავშირის კვლევა - პროფორიენტაციის ხელშეწყობის საშუალება

განათლების მეცნიერებების დოქტორის აკადემიური ხარისხის (PhD) მოსაპოვებლად

წარმოდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელები: რუსუდან სანაძე
განათლების მეცნიერებების დოქტორი
ასოცირებული პროფესორი, თსუ

ბერნდ-იოახიმ ერთელთი
ეკონომიკისა და განათლების მეცნიერებების დოქტორი,
ემერიტუს-პროფესორი,
დასაქმების ფედერალური სააგენტოს უნივერსიტეტი,
ქ.მანჰაიმი, გერმანია

თბილისი
2023

სარჩევი

| | |
|--|----|
| შესავალი | 1 |
| თავი I პროფორიენტაციის თეორიები და კარიერული დაგეგმვის წარმატებული მაგალითები სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე | 16 |
| 1.1 კარიერისა და პროფორიენტაციის, როგორც ტერმინის კლასიკური განსაზღვრა (განსაზღვრება) და პროფესიის კონცეფციის დეფინიცია | 16 |
| 1.2. პროფესიისა და კარიერის არჩევის თეორიები | 19 |
| 1.3. კარიერული დაგეგმვის წარმატებული მაგალითები სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე | 28 |
| 1.4 კარიერული დაგეგმვის წარმატებული მაგალითები სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე მოწყვლადი ჯგუფებისათვის (სოციალურად დაუცველი, შშმ და სსს მქონე ახაგაზრდებისათვის) | 30 |
| თავი II პროფესიული ორიენტაციის ხელშემწყობი მექანიზმებისა და კვლევების გაცნობა დასავლური გამოცდილების მაგალითზე | 34 |
| 2.1. შრომის ბაზარზე ორიენტირებული პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის ხელშემწყობი მექანიზმების გამოკვლევა გერმანიაში ჩატარებული ცალკეული კვლევების მაგალითზე | 34 |
| 2.2. პროფესიული განათლების პოპულარიზაციის წარმატებული მექანიზმები გერმანიაში | 48 |
| თავი III შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაცია | 54 |
| 3.1. პროფესიული ორიენტაციის ხელშემწყობის მექანიზმები გერმანიაში | 54 |
| 3.2. პროფესიული ორიენტაციის ხელშემწყობი მექანიზმები საქართველოში | 61 |
| თავი IV პროფორიენტაციის პროცესში მშობელთა ეფექტური და მდგრადი ჩართულობის უზრუნველყოფის ფორმები და შესაძლებლობები | 65 |
| 4.1. ხარისხის ექსი სტანდარტი მშობლებთან საგანმანათლებლო მუშაობის მიმართულებით | 65 |
| 4.2. მშობელთა ცნობიერების ამაღლება პროფესიული განათლების მხრივ სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე | 66 |

| | |
|--|-----|
| თავი V ემპირიული ნაწილი | 71 |
| 5.1 კვლევის საკითხის განსაზღვრა | 71 |
| 5.2.1 პოლიტიკურ დონეზე წარმოებული გამოკითხვის შედეგები | 77 |
| 5.2.2 ორგანიზაციულ დონეზე წარმოებული გამოკითხვის შედეგები | 83 |
| 5.2.3 საწარმოო დონეზე წარმოებული გამოკითხვის შედეგები | 86 |
| 5.2.4 ინდივიდუალურ საფეხურზე წარმოებული გამოკითხვის შედეგები | 88 |
| 5.2.5 საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა გამოკითხვა | 92 |
| 5.2.6 საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეების მშობელთა გამოკითხვა | 96 |
| 5.2.7 სტუდენტთა გამოკითხვა | 99 |
| 5.3 საკვლევი პრობლემის მოგვარების გზების მცდელობა | 109 |
| 5.3.1 მოსწავლეთა ჩართვა პრაქტიკის აქტივობებში | 109 |
| 5.4 საკვლევი პრობლემის მოგვარების მცდელობა - | 115 |
| 5.4.1 ინტერესების თვითსაკვლევი ტესტი | 115 |
| თავი VI კვლევის პროცედურა, შერჩევა და ინსტრუმენტები | 119 |
| 6.1. შერჩევა | 119 |
| 6.2. კვლევის მეთოდები და პროცედურა | 124 |
| 6.3. კვლევის შედეგების აღწერა და ანალიზი | 126 |
| 6.3.1. ინტერესებსა და პროფესიებს შორის ურთიერთმიმართება | 126 |
| 6.3.2. პიროვნულ ნიშნებსა და ინტერესებს შორის კავშირი | 137 |
| დასკვნები | 140 |
| რეკომენდაციები | 143 |
| სქემებისა და დიაგრამების სარჩევი | 148 |
| ტერმინთა განმარტებები | 162 |
| გამოყენებული ლიტერატურა: | 165 |
| დანართი 1.1 | 1.1 |

აბსტრაქტი

მოსწავლეთა ინტერესებსა და მათ პიროვნულ მახასიათებლებს შორის კავშირის კვლევა - პროფორიენტაციის ხელშეწყობის საშუალება

საკვლევი საკითხის მიმოხილვა. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ პროფესიისა და სწორი მიმართულების არჩევა დამამთავრებელი კურსის მოსწავლეთა ურთულეს და, ამავდროულად, გარდაუვალ რეალობას წარმოადგენს. დღესდღეობით უამრავი შესაძლებლობა არსებობს პროფესიის არჩევისა, თუმცადა ეს სწორი არჩევანის გაკეთებას კიდევ მეტად ართულებს. საერთო ვითარება კიდევ მეტად რთულდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა შემთხვევაში.

საკვლევი პრობლემის აქტუალობა. საქართველოში, როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყანაში, არსებული მწვავე ისტორიული, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ფონიდან გამომდინარე, პროფესიული კონსულტირება ყურადღების მიღმა დარჩა.

სისტემურად არ ხორციელდება:

- პრაქტიკის მიმართულებით მოსწავლეთა სხვადასხვა აქტივობაში ჩართვა, პროფესიული ორიენტაციის გაძლიერება და ხელშეწყობა;
- ამ მიმართულებით მოზარდების დახმარება, მათი ინტერესების სფეროს თვითგამორკვევაში, შეცნობასა და პროფესიული არჩევანის გაკეთების ხელშეწყობაში.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე: მოსწავლეთათვის პროფორიენტაციის ხელშესაწყობად შექმენით ქართულ რეალობაზე მორგებული და ადაპტირებული ინტერესების თვითსაკვლევი ტესტი, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით უზრუნველყოფს, როგორც მოსწავლეთა დახმარებას საკუთარი თავის უკეთ შეცნობასა და საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებაში, ასევე იგი დამხმარე საშუალება იქნება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მასწავლებლებისთვისაც მოსწავლეთა პროფორიენტაციის პროცესში.

პროექტის უნიკალურობა მდგომარეობს იმაში, რომ პროფორიენტაციისა და კარიერული დაგეგმარების სერვისების მიწოდება შემუშავდა საქართველოს ინფრასტრუქტურის, სამიზნე ჯგუფების მოთხოვნის, რესურსებისა და საჭიროებათა ანალიზის საფუძველზე გამოვლენილი პრიორიტეტების გათვალისწინებით.

კვლევის მიზანია:

ინტერესების თვითსაკვლევი ტესტის ქართული სამუშაო ვერსიის შექმნა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა (მე-8 - მე-11 კლასელები) მხარდაჭერა ინფორმირებული და გაცნობიერებული პროფესიული არჩევანის გაკეთების პროცესში.

კვლევის ამოცანები:

1. სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილებისა და პროფესიული კონსულტაციის თეორიული მიდგომების გაცნობა და შესწავლა;
2. ქვეყანაში არსებული სიტუაციის ანალიზი;
3. პროფესიული ორიენტაციისა და თვითსაკვლევი ინტერესების ტესტის გერმანული მოდელის დამუშავება და ქართული რეალობის შესაბამისად, ადაპტირებული ვერსიის შექმნა;
4. საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეების ინტერესებსა და მომავლის პროფესიებს შორის კორელაციის დადგენა

კვლევის მეთოდებად კვლევის პროცესში გამოყენებული იქნა რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები:

თვისებრივი კვლევის მეთოდი - სახელმწიფო, კერძო და სამოქალაქო სექტორის ხელმძღვანელ პირებთან ორგანიზაციების/დაწესებულებების ხელმძღვანელობის გამოკითხვა;

რაოდენობრივი კვლევის მეთოდის გზით გამოვკითხეთ საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეები, მათი მშობლები, მასწავლებლები, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტები.

დისერტაციის თეორიული ღირებულება: ნაშრომის ფარგლებში პირველად განხორციელდა მანჰაიმის ინტერესების ტესტისა და მიუნხენის პიროვნული ტესტის შედარებითი ანალიზი, რომელმაც მოგვცა თეორიული ჩარჩო, თუ რომელი ინტერესი რომელ პროფესიასთან გვაძლევს დადებით კორელაციას. მოსწავლეთა პიროვნული ნიშნები როგორ გავლენაშია მათ პროფესიულ ინტერესებთან.

ნაშრომის პოტენციური პრაქტიკული მნიშვნელობა: დისერტაციის ფარგლებში შეიქმნა პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სერვისის მხარდამჭერი ინსტრუმენტი, რომლის გამოყენებაც შესაძლებელი გახდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონების საჯარო და კერძო სკოლებში საბაზო და საშუალო საფეხურების მოსწავლეებთან.

საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით შედგენილი თანამედროვე, აპრობირებული და ქართულ რეალობაზე ადაპტირებული ინტერესების თვითსაკვლევი ტესტის დანერგვა დაეხმარება მოსწავლეებსა და მასწავლებლებს სწავლების საბაზო და საშუალო საფეხურზე პროფესიული ორიენტაციის პროცესში.

ნაშრომის მოკლე აღწერა: სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, 6 ძირითადი თავის, დასკვნებისა და რეკომენდაციებისაგან. პირველი თავი ეთმობა პროფესიული არჩევანის პირველი თეორიებს; მეორე თავში განხილულია შრომის ბაზარზე ორიენტირებული პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის ხელშემწყობი მექანიზმების გამოკვლევა გერმანიაში ჩატარებული ცალკეული კვლევების მაგალითზე. მესამე თავში საუბარია შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის ასპექტებზე. მეოთხე თავში მოყვანილია სხვადასხვა ქვეყნების წარმატებული მაგალითები პროფორიენტაციის პროცესში მშობელთა ეფექტური და მდგრადი ჩართულობის უზრუნველყოფის მიმართულებით. მეხუთე თავი ეთმობა ემპირიულ ნაწილს. მეექვსე თავში აღწერილია კვლევის პროცედურა, შერჩევა, ინსტრუმენტები, კვლევის მეთოდები. მეშვიდე თავში კი ვეცნობით კვლევის შედეგებს; ბოლოს კი განხილულია დასასრულს წარმოდგენილი კვლევითი ნაშრომის დასკვნები და რეკომენდაციები.

Dissertation Abstract

Research of the connection between students' interests and their personal characteristics - a means of promoting professional orientation

Research Problem. Deciding on a career path is the hardest and, at the same time, inevitable reality secondary school students may face in their final year of study. Today, there are a lot of career options, but the availability of opportunities makes it even more difficult to make the right choice. The general situation becomes even more complicated in the case of persons with special educational needs and disabilities.

Topicality of the Research Problem. In Georgia, as a post-Soviet country, due to the serious historical, political, economic, and social background, career counseling has been disregarded.

Following activities are not carried out systemically:

- Engaging students in various vocational activities, strengthening and supporting career guidance;
- Helping adolescents understand and determine their fields of interest, and make right career choices.

Novelty of the Paper is as follows: in order to support career guidance for students, we have created an Interests Test adjusted and adapted to the Georgian reality, which, based on international standards, will help students to better understand themselves and identify their strengths and weaknesses. This tool will also be a useful for teachers in general educational institutions in the process of student orientation.

The uniqueness of the project lies in the fact that the vocational and career planning services were developed based on Georgian infrastructure, demands of target groups, resources and priorities identified through the needs analysis.

The research aims to:

Create a draft of Interests Test for Georgian reality and support students (8th - 11th graders) in general educational institutions in the process of making an informed and well-reasoned career choice.

Research Objectives are:

1. Familiarisation with and studying the experience of different countries and theoretical approaches of vocational counseling;
2. Analysis of the current situation in the country;
3. Processing of the German model of vocation orientation and interests test and the creation of an adapted version in accordance with the Georgian reality;
4. To determine the correlation between the interests and future professions of primary and secondary level students.

Research methods used in the paper will include quantitative and qualitative research methods:

Qualitative research method - conducting surveys with administrations of organizations/institutions of the state, private and civil sectors;

Quantitative research method was applied for interviewing public and private school students, parents, teachers, students of professional and higher educational institutions.

Theoretical Value of the Dissertation: within the framework of the paper, a comparative analysis of the Mannheim Interests Test and the Munich Personality Test has been carried. This provided us with a theoretical framework for determining which interest correlates positively with which profession, and how students' personality traits influence their professional interests.

Practical Value of the Dissertation. Within the framework of the dissertation, a career guidance and career planning service supporting tool was created, which could be used in public and private schools of different regions of Georgia with elementary and secondary level students.

The introduction of a modern and proven Interest Test adapted to Georgian reality, which meets international standards will help students and teachers in the process of vocational orientation at the basic and secondary levels of education.

Brief Description of the Dissertation: The dissertation consists of an introduction, 6 main chapters, conclusions, and recommendations. Chapter One is devoted to the first theories of career choice. Chapter Two deals with the investigation of the mechanisms that support labor market-centered career orientation and career planning on the example of separate studies conducted in Germany. Chapter Three considers some aspects of career guidance of students with disabilities and special educational needs. Chapter Four presents successful examples of different countries in the direction of ensuring effective and sustainable involvement of parents in the process of career guidance. Chapter Five is devoted to the empirical part of the research. Chapter Six describes the research procedure, selection, tools, and research methods. In Chapter Seven we will get acquainted with the research results; Finally, the conclusions and recommendations presented at the end of the research paper are discussed.

*„ვისაც მხოლოდ ერთი არჩევანი აქვს, ის იძულების სიტუაციაშია.
ვისაც ორი არჩევანის შესაძლებლობა აქვს, ის დილემის
წინაშე იმყოფება. და ვისაც სამი არჩევანის შესაძლებლობა აქვს,
შეუძლია არჩევანის თავისუფლად გაკეთება.“*

მოშე ფელდერკრაიზი

სამეცნიერო სფერო: ფიზიკა, ფსიქოლოგია, პედაგოგიკა

შესავალი

გლობალურმა ცვლილებებმა და შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებმა საქართველო მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დააყენა. 2014 წელს ევროკავშირთან დადებული ასოცირების შეთანხმება საქართველოს შრომითი უფლებების დაცვის მიმართულებით, ყურადღებას ამახვილებს დასაქმებისადმი სტრატეგიული მიდგომების განვითარების მნიშვნელობაზე, რაც მიზნად ისახავს უფრო მეტი და უკეთესი სამუშაო ადგილების შექმნას ღირსეული შრომის პირობებით (ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის. 2014). ამ თვალსაზრისით, გლობალიზაციის ეპოქა ქმნის ახალ შესაძლებლობებს, მაგრამ ასევე შეიცავს გარკვეულ საფრთხეებსაც. საჭიროა მუდმივი მუშაობა, რომ მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული შესაძლებლობები და მოსალოდნელი საფრთხეების თავიდან აცილებისათვის გატარდეს პრევენციული ღონისძიებები. ბოლო წლებში განათლების სისტემასა და ბიზნესსექტორში გატარებული რეფორმების მიუხედავად, ქვეყანაში შრომითი რესურსების კონკურენტუნარიანობის მაჩვენებელი მაინც საგრძნობლად დაბალია. საგანმანათლებლო პროგრამების დასრულების შემდგომ კვლავ მნიშვნელოვან

შეუთავსებლობად რჩება თანხვედრა სტუდენტის შექმნილ ცოდნასა და იმ მოთხოვნებს შორის, რომელიც ფაქტობრივად არსებობს ბაზარზე.

ბოლო წლებში გატარებული რეფორმების მიუხედავად, პროფესიული განათლების სფერო მნიშვნელოვან გამოწვევების წინაშეა. პროფესიული განათლების შესახებ კანონის თანახმად, პროფესიული განათლების მთავარ მიზანს წარმოადგენს ქვეყნის უზრუნველყოფა სამუშაო ძალით, რომელიც ადგილს დაიმკვიდრებს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო შრომით ბაზარზე. გარდა ამისა, პროფესიულმა განათლებამ უნდა უზრუნველყოს ინდივიდუალური პროფესიული განათლების მყარი სისტემის შექმნა, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ბევრი მოქალაქისთვის; უნდა გაზარდოს დასაქმების მაჩვენებელი ქვეყანაში და უზრუნველყოს სოციალური დაცვის გარანტია (პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია 2013-2020).

სწავლების საფეხურიდან დასაქმებაზე გადასვლა (ტრანზიცია) ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში ერთ-ერთი კრიტიკული, დინამიკური და თანმიმდევრული პროცესია. ამ ეტაპისათვის მზაობა ადამიანში თანდათან ჩნდება, რაც გულისხმობს საკუთარი მიღწევების შეჯამებასა და გადაფასებას; ინტერესებში გარკვევასა და სურვილების ფორმულირებას; მომავლის მოწყობის სხვადასხვა არსებული შესაძლებლობის გაცნობას, საკუთარი შესაძლებლობების აწონ-დაწონასა და, შესაბამისად, ინფორმირებული არჩევანის გაკეთებას. ხშირ შემთხვევაში ადამიანი ამას დამოუკიდებლად, ხანდახან საკმაოდ სპონტანურად და ერთი შეხედვით, შეუმჩნევლადაც აკეთებს. თუმცა, ზოგჯერ, აღწერილი პროცესის უმტკივნეულოდ და წარმატებით გასავლელად შესაბამისი მხარდაჭერაა საჭირო. მნიშვნელოვანია, რომ ასეთი მხარდაჭერა ხელმისაწვდომი იყოს ყველასათვის, რაც, შესაბამისად, საჭირო დროისა და რესურსის გამონახვას, წინასწარ დაგეგმვასა და განსაკუთრებულ ორგანიზებას მოითხოვს (რუხაძე 2016,11).

იმისთვის, რომ ერთმანეთს დაემთხვეს შრომის ბაზრის მოთხოვნები, კერძო სექტორისა და დაუსაქმებელ კურსდამთავრებულთა ინტერესები, უნდა შეიცვალოს პროფესიულ

ორიენტაციასთან დაკავშირებული და პროფესიული განათლების სფეროში დამკვიდრებული პარადიგმები. ამისათვის კი ხელი უნდა შეეწყოს ტრანზიციის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებსა და შრომის ბაზარს შორის. ეს კი პროფესიული არჩევანის კონსულტირებისას პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტების პრეროგატივაა.

კონსულტირება განათლებაში, პროფესიასა და დასაქმებაში დღესდღეობით სტრატეგიული ფაქტორი გახლავთ არა მხოლოდ ინდივიდუალური პროფესიული განვითარების შესახებ ხელშეწყობის, არამედ მომავალში მთლიანად ეკონომიკური და საზოგადოებრივი სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნების უზრუნველსაყოფად.

ევროპის მასშტაბით ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ჩატარებული არაერთი კვლევა და რეკომენდაცია ყურადღებას ამახვილებს განათლებაში, პროფესიასა და დასაქმებაში კონსულტაციის მიზნებისა და ამოცანათა პარამეტრების განსაზღვრასა და პრობლემების იდენტიფიცირებაზე. დიდი ყურადღება ეთმობა კონსულტანტების კომპეტენციებისა და უსაფრთხოების სტანდარტებსა განსაზღვრას, ასევე ინფორმირებისა და კონსულტაციის ეფექტური მეთოდების ჩამოყალიბებას, კონსულტანტის მომსახურების ხარისხის მენეჯმენტისთვის ეფექტური მეთოდების შემუშავებას, კონსულტირების სამართლებრივ-ინსტიტუციურ ინტეგრირებას საჯარო და კერძო მომსახურებასა და განათლების სამინისტროსთან.

პროფესიული არჩევანი არის საზოგადოებრივი და ინდივიდუალური ფენომენი და მოიცავს სამეცნიერო და პარადიგმატულ ასპექტებს. იგი გულისხმობს საკუთარი უნარებისა და შესაძლებლობებისა გააზრების პროცესს, განსხვავებული პირობებისა და ალტერნატივების შესწავლას. პროფესიული არჩევანი შედგება შემდეგი აქტივობებისგან: ინფორმაციის მიწოდება, კონსულტირება, კომპეტენციების შეფასება, გადაწყვეტილების უნარების განვითარება და კარიერის დაგეგმვა.

ევროკავშირის კომისიამ პროგრამა - მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის (LLL) ფარგლებში ხელი შეუწყო პროექტის „ Network for Innovation in Career Guidance and Counselling in Europe“ (NICE) - „ევროპაში კარიერის დაგეგმვასა და კონსულტაციაში ინოვაციების ქსელის“ განხორციელებას, რომლის ფარგლებშიც გაერთიანდა 40-ზე მეტი უმაღლესი სასწავლებელი ევროპაში კონსულტაციის ხარისხისა და პროფესიონალიზმის ხელშესაწყობად.

პროფესიულ საკითხებთან დაკავშირებით, როგორებიცაა მომავლის პროფესიის არჩევა, საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება, საკუთარ ინტერესებსა და მიდრეკილებებში გარკვევა, სამუშაოს მოთხოვნების გაცნობა და ა. შ. ახალგაზრდებსა და ზრდასრულთათვის კონსულტირების საჭიროება ცხოვრების სხვადასხვა ფაზაში შეიძლება დადგეს დღის წესრიგში: საბაზო საფეხურის დასრულების შემდეგ, სკოლის დამთავრებისას, პროფესიული კარიერის დაწყებისას, სამუშაო ადგილის შეცვლისას, კარიერის დაგეგმვისას, დაოჯახების შემდგომ, მოსალოდნელი ან არსებული უმუშევრობისას. ამ ჩამონათვალიდან ნებისმიერი შეიძლება გახდეს მიზეზი, რომლის გამოც როგორც ახალგაზრდები, ისე ზრდასრულები, პროფესიონალი კონსულტანტების დახმარებას საჭიროებენ.

პროფესიული კონსულტირებისას ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს პროფესიული პროფილი წარმოადგენს. იგი დამხმარე საშუალებაა პროფესიის არჩევისას. საჭიროა, რომ სამუშაოს მაძიებელმა მიაღწიოს გააზრებულ და გაცნობიერებულ კარიერულ შესაძლებლობებს, ისე, რომ მისი ინტერესები და მიდრეკილებები არ იყოს დათრგუნული. მნიშვნელოვანია, რომ სამუშაოს მაძიებელს კონსულტირებისას ჰქონდეს შეუზღუდავი უფლებამოსილება და არჩევანის თავისუფლება. პროფესიული პროფილის მიზანია პირადი ინფორმირებულობა, შესაძლებლობების გააზრება და ბაზარზე არსებული პოტენციური ხელისშემშლელი ფაქტორების განსაზღვრა. პროფესიული პროფილის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს შრომის ბაზარზე მდგრადი ინტეგრაცია და მოძიებული სამუშაოს შენარჩუნება განაპირობებს.

საკვლევი პრობლემა. სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის დამთავრების შემდეგ პროფესიისა და სწორი მიმართულების არჩევა დამამთავრებელი კურსის მოსწავლეთა ურთულეს და, ამავდროულად, გარდაუვალ რეალობას წარმოადგენს. დღესდღეობით პროფესიის არჩევის უამრავი შესაძლებლობა არსებობს, თუმცა ეს სწორი არჩევანის გაკეთებას უფრო მეტად ართულებს. უმაღლეს სასწავლებელში სწავლის დაწყებამდე ისმის ლოგიკური კითხვა: ღირს თუ არა სწავლის გაგრძელება? რატომ უნდა გავაგრძელო სწავლა? რა განსხვავებაა უმაღლეს სასწავლებელსა და პროფესიულ სასწავლებლებს შორის? ხშირად პასუხგაუცემელი კითხვების რაოდენობა კვლავ არ მცირდება სწავლის პროცესშიც კი: რა უფლებები და მოვალეობები მაქვს მე, როგორც სტუდენტს? ამ საკითხების/დებულების ნათელსაყოფად ქვემოთ მოცემული გვაქვს სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისა და სტუდენტების გამოკითხვის შედეგები, სადაც ჩანს მოსწავლეთა და სტუდენტთა შემაფერხებელი ფაქტორები და მთელი რიგი კითხვის ნიშნები პროფესიების არჩევის პროცესში.

„ფორმალური განათლების შედარებით მაღალი დონის მიუხედავად, უნარების შეუსაბამობა და კურსდამთავრებულების შრომის ბაზარზე გადასვლა მნიშვნელოვანი გამოწვევაა. 15-დან 24 წლამდე ასაკის ახალგაზრდებს შორის ყოველი მეოთხე არ სწავლობს, არ არის დასაქმებული და არც გადამზადებას გადის. როგორც ზოგადი, ისე პროფესიული და უმაღლესი განათლების კურსდამთავრებულებს ხვდებათ სირთულეები შრომის ბაზარზე გადასვლის პროცესში კურსდამთავრებულთა შორის მაღალია როგორც უმუშევრობის (5%), ისე კვალიფიკაციის შეუსაბამო დასაქმების მაჩვენებელი (25%)“ (ევროპის განათლების ფონდი, 2019).

საერთო ვითარება კიდევ მეტად რთულდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა შემთხვევაში. ცხადია, ისინი ტიპური განვითარების მქონე ადამიანებთან შედარებით, კიდევ უფრო მეტი რისკისა და პრობლემების წინაშე იმყოფებიან. როგორ უნდა ხდებოდეს სსსმ პირთა პროფესიული არჩევანის გაკეთება, მათი უმაღლეს თუ პროფესიულ სასწავლებლებში

მიღება, ისე, რომ არ დაირღვეს მათი უმთავრესი მოქალაქეობრივი უფლება – სწავლის უფლება?

დღეს პროფესიული განათლების მომსახურების ხარისხსა და მნიშვნელობაზე განსაკუთრებული აქცენტები კეთდება. ამ მიმართულებით დიდი ყურადღება ექცევა დასაქმების სფეროს შესახებ ინფორმირებულობას.

პროფორიენტაციული მომსახურება ხელმისაწვდომი უნდა იყოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში საბაზო და საშუალო საფეხურებზე; პროფესიული განათლების დაწყებამდე, სწავლის პროცესში და სწავლის დასრულების შემდეგ. მან ხელი უნდა შეუწყოს ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებას, სწავლის მიტოვების მაჩვენებლის შემცირებას, პროფესიული არჩევანით კმაყოფილებას, დაფინანსების ეფექტურ განკარგვას, დასაქმებას და სხვა (საქართველოს პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგია 2013-2020 წლები).

საკვლევი პრობლემის აქტუალობა. საქართველოში, როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყანაში, არსებული მწვავე ისტორიული, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ფონიდან გამომდინარე, პროფესიული კონსულტირება წლების განმავლობაში ყურადღების მიღმა იყო დარჩენილი. განვითარებულმა ქვეყნებმა და განვითარებადი ქვეყნების დიდმა ნაწილმა უკვე მკაფიოდ გააცნობიერეს, რომ სახელმწიფო პროგრესის მთავარი დასაყრდენი ადამიანური კაპიტალია, ამიტომ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, ერთი მხრივ, ადამიანური რესურსების დაგეგმვას და, მეორე მხრივ, ადამიანური რესურსების განვითარებისათვის მდგრადი პირობების შექმნას. ამ მიზნის მისაღწევად კი პროფესიული კონსულტაციისა და კარიერის დაგეგმვის როლი განუზომლად დიდია. ამ გამოწვევის შესახებ ვკითხულობთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების 2020-2023 წლების ერთიან ეროვნულ სტრატეგიაშიც:

„სწავლებიდან სამუშაოზე გადასვლის მხარდამჭერი ღონისძიებები შეზღუდულია, მათ შორის, კარიერული კონსულტაცია. ბავშვები და ახალგაზრდები არასაკმარისად არიან ინფორმირებული შრომის ბაზრის მოთხოვნების შესახებ. ახალგაზრდობის სააგენტოს მიერ 2020 წელს ჩატარებულმა კვლევამ, შემდეგი ტენდენციები გამოავლინა:

გამოკითხული 18-25 წლის ახალგაზრდების ნახევარი - 50%, ხოლო 26-29 წლის ახალგაზრდების 31% არ არის დასაქმებული და ეძებს სამსახურს. როგორც პროფესიული სტუდენტები ფიქრობენ, ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი უნარ-ჩვევებისა (26%) და დასაქმების სერვისების არ არსებობაა (25%); კურსდამთავრებულები ფიქრობენ, რომ მათი უმუშევრობის მიზეზი დასაქმების სერვისებისა (37%) და ნაცნობების/ნათესავების არარსებობაა (23%), ხოლო დაახლოებით 1/3-ს არ სურს დასაქმება (32%) ან არ აქვს კონკრეტული მიზეზი (21%)“ („ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდების საქმირობების კვლევა 2020“, ახალგაზრდობის სააგენტო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგია 2022-2023).

ამ მიმართულებით საქართველო რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დგას:

- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში პროფორიენტაციის გაკვეთილებს არ ეთმობა სათანადო ყურადღება. არ არის საკმარისი მე-9, მე-11 კლასებში წელიწადში მხოლოდ 8 საათის გამოყოფა. პროფორიენტაცია, როგორც გაკვეთილი, არ ზის საგაკვეთილო ბადეში, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი თვეში ერთხელ მხოლოდ თავისუფალი დასწრების საფუძველზე მემვიდე გაკვეთილად უტარდებათ მოსწავლეებს. არ ხორციელდება პროფორიენტაციის გაკვეთილებზე მიწოდებული თეორიული მასალის პრაქტიკულად გაცნობა; მოსწავლეებს არ ეძლევათ საშუალება, სხვადასხვა პროფესიების ადგილზე მოსინჯვისა და მათი პრაქტიკულად გაცნობისა. როგორც წესი, სკოლის ბიუჯეტიდან ვერ ხერხდება თანხის გამოყოფა მოსწავლეების პროფესიულ ექსკურსიებსა და საწარმოო პრაქტიკაზე პროფესიების მოსინჯვის მიზნით ვიზიტების განსახორციელებლად .
- მცირეა იმ დასაქმებულ პირთა რიცხვი, რომლებიც საკუთარი პროფესიით მუშაობენ. უმთავრესად ეს არის „გვერდითი“ ან შემთხვევითი დასაქმების არეალები, სადაც ამ ადამიანებს უწევთ მოღვაწეობა. ასეთ ვითარებაში რთულია სამსახურის შენარჩუნება იმ მოქალაქეთათვის, რომლებიც თავიანთი პროფესიისა და კვალიფიკაციის მიხედვით არ მუშაობენ. ხშირად ნაკლები

კომპეტენცია ნაკლებ მოტივაციასთან ასოცირდება და ისინი მუდამ ახალი, „მათზე მორგებული“ სამსახურის ძიებით არიან დაკავებული.

- მაღალია უნივერსიტეტიდან უნივერსიტეტში და ფაკულტეტიდან ფაკულტეტზე მობილობის სტატისტიკა. ეს მაჩვენებელი, ცხადია, ცუდ გავლენას ახდენს არა მხოლოდ სტუდენტების პროფესიონალად ჩამოყალიბებაზე, არამედ მათი ან მათი მშობლების ბიუჯეტსა და მატერიალურ მდგომარეობაზე. განათლებისათვის არაეფექტიანად დახარჯული სახსრები კი ცხადია, ნეგატიურად აისახება სახელმწიფოს ეკონომიკაზე.
- კონსულტაციისა და კარიერის დაგეგმვის მნიშვნელობა ქვეყანაში სათანადოდ არ არის გაცნობიერებული. ამასთანავე, დაბალია საზოგადოების ინფორმირებულობა მიმდინარე და განხორციელებული პროფესიული კონსულტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროექტებზე; ქვეყანაში პროფესიული კონსულტაციისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების განვითარების ერთ-ერთ მთავარ შემაფერხებელ ფაქტორს კვალიფიციური პროფესიული კონსულტანტების არარსებობა წარმოადგენს, რაც, თავის მხრივ, ამ მიმართულებით საგანმანათლებლო შესაძლებლობების სიმწირით არის განპირობებული.
- არ არსებობს პროფესიული კონსულტირების ტრადიცია და პრაქტიკული გამოცდილება, რაც ზღუდავს შრომის ბაზარზე არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობას.
- არ ხდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთათვის პროფორიენტაციის რელევანტური სერვისის შეთავაზება. არ არსებობს ამ პირთა საჭიროებებსა და მიდრეკილებებზე მორგებული ინტერესების საკვლევ ტესტი, რომლის დახმარებითაც, ეს ადამიანები შეძლებენ გაცნობიერებული, ინფორმირებული არჩევანის გაკეთებას.

- გაუმართავია შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემა. 2016 წლის ჯანდაცვის სამინისტროს მცდელობა ამ ტიპის სისტემის შექმნისა, რომელიც „ერთი ფანჯრის“ პრინციპზე იმუშავებდა და შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირებზე სრულად იქნებოდა ადაპტირებული, სამწუხაროდ, წარუმატებელი გამოდგა. შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის არსებობის გარეშე კი ეფექტური პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის მომსახურება წარმოუდგენელია. მნიშვნელოვანია, ისეთი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, როგორცაა:

ა) პროფესიული განათლების სისტემის რაოდენობრივი და თვისებრივი მახასიათებლები - როგორი კვალიფიკაციის და რამდენი ადამიანი იღებს პროფესიულ განათლებას;

ბ) მოთხოვნა შრომის ბაზარზე – რა სახის პროფესიაზეა მოთხოვნა, სად და როდის, მოკლე თუ გრძელვადიანი და ა. შ;

გ) შრომის ბაზრის ზოგადი და სპეციფიკური კვლევის შედეგები, როგორც მოთხოვნის, ისე მიწოდების მხარის კვლევა;

ნაშრომის მეცნიერული სიახლე. მოსწავლეთათვის პროფორიენტაციის ხელშესაწყობად შეიქმნა ქართულ რეალობაზე მორგებული და ადაპტირებული ინტერესების თვითსაკვლევ ტესტი, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით, უზრუნველყოფს მათ დახმარებას საკუთარი თავის უკეთ შეცნობასა და საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებაში. კვლევის ფარგლებში განისაზღვრა, რა მიმართებაა გარკვეულ პროფესიებსა და მოსწავლეთა ინტერესებს შორის; ინტერესთა რომელი სფერო რომელ პროფესიებთან გვაძლევს დადებით კორელაციას. კვლევის შედეგების ანალიზმა მოგვცა შესაძლებლობა, დაგვედგინა, მოსწავლეები, რომელთაც კონკრეტული სფეროსადმი ინტერესები ამოძრავებთ, რომელ პროფესიებში იქნებიან უფრო წარმატებულნი, სად შეძლებენ საკუთარი ძლიერი მხარეებისა და პოტენციალის მეტად წარმოჩენას და სად გაუმკლავდებიან უფრო ადვილად პროფესიულ გამოწვევებს.

შესაბამისად, კვლევის შედეგების შეჯამება დაგვეხმარა იმის დადგენაში, თუ რომელი ინტერესი რომელ პროფესიაში განაპირობებს უკეთეს პროფესიონალად და უკეთეს კვალიფიციურ კადრად ჩამოყალიბების ფაქტორს.

ამისათვის თავდაპირველად ჩავატარეთ საჭიროებების ანალიზი - კვლევა, რომელმაც გამოავლინა პროფორიენტაციისა და კარიერული კონსულტანტის პროფესიის მახასიათებლები, განსაზღვრა მათი საჭიროება, მათი დასაქმების სფეროები და არეალი.

პროექტის უნიკალურობა მდგომარეობს იმაში, რომ პროფორიენტაციისა და კარიერული დაგეგმარების სერვისების მიწოდება შემუშავდება საქართველოს ინფრასტრუქტურის, სამიზნე ჯგუფების მოთხოვნის, რესურსებისა და საჭიროებათა ანალიზის საფუძველზე გამოვლენილი პრიორიტეტების გათვალისწინებით.

კვლევის მიზანია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა მხარდაჭერა პროფესიული ორიენტაციის ფაზაში. კერძოდ, ინტერესების თვითსაკვლევი ტესტის ქართული სამუშაო ვერსიის შექმნა და მისი დახმარებით, მოსწავლეთა ხელშეწყობა ინფორმირებული და გაცნობიერებული პროფესიული არჩევანის გაკეთების პროცესში.

კვლევის ამოცანები. კვლევის ფარგლებში გათვალისწინებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით, შესრულებული იქნება შემდეგი ამოცანები, რომლებიც გაწერილი სამუშაოების მიხედვით დაიყოფა შემდეგნაირად:

1. სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილებისა და პროფესიული კონსულტაციის თეორიული მიდგომების გაცნობა და შესწავლა;
2. პროფესიული ორიენტაციისა და თვითსაკვლევი ინტერესების ტესტის გერმანული მოდელის დამუშავება და ქართული რეალობის შესაბამისად, ადაპტირებული ვერსიის შექმნა;
 - ინსტრუმენტის თარგმნა/უკუთარგმნა

- ექსპერტების მიერ შინაარსის ვალიდობის შეფასება
- კითხვარის პილოტაჟი
- კითხვარის რედაქტირება
- კითხვარის ფსიქომეტრიული მახასიათებლების დადგენა

3. საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეების ინტერესების, სასურველი პროფესიებისა და პიროვნული თავისებურებების მაჩვენებლების დადგენა და ამ სამ ცვლადს შორის ურთიერთმიმართების ბუნების კვლევა.

4. ქვეყანაში არსებული სიტუაციის ანალიზი. მიმდინარე სიტუაციის ანალიზი საშუალებას მოგვცემს, გაირკვეს, რა ხარვეზებია პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სერვისის ფარგლებში საქართველოში და როგორია მათი გაუმჯობესების ტენდენციები. საჭიროების ანალიზის განსაზღვრისათვის კვლევას ჩავატარებთ შემდეგ საფეხურებზე:

4.1 **ინდივიდუალური** - სამიზნე ჯგუფი: სკოლის მოსწავლეები, პროფესიული კოლეჯის სტუდენტები, მშობლები, პედაგოგები, ზრდასრულები. გამოვიყენებთ რაოდენობრივი კვლევის მეთოდს კითხვარების სახით.

4.2 **საწარმოო** - სამიზნე ჯგუფი: საწარმოები, კომპანიები. გამოვიყენებთ ჩადრმავებულ ინტერვიუს.

4.3 **ორგანიზაციული** - სამიზნე ჯგუფი: სკოლები, უნივერსიტეტები, პროფესიული კოლეჯები, დასაქმების სააგენტოები, პროფესიული კავშირები. ინფორმაციის მოძიებისას გამოვიყენებთ ჩადრმავებულ ინტერვიუს დირექტორებთან, საუნივერსიტეტო პროგრამების, მიმართულებების ხელმძღვანელებთან.

4.4 **პოლიტიკურ დონეზე** - სამიზნე ჯგუფი: სამინისტროები, დამსაქმებელთა ასოციაციები, საერთაშორისო ფონდები. წარვმართავთ ჩადრმავებულ ინტერვიუს ზემდგომ ორგანოებში წამყვან თანამდებობების პირებთან.

5. საზღვარგარეთის გამოცდილების მოძიება. საინტერესოა, რა კვლევები უძღოდა ევროპის ცალკეულ ქვეყნებში პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სერვისის ჩამოყალიბებასა და დანერგვას წინ.
6. პროფესიული განათლებისა და გადამზადების შესაძლებლობებისა და პერსპექტივების განსაზღვრა საქართველოში. ამ კუთხით საინტერესოა, რამდენად ხდება საქართველოში შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და შრომითი რესურსის კვალიფიკაციის თანხვედრა. რა პერსპექტივებს ჰპირდება ქვეყანას დუალური პროფესიული განათლების დანერგვა და რა მოსალოდნელი გამოწვევების წინაშე შეძლება დადგეს კერძო სექტორისა და საწარმოების არასათანადო დონეზე ჩარევის შემთხვევაში სახელმწიფო?
7. პროფესიული განათლებისა და გადამზადების შედარებითი ანალიზი გერმანიის მაგალითზე. მოგეხსენებათ, გერმანიას მსოფლიოში წამყვანი პოზიცია უჭირავს დუალური პროფესიული განათლების სისტემისა და პროფესიულ განათლებაში ჩართულ სპეციალისტთა მომზადების კუთხით. გავსაუბრებთ გერმანელ ექსპერტებს, პროფესიონალებს, სპეციალისტებს. ქ. მანჰაიმის შრომისა და დასაქმების ფედერალურ ინსტიტუტში. მოგეხსენებათ, ეს ინსტიტუტი გახლავთ მსოფლიოში მე-4 სასწავლებელი ჰარვარდის, ლონდონისა და პარიზის უმაღლეს სასწავლებლებს შემდგომ პროფესიულ განათლებაში ჩართული კადრის სპეციალიზირების კუთხით (https://www.hdwm.de/microsite/ba-soziale-arbeit?gclid=Cj0KCQjwteOaBhDuARIsADBqReiXjeUJxrVrkFuOOuGXEFivC_pRXerwgc_iYWSPD34MbswLt-BDWA9UaAtYNEALw_wcB).
8. პროფესიული ორიენტაციისა და თვითსაკვლევი ინტერესების გერმანული მოდელის გაცნობა, დამუშავება და ქართული სივრცის შესაბამისად, ადაპტირებული ვერსიის შექმნა, რაც საწინდარი იქნება კონკურენტული, კვალიფიციური კადრის შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნილებებზე ორიენტირებული მოქალაქეების აღზრდისა.

9. სანდო და ვალიდური, სტანდარტების შესაბამისი ფსიქოლოგიურ-დიაგნოსტიკური ინსტრუმენტების შექმნა. ე.წ. «ინტერესების ტესტის» თარგმნა, ადაპტაცია და დამხმარე შესაფასებელი სისტემის შექმნა.
10. კვლევის შედეგების ანალიზი და იმპლიკაციები; მეცნიერულად დასაბუთებული დასკვნების შემუშავება; რეკომენდაციების გაწერა;

კვლევის საგანი გახლავთ - პროფესიული ორიენტაციის პროცესის გაუმჯობესების სტრატეგიების შემუშავება;

კვლევის ობიექტი: პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის შესწავლის არსი და განვითარების საკითხი.

კვლევის სამიზნე ჯგუფებია:

- ა) საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები;
- ბ) მშობლები;
- ბ) სტუდენტები;

კვლევის მეთოდებად კვლევის პროცესში გამოყენებული იქნა რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები:

თვისებრივი კვლევის მეთოდი - სახელმწიფო, კერძო და სამოქალაქო სექტორის ხელმძღვანელ პირებთან ორგანიზაციების/დაწესებულებების ხელმძღვანელობის გამოკითხვა;

რაოდენობრივი კვლევის მეთოდის გზით გამოვკითხეთ საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეები, მათი მშობლები, მასწავლებლები, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტები.

დისერტაციის ფარგლებში განხორციელებული კვლევის შედეგები. დისერტაციის ფარგლებში შეიქმნა პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სერვისის მხარდამჭერი ინსტრუმენტი, რომლის აპრობირებაც შესაძლებელი გახდა საქართველოს

სხვადასხვა რეგიონების საჯარო და კერძო სკოლებში საბაზო და საშუალო საფეხურების მოსწავლეებთან.

კარიერული დაგეგმარების კარგად ჩამოყალიბებულ სისტემას შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს შრომის ბაზრის დინამიკაში, უმუშევრობის პრევენციის ან შემცირების გზით, შრომის ბაზრის მოთხოვნა-მიწოდების რეგულირებით, ადამიანური რესურსების განვითარებით და განათლების სისტემისა და შრომის ბაზრის დაკავშირებით. კარიერულ დაგეგმარებას, ასევე, შეუძლია, დაგვეხმაროს სოციალური თანასწორობის მიზნის მიღწევაში, როგორცაა დაუცველი ჯგუფების სოციალური ჩართულობის გაზრდა. პროფესიულ კონსულტაციებს დიდი როლი აკისრიათ ამ გამოწვევის წინაშე, რომ ყველა სამიზნე ჯგუფისთვის ხელმისაწვდომი იყოს კარიერული დაგეგმარების უწყვეტი მომსახურება საქართველოში (კარიერის დაგეგმვის სახელმძღვანელო. 2015).

აკადემიური კვალიფიკაციების ჰარმონიზების გვერდით პროექტის შედეგები უზრუნველყოფენ პროფესიული განათლების სფეროში არსებული სასწავლო კურსების გამჭვირვალობას, პროფესიული კონსულტირების ფარგლებში სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების საერთაშორისო მობილობის გაზრდას, ასევე საუნივერსიტეტო განათლების ხარისხისა და პროფორიენტაციის სპეციალისტთა დასაქმების პერსპექტივის გაუმჯობესებას. კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე შემუშავდება მოსწავლეთა ინტერესებისა და პიროვნული მახასიათებლების თვითსაკვლევი ტესტი კონსულტირების პროცესის პროფესიულ დონეზე წარსამართავად. ქვეყანაში საჭიროებათა ანალიზსა და კვლევაზე დაფუძნებული პროფესიული ორიენტაციის სერვისის გაუმჯობესების მცდელობა ხელს უთუოდ შეუწყობს საქართველოს კვალიფიციური შრომითი რესურსების კონკურენტუნარიანობის გაზრდასა და მათი შრომის ბაზრის მოთხოვნილებებზე პროფესიონალიზებას.

ნაშრომის მოკლე აღწერა: სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, 7 ძირითადი თავის, დასკვნებისა და რეკომენდაციებისაგან. პირველი თავი ეთმობა - ლიტერატურის

მიმოხილვას; პროფესიული არჩევანის პირველ თეორიებს ამერიკასა და შვედეთში; მეორე თავში განხილულია შრომის ბაზარზე ორიენტირებული პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის ხელშემწყობი მექანიზმების გამოკვლევა გერმანიაში ჩატარებული ცალკეული კვლევების მაგალითზე. მესამე თავში საუბარია შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის ასპექტებზე. მეოთხე თავში მოყვანილია სხვადასხვა ქვეყნების წარმატებული მაგალითები პროფორიენტაციის პროცესში მშობელთა ეფექტური და მდგრადი ჩართულობის უზრუნველყოფის მიმართულებით. მეხუთე თავში საუბარია ქვეყანაში არსებული სიტუაციის ანალიზზე. მეექვსე თავში აღწერილია კვლევის პროცედურა, შერჩევა, ინსტრუმენტები, კვლევის მეთოდები. მეშვიდე თავში კი გავცნობით კვლევის შედეგებსა და ანალიზს; მოსწავლეთა ინტერესებსა და პროფესიებს შორის ურთიერთმიმართებას და პიროვნულ ნიშნებსა და ინტერესებს შორის კავშირს; ხოლო დასკვნით ნაწილში კი განხილულია წარმოდგენილი კვლევითი ნაშრომის დასკვნები და რეკომენდაციები.

თავი I

პროფორიენტაციის თეორიები და კარიერული დაგეგმვის წარმატებული მაგალითები სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე

„ ჩვენს უნარებზე უფრო ბევრად მნიშვნელოვანი ჩვენი გადაწყვეტილებებია (...), ისინი აჩვენებენ, ჩვენ სინამდვილეში ვინ ვართ“.
(ჯოან როულინგი)

1.1 კარიერისა და პროფორიენტაციის, როგორც ტერმინის კლასიკური განსაზღვრა (განსაზღვრება) და პროფესიის კონცეფციის დეფინიცია

პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის, როგორც პედაგოგიკის, ფსიქოლოგიის, სამართლისა და ეკონომიკის მეცნიერებათა გზაჯვარედინზე აღმოცენებული დისციპლინის როლი განმსაზღვრელია XXI-ე საუკუნის ახალგაზრდებისათვის პროფესიული არჩევანის გაკეთების პროცესში.

აღსანიშნავია, ის გარემოება, რომ პროფორიენტაციისა და კარიერის კონცეფციამ ფართო გზა განვლო, სანამ თანამედროვე სისტემურ და კონსტრუქციულ განსაზღვრებად ჩამოყალიბდებოდა. სიტყვა „კარიერა“ მომდინარეობს ლათინური სიტყვისგან “carrus” (Wagen), რომელიც ითარგმნება, როგორც ავტომობილი, გადაადგილების საშუალება. თანამედროვე გაგებით სიტყვა “კარიერა” მოდის ფრანგული სიტყვიდან - „Carrière და ითარგმნება, როგორც ცხოვრების გზა, პროფესიული განვითარება. მე-18 საუკუნეში კარიერა ნიშნავდა სარბენ გზას (Rennbann), იზოდრომს, რასაც ამ სიტყვის დღევანდელ მნიშვნელობასთან არანაირი შეხება აღარ აქვს (Lüdemann 2009, 13).

როგორც სამოქალაქო განათლების ლექსიკონში ვკითხულობთ, პროფესიას სამგვარი განმარტება აქვს. პროფესია არის:

1. *„შეძენილი (დასწავლის შედეგად მიღებული) უნარებისა და ჩვევების ერთობლიობა, რომელიც საჭიროა სპეციფიკური სამუშაოს შესასრულებლად და რომელიც ინდივიდს ათვისებული აქვს. პროფესიების წარმოშობა დაკავშირებულია შრომის საზოგადოებრივ დანაწილებასთან. მაქს ვებერის თანახმად, პროფესია არის ცხოვრების ხანგრძლივად უზრუნველყოფის, ნივთებისა და საარსებო საშუალებების შეძენის მანსების საფუძველი. სიტყვა პროფესიის შინაარსი, ვებერის თანახმად, უკავშირდება პიროვნულ პასუხისმგებლობას“.*¹
2. *„ცოდნის, უნარ-ჩვევათა და კომპეტენციათა ერთობლიობა, რომელთა ფლობა აუცილებელია გარკვეულ სფეროში შრომითი საქმიანობისათვის და რომელთა შეძენა შესაძლებელია სწავლის ან/და შესაბამის სფეროში საქმიანობის შედეგად“.*²
3. *„ძირითადი საქმე, შრომითი საქმიანობა, რომელიც მოითხოვს განსაზღვრულ მომზადებას და წარმოადგენს შემოსავლის ძირითად წყაროს. პროფესია ადამიანის ცხოვრებაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია“.*³

დღეს შრომის ბაზარს ახალი ტექნოლოგიები, ინოვაციის შემოკლებული ციკლები (Verkürzte Innovationszyklen), და მიმდინარე ეკონომიკური რაციონალიზაციის პროცესები განსაზღვრავენ. ამ პროცესებთან მჭიდროდაა დაკავშირებული ხანგრძლივი სტრუქტურული და საზოგადოებრივი ცვლილებები. შრომის ბაზარზე ამ

¹ სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი / [სარედ.: ჯგუფი: ედუარდ კოდუა და სხვ.; გამომც.: ლაშა ბერაია] - თბ. : ლოგოს პრესი, 2004 - 351გვ. ; 20სმ. - (სოციალურ მეცნ. სერია/რედ.: მარინე ჩიტაშვილი). - ISBN 99928-926-9-2 : [ფ.ა.]

² განმარტებითი ლექსიკონი/ეროვნ. სასწ. გეგმებისა და შეფასების ცენტრი. - [თბ., 2008]. - 20სმ. [MFN: 76027] ნაწ. 2: განათლების სპეციალისტებისათვის / [წიგნზე მუშაობდნენ: სიმონ ჯანაშია და სხვ.]. - [2008]. - 56გვ.. - ბიბლიოგრ.: გვ. 54-56. - ISBN: 978-9941-0-0541-1 (ყველა ნაწ.), ISBN: 978-9941-0-0542-8 (ნაწ. 2) : [ფ.ა.][MFN: 95118]

³ მოხელის სამაგიდო ლექსიკონი / გაეროს განვითარების პროგრამა; [შემდგ.: სამსონ ურიდია და სხვ.; რედ.: ვაჟა გურგენიძე] - თბ., 2004 - 483გვ.: ცხრ.; 24სმ. - (საჯარო მოსამსახურის ბ-კა). - ISBN 99940-0-063-2: [ფ.ა.]

ცვლილებებისათვის კი დამახასიათებელია არა მხოლოდ მზარდი სოციალური და სივრცითი მობილობა, არამედ უმაღლესი საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

იოჰანეს ერმერტი (Johannes Ermert) და ჰორსტ ფრიდრიხი (Horst Friedrich) პროფორიენტაციის დეფინიციას გვაძლევენ დიბერნის (Dibern) ფართო და ვიწრო განსაზღვრებაზე დაყრდნობით. პროფორიენტაცია მათი აზრით, ფართო გაგებით შეიძლება გავიგოთ, როგორც:

„საფუძვლიანი ცოდნა, მოსაზრებები და კრიტიკული რეფლექსიები საზოგადოებრივ, ეკონომიკურ და ტექნიკურ სფეროებზე და მათი, როგორც პროფესიული საქმიანობის საგანმანათლებლო სტრუქტურის ურთიერთ-დამოკიდებულება (Dibern 1979, 34 zitiert nach Ermert, Friedrich 1990, 2).

ვიწრო გაგებით, კი პროფორიენტაცია მოიცავს პროფესიული არჩევანის დროს ინდივიდუალურ მზაობას, რომლის მიზანია:

„ პროფესიული არჩევანის გაკეთების პროცესში მოსწავლეთათვის ისეთი უნარ-ჩვევის გამომუშავება, რომ მათ შეძლონ დამოუკიდებლად, საკუთარი პასუხისმგებლობით, პიროვნულობაზე ორიენტირებული და ცოდნაზე დაფუძნებული პროფესიული არჩევანის გაკეთება.(Ermert, Friedrich 1990, 2).

ლოთარ ბაინკესა (Lothar Beinke) და უვე ვაშერის (Uwe Wascher) თვალსაზრისით, ტერმინები - პროფორიენტაცია და კარიერის დაგეგმვა ერთმანეთთან გადაჯაჭვულია. ისინი პროფორიენტაციის ქვეშ მოიაზრებენ:

„ინფორმირებულობისა და ინფორმაციის გადამუშავებისას გადაწყვეტილების მიღების პროცესს, დროის ზეწოლისა და შეზღუდვებისას გადაწყვეტილების მიღების უნარს“ (Beinke, Wascher 1993, 18).

რაც შეეხება კარიერის არჩევანს, განისაზღვრება:

„როგორც პროცესი, რომელიც წინ უსწრებს პროფესიული გადაწყვეტილების მიღებას. მასში იგულისხმება მაძიებლისა და ძიების პროცესში დამხმარესა და კონსულტანტის პედაგოგიური ურთიერთობები“ (Beinke 2006, 15, vgl. Beinke, Wascher 1993, 11).

პროფორინტაციისა და კარიერის დაგეგმვის უფრო ზუსტი განმარტება გვხდება ლოთარ ბაინკესა და უვე ვაშერს ერთობლივ ნაშრომში. ისინი მიიჩნევენ, რომ ამ ორ ტერმინში მოიაზრება შემდეგი:

„სოციალური კოოპერატიული სისტემა შედგება მონაწილე სუბსისტემებისაგან (მეცადინეობა, კონსულტაციები, ოჯახური საუბრები), რომელშიც საინფორმაციო მომსახურება დაინერგება და გადაწყვეტილების მიღების ინდივიდუალურ პროცესზეც აისახება (Beinke, Wascher 1993, S. 14; vgl. Beinke 2006, 16).

1.2. პროფესიისა და კარიერის არჩევის თეორიები

პროფესიული არჩევანის გაკეთების ამ თეორიული მიდგომებიდან თითოეულს წინ გამოაქვს კარიერული არჩევანის პროცესის განსაზღვრული ასპექტი და ძირითად ფოკუსს კარიერული არჩევანის სტრუქტურულ-თეორიულ ან ქმედით-თეორიულ ასპექტებზე აკეთებს (vgl. dazu Beinke 1999, Jung 2000).

ალოკაციის თეორიული მიდგომა აქცენტს აკეთებს საზოგადოებრივ ჩარჩო - პირობებზე, რომლებსაც ის პრიორიტეტულად აღიქვამს: კარიერის არჩევა შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც საზოგადოებრივი გადანაწილების პროცესი, რომელზეც გავლენას ახდენს ეკონომიკური, სოციოკულტურული და სოციოფსიქოლოგიური ფაქტორები, რომლის დროსაც ქმედების ინდივიდუალური შესაძლებლობები სოციალური პირობების გავლენით შეზღუდულად განიხილება.

გადაწყვეტილების მიღების თეორიული მიდგომები ალოკაციის თეორიული მიდგომისგან განსხვავებით, ხაზს უსვამენ ინდივიდუალურ გადაწყვეტილებას, გადაწყვეტილების არსებული წინაპირობების, გადაწყვეტილების მიღების წესებისა და გადაწყვეტილების ალტერნატივების ცოდნის საფუძველზე პროფესიული არჩევანის გაკეთების ცენტრალურ მომენტს (Beinke 1999).

პიროვნების ფსიქოლოგიური მიდგომა, ჯონ ლევის ჰოლანდის მიხედვით, ვარაუდობს, რომ ყოველ ადამიანს პიროვნული მახასიათებლები გააჩნია და რომ თითოეული პროფესია მოთხოვნილებების ტიპური ნიმუშებით ხასიათდება (Holland 1997) (und auch jeder Beruf durch typische Muster von Anforderungen charakterisiert ist).

ჰოლანდმა გამოყო 6 პროფესიული ორიენტაციის ტიპი (კლასიფიკაცია მოახდინა ისეთი ფაქტორების მიხედვით, როგორცაა: უნარები, მიდრეკილებები, ინტერესები და ა.შ.): **1. რეალისტური ორიენტაცია.** ადამიანები ასეთი ორიენტაციით მიმართულნი არიან ისეთი პროფესიული სფეროსკენ, რომელიც დაკავშირებულია ფიზიკურ ძალასთან, იმ უნარების გამოყენებასთან რომელიც მოითხოვს ძალას და კოორდინაციას. მაგ: მეტყვეობა, ფერმერობა და სოფლის მეურნეობა. **2. კვლევითი ორიენტაცია.** ეს ადამიანები მიმართულნი არიან კარიერის იმ სფეროებისაკენ რომელიც დაკავშირებულია უფრო ინტროვერტულ (ფიქრი, ორგანიზაცია, ინტერპრეტაცია), ვიდრე ეფექტურ მოქმედებასთან (გრძნობა, პიროვნებათშორისი ურთიერთობები და ემოციები). მაგ: ბიოლოგები, ქიმიკოსები, კოლეჯის პროფესორები. **3. შემოქმედებითი ორიენტაცია.** ეს ადამიანები მიმართული არიან კარიერის იმ სახეობისაკენ რომელიც მოითხოვს თვითგამოხატვას, არტისტულ უნარებს, ემოციების გამოხატვას და ინდივიდუალობას. მაგ: მხატვრები, მუსიკოსები, რეკლამის შემქმნელები. **4. სოციალური ორიენტაცია.** ეს ადამიანები მიმართულნი არიან კარიერის იმ სახეობებისაკენ რომელიც გულისხმობს უფრო პიროვნებათშორის კავშირებს, ვიდრე ინტელექტუალურ და ფიზიკურ ურთიერთკავშირებს. დიპლომატიური სამსახური, სოციალური სამსახურები.

5. **ინიციატივანი ორიენტაცია.** ეს ადამიანები მიმართულნი არიან კარიერის იმ სახეობებისაკენ რომელიც გულისხმობს ვერბალურ აქტივობას, დაკავშირებულს სხვათა ზემოქმედებაზე. მენეჯერები, ადვოკატები, პრესმდივნები. 6. **კონვენციონალური (ტრადიციული) ორიენტაცია.** ეს ადამიანები უპირატესობას ანიჭებენ კარიერის ისეთ სახეს, რომელიც უზრუნველყოფს სტრუქტურირებულ, რეგულირებად მოქმედებას, ასევე პროფესიები, რომლებშიც აუცილებელია, რომ დაქვემდებარებულებმა შეუსაბამონ თავიანთი პიროვნული მოთხოვნილებები ორგანიზაციისას. ბუღალტრები, ბანკირები.

კარიერის დაგეგმვა განიხილება, როგორც შესაბამისობის პროცესი, რადგან ამ დროს მნიშვნელოვანია, აირჩიო პროფესია, რომელიც ყველაზე მეტად ესადაგება ინდივიდუალურ პიროვნულ მახასიათებლებს. ასევე, განვითარების თეორიული მიდგომებიც ინდივიდისგან მომდინარეობს და კარიერის არჩევის პროცესს მიიჩნევს არა როგორც ხანმოკლე შერჩევით გადაწყვეტილებას, არამედ გრძელვადიან, მთელი ცხოვრების მანძილზე მიმდინარე ფსიქო-სოციალურ პროცესს (Super 1957, Super 1980).

მარტინ კოლიმ (Martin Kohli) ჯერ კიდევ 1975 წელს შენიშნა, რომ პროფესიული განვითარება მთელი სიცოცხლის მანძილზე განგრძობად ურთულეს პროცესს წარმოადგენს, რომელზეც ალოკაციის, განვითარებისა და გადაწყვეტილების თეორიული ასპექტები ერთად ახდენენ გავლენას (Kohli 1975, 129).

საინტერესო განსაზღვრებას გვაძლევს მანფრედ ჰოპპე ([Manfred Hoppe](#)) პროფესიულ ორიენტაციასა და ინტერაქციასთან ურთიერთქმედების მიმართულებით და შენიშნავს, რომ ინტერაქცია პროფორიენტაციის პროცესთან ურთიერთქმედებაში განიხილება, როგორც „ქმედებისა და რეაქციის შედეგი სულ მცირე ორ პიროვნებას შორის (...). ყველა წესისა და რეგულაციის მიხედვით, ინტერაქციები

განიხილება საერთო კონტექსტში შედარებით სტაბილურ და მოზრდილ სოციალურ ჯგუფებთან „ (Hoppe 1980, 135).

ამ მიმართულებით ჰაინც რისი ([Heinz Ries](#)) განასხვავებს ხუთ სტაბილურ გრძელვადიანი პერსპექტივით შერჩეულ ჯგუფებს:

1. კონსულტანტების ჯგუფი
2. მასწავლებლების ჯგუფი
3. კომპანიების, პროფესიული გაერთიანებებისა და ასოციაციების ჯგუფი;
4. მშობლების, ნათესავების, მეგობრების, მეზობლებისა და კოლეგების ჯგუფი;
5. მასმედიის წარმომადგენლების ჯგუფი (რისი 1977, 433).

კონსულტანტების ჯგუფი ასრულებს პროფესიული განათლების ეგიდით ინდივიდუალურ კონსულტაციებს და შუამავლობს პროფესიული სასწავლებლებისა და დასაქმების ადგილების შორის. ამდენად, ისინი ითავსებენ სკოლებსა და პროფორიენტაციის დაწესებულებებში შუამავლის როლს კარიერული დაგეგმვისა და ინტერაქციის პროცესში (Hoppe 1980, S. 137).

პროფესიული კონსულტაციის წინაშე დგას სამი დავალება:

1. მან უნდა უზრუნველყოს ახალგაზრდების პროფესიული ორიენტაცია და დაეხმაროს მათ სხვადასხვა პროფესიული ალტერნატივების გაცნობასა და მათ შესახებ რელევანტური ინფორმაციის მიღებასა და შეფასებაში;
2. იგი ორიენტირების ფაზაში ახალგაზრდებთან წარმართავს ინდივიდუალურ კონსულტაციებს;
3. იგი ითავსებს შუამავლისა და მედიაციის როლს პროფესიული განათლების მიღებისას და, შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ სასწავლებლებს შორის.

მასწავლებელთა ჯგუფის პროფესიონალიზმის ხარისხი და მნიშვნელოვნება განისაზღვრება სკოლის ტიპისა და საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით. მანფრედ ჰოპპე საუბრობს, როგორი იყო მასწავლებელთა გავლენის არეალი მოსწავლეთა პროფესიულ განვითარებაზე 1980 წლამდე. იგი განმარტავს, რომ ეს გახლდათ უფრო არასისტემატური, მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის ურთიერთობას, „ინდივიდუალური სიტუაციების გადაწყვეტილებების წინაპირობების ფორმირება განსაზღვრავდა“ (Hoppe 1980, 138).

კომპანიები, პროფესიული გაერთიანებები და ასოციაციები, პირველ ორ ჯგუფთან შედარებით, გვევლინება, როგორც ინტერაქციის მხარეთა ყველაზე დაინტერესებული ჯგუფი. ისინი არიან რა კვალიფიციური კადრის მოზიდვაზე ორიენტირებულები, ინდივიდზე და მის მიდრეკილებებზე მორგებული კონსულტაციის ნაცვლად, უფრო საკუთარ ინტერესებზე მორგებულ ინფორმაციასა და იმპულსებს აწვდიან ახალგაზრდებს (vgl. Hoppe 1980, S. 138).

ინფორმაციის მიწოდებისას უფრო გაუცნობიერებლად მოქმედებს მშობლების, ნათესავების, მეგობრების, მეზობლებისა და კოლეგების ჯგუფი. ეს ჯგუფი მნიშვნელოვან როლს ასრულებს, პროფესიაზე ორიენტირებული ღირებულებებისა და ინტერესების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში (vgl. Gmelch 2003, S. 9; Nickel 2010, S. 96). ინტერაქციის პროცესში ეს ჯგუფი დიდ ყურადღებას უთმობს პროფესიების რელევანტურ ალტერნატივებზე კონკრეტული ცოდნის ქონას, როგორცაა: შემოსავალი, წვდომის პირობები და მოთხოვნები; დაწინაურებისა და გადამზადების შესაძლებლობები ან საჭირო, დამატებით მოთხოვნადი კომპეტენციები (vgl. Hoppe 1980, S. 138; Nickel 2010, S. 96).

ახალგაზრდების პროფესიული ორიენტაციის პროცესზე გავლენას ახდენს მასმედიის გაზრდილი მნიშვნელობა, როგორცაა ტელევიზია, რადიო და ინტერნეტი, ასევე წიგნები, ჟურნალები და გაზეთები (vgl. Beinke 2006b, S. 24 ff.; Hoppe 1980, S. 138 f.).

ამჯერად დიდ როლს ასრულებს არა პირადი საუბრები, როგორც ინტერაქციის წინაოთხი მონაწილეების შემთხვევაში, არამედ ინტერნეტსივრცის გავლენა. პროფესიული ორიენტაციის პროცესში ახალგაზრდებისათვის უფრო და უფრო დიდი ზემოქმედების ინსტრუმენტად გვევლინება ინტერნეტი, რადგან იგი იძლევა იმის საშუალებას, რომ ინდივიდებმა რელევანტური ინფორმაციები თავად მოიძიონ (vgl. Struwe 2010, S. 13). ინტერნეტის მოხმარებისას ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ინფორმაციის მოძიებისას ინტერნეტის გამოყენება შესაძლებელია სწრაფად და ეფექტურად, ასევე ადგილმდებარეობისა და დროსგან დამოუკიდებლად (vgl. Struwe 2010, S. 132).

ზემოთ ჩამოთვლილი ინტერაქციის ჯგუფების გარდა, ასევე გასათვალისწინებელია საერთო სოციალური განზომილება. საზოგადოებას აქვს დიდი ზეგავლენა განათლებაზე, სქესის, ასაკისა და წარმომავლობის როლების მოლოდინებზე (vgl. Nickel 2010, S. 96).

ელმარ ლანგე (ElmarLange) (1978) ინტერაქციის პარტნიორების მიხედვით ანალიზებს ინტერაქციის პროცესის განსხვავებებს, რათა დროის სტრუქტურის განსაზღვრება მოგვეცეს. ამის მიხედვით, ინტერაქციები ყოველთვის ისეთ სიტუაციებში იმართება, რომლებიც „დროულად, ობიექტურად, საქმიანად და სოციალურად არის გამიჯნული“ (Lange 1978, S. 7).

სოციოლოგიური და ეკონომიკური თეორიები, იმისათვის, რომ ახსნან პროფესიული არჩევანის ქცევის ფოკუსი, ინდივიდსა და მის ქცევას პროფესიული ორიენტაციის პროცესში დაკვირვების ეპიცენტრიდან გამოყოფენ და მათ ნაცვლად სოციოკულტურულ, სოციოეკონომიკურ და სოციალურ-ფსიქოლოგიურ ფაქტორებს ანიჭებენ უპირატესობას. ამის მიხედვით, პროფესიული არჩევანი ნაკლებად არის ინდივიდუალური განვითარებისა და გადაწყვეტილების შედეგი, ასევე, მასთან დაკავშირებული ინდივიდუალური ინტერესები, უნარები და ღირებულებები, არამედ უფრო მეტად სოციალური სელექციისა და ალოკაციის (რესურსების გადანაწილების) რეზულტატი (vgl. Hoppe 1980, S. 94; Nickel 2010, S. 94). შესაბამისად, ინდივიდისათვის

მნიშვნელოვანია პროფესიული არჩევანისას საზოგადოებრივი პირობების გაანალიზება, იმისათვის, რომ გადაწყვეტილებების ყველა შესაძლო სფეროების იდენტიფიცირება შეძლოს. (vgl. Nickel 2010, S. 94). კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც ინდივიდი პროფესიულ არჩევანს აკეთებს, თავის მხრივ, ექვემდებარება ეკონომიკური და სოციალური პირობების გავლენას (Bußhoff 1984, S. 13; Lange 1978, S. 4).

პროფესიული არჩევანი, როგორც პროფესიული განვითარების გარკვეული შედეგი, ალოკაციის თეორიების მიდგომების მიხედვით ნაკლებად განიხილება, როგორც თავისუფალი არჩევანი, არამედ იგი აღიქმება, როგორც „საზოგადოებრივად მართული პროცესი (...), რომელიც ინდივიდს პროფესიას უთითებს (ალოკაცია)“ (ან პროფესიისაკენ უბიძგებს) (Nickel 2010, S. 94). სოციალური (საზოგადოებრივი) პირობები გავლენას ახდენენ პროფესიული ორიენტაციის არჩევანის პროცესზე და ჩიხში აქცევენ ინდივიდის პროფესიულ შესაძლებლობებს. (vgl. Behrens et al. 1980, S. 31; Nickel 2010, S. 95). მაშასადამე, ინდივიდი „პროფესიულ პოზიციებზეა დამოკიდებული, რომლებიც საზოგადოებაში არსებობს და მისაღებია“ (Hoppe 1980, S. 101).

მე-20 საუკუნის დასაწყისში გვხვდება პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის ფუნდამენტურ კონცეპტებისა და მათი გარდამტეხი მომენტების განხილვა სხვადასხვა სპეციალისტები მიერ.

პროფესიის სისტემატური არჩევანისა და კვალიფიციური პროფესიული კონსულტაციის „მამად“ აღიარებულია ფრანკ პარსონსი (Frank Parsons), რომელმაც 1908 წელს ბოსტონში ახალგაზრდებისათვის პირველი პროფესიული კონსულტაციის სერვისი გახსნა. მან თავისი წიგნით „ პროფესიის არჩევა“ პირველი პროფესიული არჩევანის თეორიული მოდელი განავითარა, რომელიც როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე მიმართულების მიმცემი და გზის მაჩვენებელი იყო.

ფრანკ პერსონსი აღიარებდა, რომ პროფესიის არჩევანის გაკეთება უნდა ხდებოდეს სისტემატურად და სამუშაო ადგილის მოთხოვნილებებისა და პიროვნული ძლიერი და სუსტი მხარეების გათვალისწინების შესაბამისად. უნარების დადგენა ხდებოდა ფსიქოლოგიური ტესტების მიხედვით, რომლებიც ობიექტურ ინფორმაციასთან კომბინაციაში პროფესიული განათლების, პროფესიებისა და შრომის ბაზრის შესახებ სწორი და რაციონალური პროფესიული არჩევანის საფუძველს წარმოადგენს ⁴.

ამერიკის შეერთებულ შტატებში 1950-იან და 1960-იან წლებში გატარდა ყოვლისმომცველი რეფორმები განათლებაში, რომლებმაც განვითარების ფსიქოლოგიის (Entwicklungspsychologie) ახლებური შემეცნება და პროფესიული არჩევანის საკითხებისადმი ახალი ინტერესი გამოიწვია. პროფესიული არჩევანის მკვლევრებმა, როგორებიც იყვნენ ჰოლანდი, როე, გინსბერგი, სუპერი და ბახრახი, შეიმუშავეს ფსიქოლოგიური თეორიები, რომელთა თანახმადაც, პროფესიული არჩევანი უნდა დავინახოთ როგორც პროცესი და არა როგორც პერსონსი მიიჩნევდა, ერთჯერადი შემთხვევა, ღონისძიება.

ჰოლანდმა და როემ განავითარეს თეორიები, რომელთა მიხედვითაც პიროვნულობა პროფესიული არჩევანის პროცესშიც ვლინდება, რეფლექტირდება. მაშინ, როცა გინსბერგი და სუპერი & ბახრახი კარიერის არჩევას განვითარებისა და სიმწიფის პროცესად აღიქვამენ ⁵.

მაშინდელი სხვადასხვა თეორიული მიდგომების მიხედვით, სწავლა და კარიერის არჩევა საზოგადოებრივი ცვლილებების კონტექსტში არის სოციალური ფენომენი, რომელიც ადამიანს მთელი ცხოვრების მანძილზე თან ახლავს. ზიგბრიტ ფრანკე-ვიკბერგი (Sigbrit Franke-Wikberg) აკრიტიკებს ამ ხედვას და აცხადებს, რომ კარიერის

⁴ პერსონსი, ფრანკ (1909) *პროფესიის არჩევა*. ბოსტონი

⁵ Super, Donald E. & Bachrach, Paul B. (1957): *Scientific Careers and Vocational Development Theory. A review, a critique and some recommendations*. New York

არჩევის ამერიკული მიდგომები მხოლოდ ფსიქოლოგიურად არის განმსჭვალული და მცირედენ ემპირიას ეფუძნება, რომლებშიც სოციალურ და ინსტიტუციურ ფაქტორებს არასაკმარისი ყურადღება ეთმობათ.⁶

ამ ხარვეზის ამოვსებას შეეცადა შვედი სოციოლოგი ნილს პერ ერიკ სიოსტრანდი (Nils Per Erik Sjöstrand) 1968 გამოქვეყნებულ ესეში „კარიერის განვითარება - პროფესიული არჩევანის სოციალურ-ფსიქოლოგიური ანალიზი“, რომელშიც მან ანგლოსაქსური თეორიების საფუძველზე პროფესიული განათლებისა და პროფესიული ალტერნატივების მოდელი შეფასების პროცესისათვის განავითარა. ამით მან მისი დროისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კარიერის არჩევის თეორიის განვითარებაში.

შვედური კულტურისათვის მნიშვნელოვანია ტერმინ *კარიერის დაგეგმვის* გამოყენება, მანამდე არსებული ტერმინის, *კარიერის*, ნაცვლად. სიოსტრანდი ამით ნათელყოფს თავის მოსაზრებას და განმარტავს, რომ პროფესიის არჩევა არ არის ერთჯერადი მოვლენა⁷, არამედ იგი მთელი ცხოვრების მანძილზე პროფესიული განათლებისა და დასაქმების თანმდევი პროცესია. ამ კონტექსტში ტერმინი *კარიერა*, მისი აზრით, ძალიან ბუნდოვანია, რადგან „*პროფესია შეიცავს არჩევანის გაკეთების კომპონენტსაც*“ (Sjöstrand 1968, 31) და ამ არჩევანის კომპონენტს, სიოსტრანდის აზრით, სხვადასხვა მნიშვნელობები შეიძლება ჰქონდეს, განსაკუთრებით იმ კონტექსტში, თუ ეს არჩევანი, ინსტიტუციონალიზებული, დამალებულია ან საკუთარი სურვილის მიხედვით არის გაკეთებული (Sjöstrand 1968, 162).

სტიგ პერსონმა (Stig Persson), ბიორჯე ლინდბლომმა (Börje Lindblom) და ინგეგერდ ოდმარკმა (Ingegerd Odmark) პუბლიკაციით „სახელმძღვანელო: განათლება, სამუშაო,

⁶ Vgl. Franke-Wikberg, Sigbrit (1981): *Arbete, familj och utbildning*. Stockholm, S. 167.

⁷ Vgl. Sjöstrand, Per (1968): *Karriärens utveckling. En socialpsykologisk analys av yrkesval*. Göteborg, გვ . 31.

პროფესია. თეორია, მეთოდი, განვითარება“ მიზნად დაისახეს, ერთი მხრივ, არსებული პროფორიენტაციის თეორიების შესახებ შვედურ ენაზე დაეწერათ და, მეორე მხრივ, ცდილობდნენ, სწავლის პროფორიენტაციისა და პროფესიული კონსულტაციისთვის უფრო ინტერაქციონისტური (interactionist) თეორიული მიდგომა ეპოვათ. მათი კრიტიკა მიემართებოდა უკვე არსებულ პროფორიენტაციის თეორიებსა და - მოდელებს და, პირველ რიგში, უაღრესად ინდივიდუალიზებულ პერსპექტივას, განსაკუთრებით კი ფრანკ ვიკბერგის საზოგადოებრივი ფაქტორების გათვალისწინებას. თავიანთი თეორიული მიდგომით ავტორებს სურდათ, ხაზი გაესვათ ინდივიდუალობისა და გარემოს ორმხრივ გავლენაზე. ისინი ვარაუდობდნენ, რომ ადამიანსა და გარემოს შორის არსებული ინტერაქცია მიმდინარე პროცესია, რომელიც გავლენას ახდენს პროფესიულ კონსულტაციაზე და მის ფორმასა და შინაარსს მნიშვნელოვნად განაპირობებს.⁸ თუმცა მათი მიდგომა თეორიული და ემპირიული კვლევის ნაკლოვანებების გამო დღეს მარტივად ითვლება და მათმა გააზრების მცდელობებმა, შვედეთის კონტექსტისათვის თანამედროვე პროფორიენტაციის თეორიები და მოდელები შეემუშავებინათ, განვითარება ვერ პოვა.

როგორც კვლევებმა აჩვენა, კარიერის არჩევის პროცესზე დიდ გავლენას სქესი და სოციალურ წარმომავლობა ახდენს. იმისათვის, რომ ამ ფაქტორების გავლენა შემცირებულიყო, 1970 წლის დასაწყისში დაინერგა პროფორიენტაცია შვედეთის სკოლებში და მეტი აქცენტი გაკეთდა ამ მიმართულებით ჩატარებულ სამეცნიერო კვლევებზე.

ამდენად, როგორც ამერიკისა და შვედეთის მაგალითზე განვიხილეთ, მე-20 საუკუნეში უკვე მოხდა პროფორიენტაციისა და პროფესიული არჩევანის კულტივირება და დიდი ყურადღება მიექცა მის უკვე სასკოლო ასაკშივე დანერგვასა და სისტემურ განვითარებას.

⁸ Persson, Stig; Lindblom, Börje & Odmark, Ingegerd (1980): *Vägledning: utbildning, arbete, yrke. Teori, metod utveckling*. Stockholm, გვ . 140.

1.3 კარიერული დაგეგმვის წარმატებული მაგალითები სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების მომზადება პროფესიული კონსულტაციისათვის: კანადის მთავრობა პროვინცია კვებეკში მდებარე სკოლებს „პროფორიენტაციის პოლიტიკის გამტარებელი“ კონცეფციით მუშაობის მოტივაციას უძლიერებს. კვებეკში პიროვნული და პროფესიული მომავლის დაგეგმვა სკოლის პერიოდში აღიქმება, როგორც სხვადასხვა სასწავლო სფეროდან ერთი-ერთი უპირატესი. მიზანი მდგომარეობს შემდეგში: დაეხმარონ მოსწავლეებს დაწყებით საფეხურზე იდენტობის გაცნობიერებასა და განვითარებაში, ხოლო მაღალ საფეხურებზე კი კარიერული დაგეგმვის პროცესსა და ორიენტირებაში. ამასთანავე, ყველა ზომა უნდა იქნეს მიღებული იმისათვის, რომ მეცადინეობებიდან და საგაკვეთილო პროცესიდან მიღებული სარგებელი და სასწავლო მიზნები მოსწავლემ ბოლომდე გააცნობიეროს. იმისათვის, რომ დაინერგოს ეს კონცეფცია, საჭიროა კვალიფიციური პროფესიული კონსულტანტების რაოდენობის გაზრდა. ამასთან, დიდი მნიშვნელობა ენიჭება პროფორიენტაციის პროგრამებში დაინტერესებული პირების აქტიურ ჩართვას - ერთი მხრივ, მასწავლებლებსა და პროფესიულ კონსულტანტებს შორის კომუნიკაციისა და კოორდინირებული მუშაობის სტიმულირებით და მეორე მხრივ, მშობლებსა და ადგილობრივ თემს შორის პარტნიორობის ხელშეწყობით. არსებული პარამეტრების შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს თავად შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება „პროფორიენტაციის პოლიტიკის გამტარებელ“ სკოლაში რას მოიაზრებენ.

პორტუგალიის სისტემები: ზოგიერთი ქვეყანა ფლობს დახვეწილ სტრატეგიებს, იმის თაობაზე, თუ როგორ დაეხმარონ მოსწავლეებს ცოდნის, კომპეტენციებისა და გამოცდილების გაერთიანებაში, რასაც ისინი სხვადასხვა საგნის შესწავლის გზით იღებენ. სწორედ ამ მიზანს ემსახურება პორტუგალიის გამოყენებაც, რომელშიც

მოსწავლეები პროფესიასთან მიმართებაში არსებულ სწავლის შედეგებსა და გამოცდილებებს აგროვებენ. ამის მაგალითებია: „პროფესიის პასპორტი“ (Berufspass) - ავსტრიაში, „პროფესიულ ჩანაწერთა წიგნი“ (Berufslogbuch) - დანიაში და პროფესიის არჩევის პასპორტი (Berufswahlpass) - გერმანიაში. ამ ტიპის დოკუმენტები მოსწავლეებს ეხმარება, შეძლონ თავიანთი სასწავლო პროცესის კოორდინირება და სწავლასა და პროფესიულ გეგმებს შორის ურთიერთმიმართების დანახვა.

შრომის ბაზართან კავშირის დამყარება - პროფესიულ პრაქტიკასთან დაკავშირებული სხვადასხვა ინიციატივების გზით მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება შრომის ბაზართან დაკავშირებული ხედვები ჩამოაყალიბონ და პროფესიული მიდრეკილებები გააცნობიერონ. გერმანიაში მოსწავლეთა ვიზიტები საწარმოებში პროფესიული კონსულტაციის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილია. საწარმოები მეტად აფასებენ სკოლებთან ურთიერთობის ამ საშუალებას. პრაქტიკა, ჩვეულებისამებრ, გრძელდება ერთიდან სამ კვირამდე. ამ დროისათვის მასწავლებელთა დამხმარე სახელმძღვანელოები და სასწავლო მასალა მოსწავლეთა განკარგულებაშია, იმისათვის, რომ სკოლებში პრაქტიკის, პრაქტიკამდე და პრაქტიკის შემდგომი პერიოდის ხელშეწყობა შეძლონ. გარკვეულ შემთხვევებში ასეთი პრაქტიკის ორგანიზება შესაძლებელია ასევე სხვა ევროპულ ქვეყნებშიც.

საჭიროა კარიერის დაგეგმვის სპეციალისტებმა ისეთი პირების ინტეგრაცია მოახდინონ, რომლებიც შრომის ბაზარს კარგად იცნობენ: სახელმწიფოები აძლიერებენ და სტიმულს აძლევენ სკოლას, რომ მათ შეძლონ პროფესიული კონსულტირებისათვის პარტნიორობის დამყარება. ხშირად ეს იმას ნიშნავს, რომ შესაბამის დაინტერესებული პირებს (მშობლები, კურსდამთავრებულები, საწარმოების, გაერთიანებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები) სთხოვენ, რომ ჩაერთონ პროფესიული განათლების აქტუალურ საკითხებში და თავიანთი წვლილი შეიტანონ. ზოგიერთ დავალებებს გარე სააგენტოებსაც ატარებინებენ, რომელთაც ახლო

ურთიერთობა აქვთ შრომის ბაზართან. ასეთი გარე (externe) მომსახურებები უნდა ჩაითვალოს, როგორც დამატებითი აქტივობა სასკოლო პროფესიული კონსულტაციისათვის. ნებისმიერ შემთხვევაში ფორმალური კოოპერაციული ხელშეკრულების გაფორმება სასურველია და ამის შესაბამის მაგალითს გერმანია წარმოადგენს.

1.4 კარიერული დაგეგმვის წარმატებული მაგალითები სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე მოწყვლადი ჯგუფებისათვის (სოციალურად დაუცველი, შშმ და სსს მქონე ახალგაზრდებისათვის)

ინტეგრირებული მომსახურება სკანდინავიის ქვეყნებში: მოწყვლად ჯგუფებთან ურთიერთობისა და სკოლის ნაადრევად მიტოვების პრევენციის? ყველაზე წარმატებული სტრატეგიები სკანდინავიის ქვეყნებში გვხვდება (თუმცა წარმოდგენილი კონცეფციების ზოგიერთი ელემენტი გვხვდება სხვა ევროპულ ქვეყნებშიც). ეს სტრატეგიები ეფუძნება ინდივიდუალურ მიდგომას, რომლის დროსაც პიროვნული, განათლებისა და პროფესიაზე დაკავშირებული ორიენტაცია და კონსულტაცია სხვა მრავალ მომსახურებასთან არის გადაჯაჭვული. მაგალითად, ხელშეწყობა: ჯანმრთელობისა და ბინის პრობლემებთან დაკავშირებით; წერა-კითხვის შემსწავლელი კურსების შეთავაზება; გასაუბრებისათვის მომზადება და დატრენინგება; თავდაჯერებულობისა და საკუთარი თავის რწმენის გაძლიერებისათვის ტრენინგები; კეთებით სწავლების ხელშეწყობა (Learning by Doing). ეს აქტივობები მოითხოვს პროფესიულ კონსულტირებასა და სხვადასხვა დაინტერესებულ პირებთან მჭიდრო კავშირს.

მუნიციპალიტეტებთან დაგეგმილი აქციები დანიაში: დანიაში მუნიციპალიტეტები კანონმდებლობით ვალდებული არიან, იმ ახალგაზრდებთან დაამყარონ კონტაქტი,

რომლებმაც ფორმალური განათლება 19 წლის ასაკამდე შეწყვიტეს. ზოგიერთი ქალაქი ამ საკითხთან დაკავშირებით მიმართავს დამატებით ღონისძიებებს. ზოგიერთ ქალაქში ამ დავალებების შესრულება ხდება სკოლის შიგნით პროფესიული კონსულტანტების მიერ, ზოგიერთ ქალაქში კი (აქ საუბარია განსაკუთრებით, დიდ ქალაქებზე) ამ დავალებას ასრულებენ ახალგაზრდებისათვის გამოყოფილი სპეციალური პროფესიული კონსულტანტები.

პროგრამა “ახალგაზრდული“ („Youthreach“) ირლანდიაში: ეს პროგრამა მიმართულია დაუსაქმებელი ახალგაზრდებისადმი, რომელთაგან ძალიან ბევრმა ნაადრევად მიატოვა სკოლა. ტარდება სხვადასხვა ღონისძიებები სხვადასხვა სფეროში. ამ ღონისძიებების ორგანიზატორები გახლავთ: ცენტრები, რომლებიც პროფესიული მომზადების ადგილობრივი კომიტეტებისაგან ფინანსდება, ადგილობრივი სათემო სასწავლო სემინარები (Community Training Workshops), რომელიც საჯარო დასაქმების სამსახურის მიერ ფინანსდება და სასწავლო ცენტრები უბინადროთათვის. პროგრამის ფარგლებში მონაწილეთა პერსონალური, სოციალური, საგანმანათლებლო და პროფესიასთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად უმნიშვნელოვანესია პროფესიული კონსულტანტების მხრიდან გაწეული კონსულტაცია, ორიენტაცია და მზრუნველობა. იმისათვის, რომ ამ კონსულტანტებისათვის კონსულტირების საჭირო კომპეტენციები გადაეცათ, ინერგება საპილოტე პროგრამები და თითოეული პროგრამა იღებს პროფესიული კონსულტირების სამსახურის მიერ მხარდაჭერას.

ამდენად, პროფესიისა და კარიერის არჩევის კლასიკური თეორიების განხილვის საფუძველზე, ნათლად ჩანს, რომ პროფესიული არჩევანი უნდა განვიხილოთ არა როგორც ერთჯერადი პროცესი, არამედ როგორც გრძელვადიანი, მთელი ცხოვრების მანძილზე მიმდინარე კონიუნქტურა, რომელზეც ფსიქო-სოციალური ფაქტორები და გადაწყვეტილების მიღების თეორიული ასპექტები ახდენენ გავლენას. ამავდროულად, გავეცანით პროფესიული კონსულტაციის უმთავრეს მისიას, რომელიც ახალგაზრდების

სხვადასხვა პროფესიული ალტერნატივების გაცნობასა და მათ შესახებ რელევანტური ინფორმაციის მიღებასა და შეფასებაში ვლინდება; ამასთანავე, იგი ითავსებს შუამავლისა და მედიაციის როლს პროფესიული განათლების მიღებისას და, შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ სასწავლებლებს შორის.

თავი II

პროფესიული ორიენტაციის ხელშემწყობი მექანიზმებისა და კვლევების გაცნობა დასავლური გამოცდილების მაგალითზე

2.1. შრომის ბაზარზე ორიენტირებული პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის ხელშემწყობი მექანიზმების გამოკვლევა გერმანიაში ჩატარებული ცალკეული კვლევების მაგალითზე:

კვლევა 1.

PraeLab - პროფესიულ სასწავლებლებში სწავლის შეწყვეტის პრევენცია

კვლევა 1.1. პროფესიული სასწავლებლების პერსონალის კვალიფიკაცია სტუდენტთა სწავლის შეწყვეტის პრევენციისათვის

კვალიფიციური და მოტივირებული კადრების გარეშე რელევანტური ღირებულებების შექმნის პროცესი წარმოდგენელია. ეს ეხება როგორც კერძო კომპანიებს, ასევე საჯარო საწარმოებს. მიუხედავად ტექნოლოგიების მზარდი განვითარებისა „სოციალური კაპიტალის“ მნიშვნელობა საგრძნობლად გაიზარდა. დემოგრაფიული ცვლილებების ფონზე მკვეთრად იცვლება შრომის ბაზრის შემოთავაზებები და მოთხოვნილებები. ამას კი იქამდე მივყავართ, რომ ხელმისაწვდომი კადრის რაოდენობა საგრძნობლად ეცემა. ეს კი პირდაპირ კავშირშია განათლების ბაზართან (education market).

გასულ წლებში რეკრუტირების პროცესი ამ მიმართულებით შედარებით მართვადი გახლდათ. დღესდღეობით კი პროფესიული განათლების მიღების მსურველთა რიცხვი ბევრ რეგიონსა და სფეროში მეტად დაეცა. სიტუაციას ამძაფრებს ის ფაქტიც, რომ სკოლადამთავრებულთა რაოდენობაც ყოველწლიურად იკლებს. ტენდენცია იმისა, რომ ახალსკოლადამთავრებულებს სწავლის გაგრძელება უმაღლეს სასწავლებლებში ურჩევნიათ, ვიდრე პროფესიულ კოლეჯებში, ცალსახაა. ამას კი მივყავართ,

კვალიფიციური, პროფესიული განათლების სპეციალისტთა ნაკლებობისა და დეფიციტისაკენ. (Marco Schröder, „Studienwahl“ Velag Julius Klinkhardt Bad Heilbrunn. 2015).

ბოლო წლებში ევროპაში კვოტა ახალგაზრდებისა, რომლებიც ვერ ამთავრებენ სწავლას სკოლასა და პროფესიული კოლეჯებში, საგრძნობლად გაიზარდა. 2009 წლის მონაცემებით ევროკავშირის ექვს მილიონზე მეტმა ახალგაზრდამ, ანუ 14 პროცენტზე მეტმა, შეწყვიტა განათლების მიღება საბაზო საფეხურის შემდეგ. გერმანიაში 1990 წლიდან ეს კვოტა მერყეობს 20-დან 25 პროცენტამდე. 2011 წელს გერმანიაში 150 000 პროფესიული კოლეჯების სტუდენტმა ნაადრევად შეწყვიტა სწავლა, რაც მთლიანი კვოტის 24 პროცენტს შეადგენს.

2009 წელს ევროკავშირში სტუდენტების ნახევარზე მეტი, რომელთაც პროფესიული განათლება ნაადრევად შეწყვიტეს, უმუშევარი დარჩა. ხოლო დანარჩენებმა კი, ვინც რომელიმე სამსახურზე მოეწყვნენ, საგრძნობლად ნაკლებს გამოიმუშავებდნენ და უმთავრესად არასტაბილურ სამსახურებრივ გარემოში უწევდათ მუშაობა. ეს, ცხადია, პირდაპირ კავშირშია დიდ ეკონომიკურ ხარჯებთანაც. მცირე და საშუალო საწარმოებისთვის სტუდენტთა მხრიდან სწავლის ნაადრევად შეწყვეტას არა მხოლოდ ეკონომიკური ზიანი მოაქვს, არამედ ნეგატიურად აისახება მომავალში მათი ვაკანტური პრაქტიკის ადგილების შევსებისას.

ზემოხსენებული პრობლემების გათვალისწინებით, ევროკავშირმა მიზნად დაისახა სკოლის მოსწავლეთა მხრიდან სწავლის ნაადრევად შეწყვეტის პრევენციისათვის პროფესიული და უწყვეტი განათლების მოდერნიზაციის თანმიმდევრული და მიზნობრივი შეთავაზება. შესაბამისი კვლევის წარმოების დასაფინანსებლად ამოქმედდა ევროკავშირის პროგრამა „ლეონარდო და ვინჩი“, როგორც ევროპული განათლების პროგრამის ნაწილი უწყვეტი განათლებისათვის.

2010 წლიდან განხორციელდა ევროკავშირის პროგრამის „ლეონარდო და ვინჩის“ ერთ-ერთი ქვეპროგრამა - კვლევითი პროექტი PraeLab (პროფესიული განათლების

ნაადრევად შეწყვეტის პრევენციისათვის). მისი მიზანი გახლდათ სწავლის ნაადრევი შეწყვეტის პრევენცია „ადრეული გაფრთხილების სისტემის“ დანერგვის გზით. პროექტის ფარგლებში უნდა მომხდარიყო განათლების ნაადრევად შეწყვეტის რისკის ქვეშ მყოფი ახალგაზრდების დროული იდენტიფიკაცია და პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტების კონსულტაციის გზით მათთვის რელევანტური ხელშემწყობი მექანიზმების შეთავაზება.

PraeLab, როგორც ინტერდისციპლინური ევროკავშირის პროექტი, თანადროულად ამოქმედდა ევროპის ექვს პარტნიორ ქვეყანაში. მისი კოორდინირება ითავა გერმანიის ქალაქ მანჰაიმის შრომისა და დასაქმების ფედერალურმა ინსტიტუტმა (die Hochschule der Bundesagentur für Arbeit) და კობლენც-ლანდაუს უნივერსიტეტის ემპირიული პედაგოგიური კვლევების ცენტრმა. გარდა ამ ორი გერმანული ინსტიტუტისა პროექტში მონაწილეობდა ექვსი სხვა უცხოური პარტნიორი პროექტები: შვეიცარიის პროფესიული განათლების ინსტიტუტი- das Eidgenössische Hochschulinstitut für Berufsbildung, Das Landesamt für Lehrlingswesen und Masterausbildung (იტალია), Lusanne und Lugano (ავსტრია) , das Centre de Psychologie et d Orientation Scolaires (ლუქსემბურგი) , ტექნიკური და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების გაერთიანება (პოლონეთი) და die Akademia Jana Dlugosza (პოლონეთი).

პროექტის ძირითადი შემადგენელი ნაწილი გახლდათ პროფესიული განათლების პერსონალისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტების სამდღიანი გადამზადება. პროექტის ფარგლებში შემუშავდა ონლაინდიაგნოსტიკების ინსტრუმენტი, რომელიც შვეიცარიის პროფესიული განათლების ინსტიტუტთან თანამშრომლობით შეიქმნა. ინსტრუმენტის მიზანი გახლდათ ზოგადი კომპეტენციების (აკადემიური და კოგნიტიური უნარების) იდენტიფიცირება, პროფესიული განათლების მიღების შეწყვეტის რისკებისა და მათი მიზეზების გამოაშკარავება. გადამზადების შედეგად გაიზარდა პროფესიონალების მხრიდან საფრთხის წინაშე მყოფ ახალგაზრდებთან რეკომენდების პროცესი.

პროექტის ეგიდით ყოველ წელს შესაძლებელი გახდა საპილოტე ტრენინგის ფარგლებში 50 სასწავლო პერსონალის, სოციალმუშაკის, კარიერის დაგეგმვის სპეციალისტის გადამზადება. ამ ადამიანებმა კონსულტაცია გაუწიეს 2500-ზე მეტ მოზარდს, რომლებიც სწავლის ნაადრევად შეწყვეტის დაახლ. 15 % მწვავე და დაახლ. 20 % ლატენტური რისკის ქვეშ იმყოფებოდნენ. პროექტში მონაწილეთა პოზიცია იყო საკმაოდ პოზიტიური. აღმოჩნდა, რომ ახალგაზრდათა გარკვეულ ნაწილს პირველად მიეცა შესაძლებლობა თავისი ზოგადი უნარების შეფასებისა და მათ შესახებ სპეციალისტებთან ღიად საუბრისა.

ონლაინ ინსტრუმენტის შეფასებების შედეგები, როგორც სასარგებლო ბაზისი, აღმოჩნდა მნიშვნელოვანი ხიდი სტუდენტებთან, მათ მშობლებთან და საწარმოებთან კომუნიკაციის დასამყარებლად.

ასევე სხვა პარტნიორ ქვეყნებში დანერგილი PraeLab -ის ტრენინგ-კონცეპტი აღმოჩნდა სასარგებლო და ეფექტური: ავსტრიაში პროფესიული სასწავლებლების მასწავლებელთა გადამზადების კურსის შემადგენელი ნაწილი გახდა. პოლონეთში ეს კონცეპტი დაემატა პედაგოგიკისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტების საბაკალავრო კურსს, ხოლო კრაკაუს უნივერსიტეტში ამ მიმართულებით საბაკალავრო კურსიც გაიხსნა. ლუქსემბურგში ამ ტრენინგის კონცეპტი ჩაიდო პროფესიული სასწავლებლების პერსონალის უწყვეტი განათლების დაგეგმვის ღონისძიებებში. ავსტრიაში კი პროფესიული სასწავლებლების გადამზადება ხორციელდება ეკონომიკური ასოციაციების (wirtschaftsverbände) მიერ.

ამ პროექტმა თავდაპირველად აკრედიტაცია გერმანიასა და შვეიცარიაში გაიარა. უკვე 2010 წლის ნოემბრიდან შვეიცარიის პროფესიული განათლების ინსტიტუტში (das Eidgenössische Hochschulinstitut für Berufsbildung) PraeLab-ის პროექტით გათვალისწინებული გადამზადების ღონისძიებები, როგორც სასერტიფიკატო, ასევე სადიპლომო სასწავლო კურსების მოდული, პროფესიული სასწავლებლების პერსონალისთვის დაინერგა. გერმანიის ქალაქ მანჰაიმის შრომისა და დასაქმების

ფედერალურ ინსტიტუტში (die Hochschule der Bundesagentur für Arbeit) 2011 წლიდან იგი უკვე საბაკალავრო კურსების შემადგენელი ნაწილია (Jahresbericht der Hochschule der Bundesagentur für Arbeit 2015/2016).

კვლევა 2.

„ევროპულ კონტექსტში საერთო საბაკალავრო ხარისხის განვითარებისა და დანერგვის პროგრამა“ (Development and Implementation of a Common Bachelor's Degree Program In the European Context")

„პროფესიული განათლების“ მომსახურების ხარისხზე დღესდღეობით ძალიან დიდი აქცენტები კეთდება. დიდი ყურადღება ექცევა ამ მიმართულებით დასაქმების სფეროს დამატებით პროფესიონალიზებას. შრომის ბაზრის გლობალიზების პროცესში პროფესიულ კონსულტაციასა და პროფესიული ორიენტაციის სპეციალისტების კვალიფიცირებაში საერთაშორისო სტანდარტები ძალიან დიდ როლს თამაშობს. თუმცადა საერთაშორისო კვლევები ცხადყოფს, რომ პროფესიული კონსულტაციის სპეციალისტების კვალიფიცირების კონტექსტში ევროკავშირის მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაშია დანერგილი შესაბამისი საუნივერსიტეტო დისციპლინები.

ევროკავშირმა აღიარა ამ მიმართულებით კვალიფიცირების საჭიროება და 2010-2013 წლებში დანერგა პროექტი: „ევროპულ კონტექსტში საერთო საბაკალავრო ხარისხის განვითარებისა და დანერგვის პროგრამა“ (Development and Implementation of a Common Bachelor's Degree Program In the European Context"). მიზანი გახლდათ, აკადემიური კვალიფიცირებისათვის პროფესიულ კონსულტაციაში ევროპული უმაღლესი სასწავლებლების საერთო სივრცის შექმნა.

ზემოხსენებული პროექტი გახლავთ ერაზმუსის ქვეპროგრამით - „მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლების“ (LLL), დაფინანსებული პროექტი. 2013 წლის შემოდგომაზე პროექტის პარტნიორებმა განავითარეს დეტალური და აკრედიტაციის მიღების უნარის მქონე (akkreditierungsfähig) კურიკულუმი საბაკალავრო კურსისთვის „კარიერის დაგეგმვა და ადამიანური რესურსების მართვა“. ამ სასწავლო კურსის ფარგლებში

შესაძლებელი უნდა გახდეს საერთო, ევროკავშირში აღიარებული აკადემიური ხარისხის მიღება. პროექტის ფარგლებში გადაწყდა სამაგისტრო კურსის „ კარიერის დაგეგმვა განათლებაში, პროფესიასა და შრომის ბაზრის მართვაში“ შექმნა, ასევე მაგისტრანტთათვის დამატებითი კვალიფიცირების შესაძლებლობის შეთავაზება.

2010 წლიდან ამ პროექტში შემდეგი პარტნიორი უნივერსიტეტებია არიან ჩართულნი: ბრატისლავის ტექნიკური უნივერსიტეტი (სლოვაკეთი), მანჰაიმის შრომისა და დასაქმების ფედერალური ინსტიტუტი (გერმანია), ნიკოსიის უნივერსიტეტი (კვიპროსი), ტალინის ტექნიკური უნივერსიტეტი (ესტონეთი), პოლონეთის უნივერსიტეტი, სანდიაგოს უნივერსიტეტი (პოლონეთი), დერბის უნივერსიტეტი (ინგლისი) და სპლიტის უნივერსიტეტი (ხორვატია).

პროექტის სამუშაოები ეფუძნება ევროპის სოციალურ ქარტიას, მე-9 მუხლი (1961), ევროპული საბჭოს მიერ შემოღებულ (2000) ლისაბონის რეზოლუციებს, ბოლონიის დეკლარაციას და ასევე პროფესიული განათლების ხელშეწყობის ევროპული ცენტრის მიერ შემოთავაზებულ კონსულტანტების კომპეტენციებისა და კვალიფიკაციების სახელმძღვანელო პრინციპებს.

აკადემიური კვალიფიკაციების ჰარმონიზების გვერდით პროექტის შედეგები უზრუნველყოფენ პროფესიული განათლების სფეროში არსებული სასწავლო კურსების გამჭვირვალობას, საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და შინაარსის აღიარებისა და დადასტურების გაადვილებას, პროფესიული კონსულტირების ფარგლებში სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების საერთაშორისო მობილობის გაზრდას, ასევე საუნივერსიტეტო განათლების ხარისხისა და პროფორიენტაციის სპეციალისტთა დასაქმების პერსპექტივის საერთაშორისო დონეზე შედგენილი კურიკულუმის გზით გაუმჯობესებას (Jahresbericht der Hochschule der Bundesagentur für Arbeit 2015/2016).

კვლევა 3.

ინტერნეტის გზით მიღებული ინფორმაციული შემოთავაზებების გავლენა ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღებაზე პროფორიენტაციის პროცესში

კვლევის ობიექტი გახლავთ პროფორიენტაციის დაგეგმვისას მედიის შემოთავაზებების ინდივიდუალური გამოყენების უნარის შეფასება მე-11 - მე-13 კლასელებში. საკვლევი კითხვა გახლდათ შემდეგი: როგორ ხდება შემოთავაზებული ინფორმაციის მიღება, რა გავლენას ახდენს მიღებული ინფორმაცია პირადი პროფესიული პროფილის ჩამოყალიბებაზე და რა ინფორმაციული ვაკუუმი რჩებათ მოსწავლეებს? ამ მიზნით ტარდება თვისებრივი (ჯგუფური დისკუსია) და რაოდენობრივ მონაცემთა (ონლაინ გამოკითხვები) შეგროვება და შეფასება.

პროექტის პირველი ფაზის ძირითადი მიზანი გახლდათ საკვლევი სფეროს შინაარსობრივი დამუშავება და გამოკითხვის ინსტრუმენტების დიზაინი. მეორე ფაზა კი ეძღვნება მონაცემების შეგროვებასა და შეფასებას. რესპონდენტების შერჩევა, რომლებშიც შედიან პირველი კურსის პირველი სემესტრის სტუდენტები, მოხდა შემთხვევითი შერჩევის გზით. სულ შეგროვდა ოთხასზე მეტი ონლაინკითხვარი. ამას გარდა, ჯგუფური დისკუსიის მეთოდით გამოიკითხნენ გიმნაზიის მოსწავლეები. მათგან ოთხი მე-11-კლასელი და ორი მე-13-კლასელი.

შედეგებში დაფიქსირდა საინფორმაციო მედია-ტექნოლოგიებისადმი სასკოლო ასაკისთვის დამახასიათებელი ურთიერთობის ფორმები: მე-11 კლასის მოსწავლეები უპირატესობას ანიჭებდნენ ე.წ. ბეჭდურ საინფორმაციო წყაროებსა (printmedien) და პირად ინფორმაციებს. მე-13 კლასის მოსწავლეები კი უმთავრესად იყენებდნენ ინტერნეტს, იმისათვის, რომ წარმოდგენა შეექმნათ ისეთ საკითხებზე, როგორცაა პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებლებში არსებული პროფესიები და ასევე, ისეთი საჭირო ინფორმაციები, როგორცაა: სასწავლებლებში ჩარიცხვის წინაპირობები. ამის საპირწონედ კი მე-11 კლასელთათვის ინტერნეტი ამ მიმართულებით დიდ როლს არ თამაშობდა (Jahresbericht der Hochschule der Bundesagentur für Arbeit 2015/2016).

კვლევითი პროექტის ხელმძღვანელი: პროფ. დოქ. მონიკა მულერი

სოციოლოგიის ინსტიტუტი, დრეზდენის ტექნიკური უნივერსიტეტი

კვლევა 4.

კურსდამთავრებულთა გამოკითხვა გერმანიის ქალაქ მანჰაიმის შრომისა და დასაქმების ფედერალურ ინსტიტუტში (die Hochschule der Bundesagentur für Arbeit)

ემპირიული გამოკითხვის ფარგლებში ჩატარდა გერმანიის ქ. მანჰაიმის შრომისა და დასაქმების ფედერალური ინსტიტუტის (die Hochschule der Bundesagentur für Arbeit) დასრულებიდან დასაქმებამდე გარდამავალი პროცესის კვლევა. გამოკითხვა ჩატარდა ორი წლის მანძილზე დამამთავრებელ კურსებთან ვრცელი კითხვარის სახით (80 items).

2011 წელს გამოიკითხა 2006 წელს ჩარიცხული სტუდენტები, რომლებმაც ინსტიტუტი 2009 წელს დაამთავრეს. ელექტრონული ფოსტით კითხვარი გადაეგზავნა 239 ადამიანს, მათგან შევსებული კითხვარი უკან დააბრუნა 151 კურსდამთავრებულმა. (ანუ მონაწილეობა მიიღო მთლიანი კვოტის 63%-მა).

2012 წელს ჩატარდა მეორე გამოკითხვა იმ სტუდენტებისა, რომლებიც ჩარიცხნენ 2007 წელს და ინსტიტუტი დაასრულეს 2010 წელს. ამ შემთხვევაში მისწერეს 181 ადამიანს და პასუხი მიიღეს 132 კურსდამთავრებულისგან. (Rücklaufquote: 73 %).

როგორც შედეგებმა აჩვენა, ყველა კურსდამთავრებული, რომელმაც გამოკითხვაში მიიღო მონაწილეობა, თავისი პროფესიით დასაქმებული იყო. (Jahresbericht der Hochschule der Bundesagentur für Arbeit 2015/2016).

Prof. Dr. Stwfan Höft, Pr. Dr. Gerald Sailmann

კლიენტთა და თანამშრომელთა გამოკითხვის ცენტრი

კვლევა 5.

ზოგადი და პროფესიული კომპეტენციების შეფასება (კომპეტენციების დიაგნოსტიკა).

პროექტის ცენტრში იდგა არსებული კითხვარის დახვეწა და განვითარება, რომლითაც შესაძლებელი იქნება დამამთავრებელი კლასების მოსწავლეთა სოციალური, მეთოდოლოგიური და პერსონალური უნარ-ჩვევების 360^o-ით შეფასება. 16 სხვადასხვა უნარის განზომილებებიდან გამომდინარე, თითოეული განზომილების ვალიდურობა, ობიექტურობა და სანდოობა სხვადასხვა პროფესიებთან მიმართებაში შემუშავდა. აქედან გამომდინარე, ცხადი გახდა სხვადასხვა პროფესიებში რომელი სოციალური, მეთოდური და პერსონალური უნარებია საჭირო შესაბამისი დიპლომი გასაცემად.

კვლევის სამიზნე ჯგუფი გახლდათ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტები, პროფესიული სასწავლებლების აკადემიური პერსონალი, სოციალ-პედაგოგები. კვლევის მოსალოდნელი შედეგი გახლდათ შემდეგი: სამიზნე ჯგუფის პროფესიული გადამზადება მნიშვნელოვნად შეამცირებს სტუდენტთა მხრიდან სწავლის ნაადრევად შეწყვეტას.

პროექტის ემპირიულ საფუძველს ქმნის მონაცემები, რომლებიც თავად სამიზნე ჯგუფის მიერ პროფესიული გადამზადების ფარგლებში შეიკრიბა. ამის მიხედვით, გერმანელი ახალგაზრდების მიერ ყოველწლიურად 1500 კითხვარი ივსება. პირველი შედეგები აჩვენებენ ახალგაზრდების კონსულტირების შემთხვევაში გადამზადების ღონისძიებების ეფექტურობას სწავლის ნაადრევად შეწყვეტის შესამჩნევად შემცირების კუთხით (Jahresbericht der Hochschule der Bundesagentur für Arbeit 2015/2016).

პროექტის ხელმძღვანელი: პროფ. დოქ. ანდრეას ფრაი

ქ. მანჰაიმის შრომისა და დასაქმების ფედერალური ინსტიტუტი

კვლევა 6.

კონსულტირებისა და შეფასების ინსტრუმენტები U25 (BET – U25)

შრომისა და დასაქმების სააგენტოს კონსულტირების კონცეფცია (სამეცნიერო ნაშრომებზე დაყრდნობით).

2007-2011 წლებში შრომისა და დასაქმების ფედერალურ სააგენტოში შემუშავებულ იქნა კონსულტირების კონცეფცია, რომლის ძირითადი მიზანი იყო შრომისა და დასაქმების სააგენტოს კონსულტირების ხარისხის გაზრდა. ხარისხის მოსალოდნელ გაუმჯობესებას უკავშირდება შედეგებისა და ეფექტური ზემოქმედების მოლოდინები, ერთი მხრივ, უმუშევართა მხარდაჭერის მიზანთან მიმართებაში, ხოლო, მეორე მხრივ, კლიენტთა და თანამშრომელთა კმაყოფილებასთან კავშირში. კვალიფიცირების ღონისძიებების სტაბილურობისა და ეფექტურობის გადასამოწმებლად, რომლებიც კონსულტირების კონცეფციის დანერგვის შედეგად იყო მოსალოდნელი, დაიგეგმა უამრავი აქტივობა, როგორც ადგილობრივ, ასევე რეგიონულ და ცენტრალურ დონეზე.

ემპირიაზე დაფუძნებული ანალიზი 25 წლამდე ახალგაზრდების პროფესიული კონსულტირებისათვის

პროფესიულ კონსულტაციაში შრომისა და დასაქმების სააგენტოს კონსულტირების კონცეფცია, ძირითადად, დაფუძნებულია პროფესიული ლიტერატურის განზოგადებულ დასკვნებზე. პროფესიული კონსულტირების კონცეფციის შემდგომი განვითარება და მისი რეკომენდირების შედეგებთან დაკავშირებული ეფექტური ზემოქმედების ხარისხი, კი საჭიროა, რომ ემპირიულ დასკვნებს ემყარებოდეს. ამაში კი დიდი წვლილი უნდა შეიტანოს კონსულტირებისა და შეფასების ინსტრუმენტმა U25 (BET – U25).

პროექტის ძირითადი ამოცანა იყო იმ მეთოდის განვითარება, რომლითაც 25 წლამდე ახალგაზრდებზე პროფესიული კონსულტირების ზემოქმედება სხვადასხვა განზომილებების მიმართულებით გაზომვადი იქნებოდა. კონსულტირების ეფექტი

თვალსაჩინო იყო, როგორც კლიენტებისათვის, ასევე კონსულტანტებისათვის, რათა მიღწევადი ყოფილიყო მთლიანი პროფესიული კონსულტირების პროცესის (მომზადება, ჩატარება, კონსულტირების საუბრების დამუშავება) ხარისხის გაუმჯობესება. კვლევისათვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა შვეიცარიაში ახალგაზრდებისა და ზრდასრულებისათვის აპრობირებული პროექტი „ცვლილებების ინვენტარი“.

მთლიანი პროექტის ძირითადი მიზანი შესაძლოა ასე ჩამოვაცალიბოთ:

ცვლილებების პროცესის (Veränderungsprozesse) კონსულტირების გზით კვლევა ეხება 25 წლამდე ახალგაზრდებში ცვლილებების პროცესთან დაკავშირებული პროფესიული კონსულტირების ეფექტური ზეგავლენის სისტემატურ დამუშავებას. პრე- და პოსტკითხვარის დახმარებით შემდეგი განზომილებების გადამოწმება მოხდა: პროფესიული თვითშეფასება, პრობლემის გათვითცნობიერება, ინფორმირებულობის ხარისხი, გადაწყვეტილების მიღების მზაობა და რეალიზების ხელშემწყობი აქტივობები. ამ კონტექსტში გამოკითხვის შედეგებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კონსულტირებაზე დაფუძნებულ ზემოქმედების კვლევაზე.

კვლევის დიზაინი: კონსულტაციის მსურველებმა ონლაინ-კითხვარი შეავსეს კონსულტაციამდე რამდენიმე დღით ადრე (პრეკითხვარი), კონსულტაციის შემდეგ რამდენიმე დღეში (პოსტ 1 - კითხვარი) და კონსულტაციიდან სამი თვის შემდეგ (პოსტ 2 - კითხვარი). ახალგაზრდების ნაწილმა კითხვარების შევსებისთანავე მიიღო გრაფიკულად და წერილობით ჩამოყალიბებული უკუკავშირი მათი პროფესიის არჩევის მდგომარეობის შესახებ. უკუკავშირმა აჩვენა, როგორია საერთო ვითარება ხუთ ცენტრალურ განზომილებასთან (იხილეთ ქვემოთ) მიმართებაში და შესაბამისად, თუ გამოიკვეთა კონსულტირების საჭიროება. თვითშეფასების კითხვარის გამოყენებისას პროცესის უსაფრთხოებისათვის დამატებით შეისწავლეს 720 შემთხვევიდან პროფესიული კონსულტანტების შეფასებები და 103 შემთხვევიდან არამონაწილე დამკვირვებლების შეფასებები. ისინი აფასებდნენ კონსულტაციის მსურველთა


პროფესიული არჩევანის მდგომარეობას იგივე ხუთი ცენტრალური განზომილების მიხედვით.

პროექტის ფარგლებში კულტივირებული თვითშეფასების ინსტრუმენტი მოიცავს ახალგაზრდას მდგომარეობის გაზომვას კარიერის არჩევის პროცესში შემდეგი ხუთი ცენტრალური განზომილების მიხედვით:

- ქმედითობისათვის მზაობა/პრობლემის გაცნობიერება;
- პროფესიული თვითშეფასება;
- პროფესიული ინფორმირებულობა;
- გადაწყვეტილების მიღება;
- რეალიზების აქტივობები.

იხილე სქემა 1.

სქემა 1. პროფორიენტაციის რეალიზების აქტივობები:



კონსულტირების ხარისხის გაუმჯობესება

ფსიქოლოგიური ცვლილებების პროცესების კვლევის პარალელურად, საქმე ეხება კონსულტირების ხარისხის გაუმჯობესებას. ამ მიზანს ემსახურება კონსულტანტებისა და კლიენტების ემპირიული გამოკითხვა, რომლებმაც უნდა შეაფასონ, კონსულტირებისა და ევალუაციის ინსტრუმენტის U25 როგორც გამოყენების ხარისხი, ასევე სარგებელი.

ეფექტური დიზაინის ელემენტების (Gestaltungselemente) იდენტიფიკაცია

პროექტი, ასევე, ემსახურება ეფექტური დიზაინის მეთოდების იდენტიფიკაციას. კონსულტირების ზემოქმედების კუთხით, ზოგადი კითხვების პარალელურად, საქმე ეხება დამატებით კითხვებს, რამდენად არის შესაძლებელი დიზაინის ელემენტების (საუბრის სტრუქტურა, კონსულტირების სტილი, მეთოდები), როგორც განმარტებითი ცვლადების (als Erklärungsvariablen), განსაზღვრული ცვლილებებისადმი იდენტიფიკაცია.

პირველ რიგში, უნდა გაირკვეს, კონსულტირების პროცესში რამდენად შეიძლება გამოყენებულ იქნეს კონსულტირებისა და ევალუაციის ინსტრუმენტი U25, როგორც ეფექტური დიზაინის ელემენტი. დადებით შემთხვევაში ინსტრუმენტის გამოყენება შესაძლებელი იქნება არა მხოლოდ ეფექტურობის გასაზომად, არამედ ახალგაზრდებთან კონსულტაციისას მეთოდური ხარისხის გასაუმჯობესებლადაც. ეს უნდა გადამოწმდეს მონიტორინგის (კონტროლის) ჯგუფების - ექსპერიმენტული ჯგუფების დიზაინის დახმარებით.

მეორე მხრივ, გასარკვევია, რამდენად მივყავართ დანარჩენი პროცესების ცვლადებს რეკომენდაციის გაუმჯობესებულ შედეგებთან. ეს კვლევა ჩატარდა შინაარსის ანალიზის მეთოდის დახმარებით. ამით მოცემული კვლევითი პროექტი უკავშირდება ზოგადი კონსულტირების კვლევის არსებით საკითხებს და ცნობიერებას გვიმაღლებს კონსულტირების ინტერაქციებსა და კონსულტირების სტილზე.

2013 წლის პირველი საპილოტე კვლევა და ინსტრუმენტის კითხვარის (Toolsfragebogen) კონცეფცია

2013 წლის კვლევის ფარგლებში ჩამოყალიბდა ინსტრუმენტის კითხვარები, რომლებიც ხელმისაწვდომია, როგორც სრული ვერსიის (50 Items), ასევე მოკლე ვერსიის (16 Items) სახით. მის შესავსებად შეიქმნა დამატებითი კითხვარები, რათა შესაძლებელი იყოს მეთოდის ვალიდურობის განსაზღვრა. ინსტრუმენტის გადამოწმება შესაძლებელი გახდა რეგიონის ექვს სკოლაში. ამის შემდეგ კი მზა ინსტრუმენტის პირველი ვერსია პრაქტიკული გამოყენების აპრობირებისათვის გადაეგზავნა შრომისა და დასაქმების ორ სააგენტოს.

2014 წლიდან ძირითადი კვლევის დასაწყისი: შრომისა და დასაქმების 12 სააგენტოში 2.000 კლიენტისა და დაახლ. 625 კონსულტანტის გამოკითხვა

2014 წელს განხორციელდა კვლევითი-პროექტის ძირითადი ნაწილი, რომლის მიზანი კონსულტირებისა და ევალუაციის ინსტრუმენტის საწარმოო პრაქტიკაში გადამოწმება და ოპტიმაცია იყო. ამისათვის გათვალისწინებული იყო თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების კომბინაცია, რომელთა საშუალებითაც, ერთი მხრივ, პერსონალური ცვლილებების პროცესების სხვადასხვა დიმენსიებში გაზომვა და, მეორე მხრივ, ინტერაქციის პროცესებისა და კონსულტანტთა ინტერვენციების რეკონსტრუირება და გაზომვით ცვლილებებთან კავშირში შეფასება გახლდათ. მთლიანად გამოიკითხა 2.000 კლიენტი და ამასთან მიმართებაში დაახლ. 600 დასკვნა დაიწერა კონსულტანტების მიერ.

კვლევითი პროექტის პირველი შედეგების პრეზენტირება მოხდა პარიზში 2014 წელს „გამოყენებითი ფსიქოლოგიის საერთაშორისო კონგრესზე“ („International Congress of Applied Psychology“ (ICAP), და ბოხუმში გერმანული საზოგადოების ფსიქოლოგიისათვის 49 კონგრესზე (49. Kongress der Deutschen Gesellschaft für Psychologie) (Jahresbericht der Hochschule der Bundesagentur für Arbeit 2015/2016).

ამდენად, გერმანიაში ჩატარებული ცალკეული კვლევების საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რამდენად მნიშვნელოვანია პროფესიული სასწავლებლების სტუდენტთა სწავლის შეწყვეტის პრევენციის მიზნით, თავდაპირველად პრობლემის სწორი იდენტიფიცირება და შემდეგ პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება და შესაბამისი გადამზადება. განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნდა ევროკავშირის მიერ შემოთავაზებული პროექტი, რომლის მიზანიც გახლდათ სკოლისა და პროფესიული კოლეჯის მოსწავლეთა სწავლის ნაადრევად შეწყვეტის პრევენცია.

ნაყოფიერი და სასარგებლო შედეგი მოიტანა აგრეთვე ევროპულ კონტექსტში საერთო საბაკალავრო ხარისხის განვითარებისა და დანერგვის პროგრამის ამოქმედებამ, რომელმაც უზრუნველყო პროფესიული განათლების სფეროში არსებული სასწავლო კურსების გამჭვირვალობა, საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და შინაარსის აღიარებისა და დადასტურების გაადვილება, პროფესიული კონსულტირების ფარგლებში სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების საერთაშორისო მობილობის გაზრდა.

2.2. პროფესიული განათლების პოპულარიზაციის წარმატებული მექანიზმები გერმანიაში

პროფორინტაცია მობილურ საინფორმაციო ცენტრში

ინფომობილი ეხმარება ახალგაზრდებს პროფესიის არჩევაში და ამ მიზნით ეწვევა სკოლებს, გამოფენებს და სხვადასხვა საწარმოს.

ინფომობილის შინაარსობრივი და ტექნიკური აღჭურვილობა ახალგაზრდების აღფრთოვანებას იწვევს. მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ დაათვალიერონ და გამოცადონ მისი შესაძლებლობები. ინფომობილში დატანილია ყველა საჭირო პროგრამა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას პროფესიული - და შრომის ბაზრის სფეროებიდან, რათა შესაძლებელი გახდეს თეორიისა და პრაქტიკის გონივრულად

დაკავშირება. მთელი კონცეპტი კი თამაშის მეთოდით აღმოჩენების გაკეთებას, ახალგაზრდების ინტერესების გაღრმავებასა და ყურადღების გამახვილებას ემსახურება.

ინფომობილი სკოლის სამსახურში

სკოლა სთავაზობს სტუდენტებს ინფომობილთან ინტენსიურ კონტაქტს, რაც პროფესიული სწავლისადმი ინტერესის გაღვივებას უწყობს ხელს. კერძოდ კი აწვდის ამომწურავ ცნობებს მეტალისა და ელექტროწარმოების შესახებ.

მეტალისა და ელექტროინდუსტრიების ინფომობილი, უპირველეს ყოვლისა, გვაწვდის პროფესიულ ინფორმაციებს. ამით ის ეხმარება მოსწავლეებს შესაფერისი პროფესიის შერჩევაში.

ინფომობილის გამოყენება შესაძლებელია მე-8 -დან მე-10 კლასების ჩათვლით, როგორც პროფესიული ორიენტაციის გაკვეთილების შემავსებელი და დამაგვირგვინებელი ნაწილი. ან ისეთი საგნების სწავლებისას, როგორცაა შრომა, ეკონომიკა, ტექნიკა და სოციოლოგია.

ინფომობილი უფასოდ მიდის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან და სასწავლო პროცესის განმავლობაში სკოლის განკარგულებაში რჩება. იგი მოსწავლეებს არა მხოლოდ ფილმებით, სურათებითა და გრაფიკების საშუალებით აწვდის ინფორმაციას, არამედ კომპიუტერული მანქანებით ბორტზე გადასცემს მათ სხვადასხვა საწარმოებში თანამედროვე შრომის ბაზრის შთაბეჭდილებას. მაგალითად, ტექნიკით დაინტერესებულ სტუდენტებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ 45 წთ-იან ან შესაბამისად, 90 წთ-იან CNC – კომპიუტერიზებულ პროგრამულ მართვაში ან თავად აღმოაჩინონ ტექნიკურ-საბუნებისმეტყველო ფენომენები. თეორიისა და პრაქტიკის ამგვარი კომბინაციით ინფომობილი სხვა საინფორმაციო საშუალებებთან შედარებით დაწინაურებულია.

ინფომობილში დამონტაჟებული DVD რეკორდერი - "მეტალი და ელექტროინდუსტრიების - პროფესიული ინფორმაცია" მოსწავლეებს სთავაზობს უფრო მეტ ინფორმაციას თემაზე „მეტალი და ელექტროინდუსტრიების პროფესიული სამყარო“. საგაკვეთილო პროცესში მისი გამოყენებისას იგი შეიცავს 25 მოკლე ფილმს მეტალსა და ელექტროპროფესიებზე, ასევე განათლების მიღებასა და შრომის ბაზარზე „მეტალ და ელექტროინდუსტრიების სფეროს განყოფილებებზე. DVD რეკორდერი თავისი დაწვრილებითი ინფორმაციით ასევე ემსახურება გაკვეთილისთვის მომზადებას. საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვისას სხვადასხვა თემაზე სამუშაო ფურცლების შეთავაზება, უამრავი ინტერნეტგვერდი უფრო მრავალფეროვანს ხდის სამუშაო პროცესს.

სასკოლო აქტივობები პროფესიული ინფორმაციის მისაღებად ინფომობილის ირგვლივ გერმანიის გამოცდილება გვამცნობს, რომ ინფომობილის პარალელურად, საკლასო ოთახში უნდა არსებობდეს დამატებითი სასკოლო რესურსი, რომელიც გაუადვილებს მოსწავლეებს აუცილებელი და მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოძიებას. შესაძლებელია, მოსწავლეებმა ინფომობილით მოინახულონ მათთვის საინტერესო ადგილები და მიღებული ინფორმაცია გონივრულად გამოიყენონ სასწავლო პროცესში.

პროექტის დღე/პროფესიული ინფორმაციის დღე

მეტალის წარმოება და ელექტროინდუსტრია გერმანიაში უდიდესი განშტოებაა, აქვე არსებობს უმსხვილესი სახელოსნოები, სადაც ამ მიმართულებით დაინტერესებულ პირს შეუძლია შეიძინოს საჭირო უნარ-ჩვევები. ადგილები შეზღუდული არ არის და საკმაოდ მრავალფეროვანი არჩევანია მათთვის, ვისაც სურვილი აქვს დაეუფლოს პროფესიას.

ე. წ. პროექტისა - და პროფესიული ინფორმაციის დღეები მოსწავლეებსა და მასწავლებლებს აძლევს შესაძლებლობას ხელმისაწვდომი გახადონ სახელოსნოების სხვადასხვა განყოფილებების შემოთავაზებები; დროულად გაუწიონ შესაბამისი კოორდინირება, რათა საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობას ხელი არ შეეშალოს. ამ

მიზნით, სკოლის ტერიტორია ერთი დღით გადაიქცევა „პროფესიული შესაძლებლობების ბაზრად“.

რეგიონის კომპანიები

მნიშვნელოვანია რეგიონის კომპანიების ჩართვა აღნიშნულ პროცესში, რათა კონსულტაცია გაუწიონ პროფესიების პოტენციურ ექსპონენტებს ან ჩართონ მოსწავლეები დისკუსიებში და საჯარო განხილვაში.

მეტალისა და ელექტროინდუსტრიის ინფომობილი უკვე მრავალი წელია წარმატებით გამოიყენება ამგვარ ღონისძიებებში.

რა თქმა უნდა, პროექტის საპრეზენტაციო დღის ორგანიზება და გაძლიერება დაკავშირებულია გრძელვადიან მომზადებასა და მასთან დაკავშირებულ შესაბამის ბარიერებთან. მრავალფეროვანი გამოცდილება, რომელსაც დააგროვებენ მოსწავლეები ასეთი პროექტის პრეზენტაციის ან პროფესიული ინფორმაციის დღეებში, თითოეულ მათგანს გამოადგება სამომავლო პროფესიების ინფორმირებულად დაგეგმვაში. პროექტის დღეებს ის უპირატესობა აქვთ რომ მთელი სამუშაო ჯგუფი არა მხოლოდ ორგანიზატორულად, არამედ შინაარსობრივადაც ჩართულია საქმიანობაში. მოსწავლეებისათვის შესაძლებელია ისეთი დავალებების მიცემა, რომლებიც პროფორიენტაციის გაკვეთილის პარალელურად, სხვა საგნებსაც მოიცავს. მაგალითად: გერმანული ენა, მათემატიკა ან საზოგადოებრივი მეცნიერებები.

ამ მიმართულებით, განსაკუთრებით, ეფექტურია სხვა სკოლებთან თანამშრომლობა, რაც ამცირებს საორგანიზაციო პრობლემებს, ღირებულების გამოყენების ეფექტს კი ზრდის.

საინფორმაციო შეხვედრა მშობლებთან

დამატებით ინფომობილი შეიძლება გამოვიყენოთ საინფორმაციო საღამოზე, რომელსაც დაესწრებიან მშობლები და ჩავატაროთ დისკუსია თემაზე "პროფესიის არჩევა". როგორც ვიცით, მშობლებს ჯერ კიდევ დიდი გავლენა აქვთ ახალგაზრდებზე პროფესიის არჩევის პროცესში. შესაბამისად, ინფორმაციები შემოთავაზებებისა და მომავალზე ორიენტირებული პროფესიული მომზადების შესაძლებლობების შესახებ, უნდა მიეწოდოს არა მხოლოდ მოსწავლეებს, არამედ მშობლებსაც.

მშობლებს ხშირად დღის მანძილზე არ აქვთ დრო, რომ ეწვიონ ინფომობილს. საინფორმაციო შეხვედრის წყალობით, მშობლებს შეეძლებათ მიიღონ საჭირო ინფორმაცია მეტალისა და ელექტროინდუსტრიის პროფესიების შესაძლებლობებზე. პროექტის პრეზენტაციის დღის ფარგლებში, რომელზეც სხვადასხვა სექტორები და ინსტიტუციები თავიანთი პროფესიების შემოთავაზებებს წარმოადგენენ, შესაძლებელია მშობლებისათვის სპეციალური ღონისძიებების ჩატარებაც.

უმჯობესია დაგეგმილი ღონისძიების შესახებ მშობელს ეცნობოს მოსაწვევი წერილის ან „ჰენდაუთის“ სახით, რომელიც მოსწავლეებს დაურიგდება გაკვეთილზე.

ინფომობილი მეტალისა და ელექტროინდუსტრიების კომპანიებში

როგორც სპეციალურ პროფესიული ინფორმაციის დღეებში, ასევე ღია კარის დღეს, ინფომობილთან დაკავშირებით პროფორიენტაცია და მეტალისა და ელექტროინდუსტრიების კომპანიების კონკრეტული სწავლების შემოთავაზებები წინა პლანზე დგას. ასეთ ღონისძიებებზე ყველა დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა აქვს მოსწავლეებთან ერთად აღმოაჩინოს მისთვის საინტერესო პროფესია და შეაჯეროს თეორიული და პრაქტიკული ცოდნა. დაინტერესებული პირები (იქნებიან ესენი მოსწავლეები თუ სტუდენტები) დააკვირდებიან მასწავლებლებს საქმიანობისას და ისაუბრებენ მათთან ერთად კონკრეტული პროფესიის ყოველდღიურ რუტინაზე. ისინი მიიღებენ რეალურ სურათს გამოცდილი პროფესიონალის სამუშაო გარემოს შესახებ.

მეორე მხრივ, კომპანიებს შეუძლიათ პოტენციურ აპლიკანტებთან პირდაპირი კონტაქტის დამყარება.

სასურველია, მოსწავლეებმა შექმნან მცირე ჯგუფები და მათთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით მოიძიონ ინფორმაცია. შესაძლოა, მოსწავლემ შექმნას პირადი პორტფოლიო, რომელსაც თანდართული ექნება დოკუმენტი წინარე გამოცდილების შესახებ

ინფომობილი პროფესიების ინფორმაციის ბაზარზე

ინფომობილი სისტემატურად მონაწილეობს რეგიონულ - პროფესიული ინფორმაციების გაცვლის ბაზარზე, მაგალითად, დასაქმების სააგენტოების ადგილობრივი პროფესიების საინფორმაციო ცენტრებში. სამრეწველო-ტექნიკური მეტალისა და ელექტროინდუსტრიების პროფესიებით დაინტერესებულ ახალგაზრდებს შეუძლიათ, ძირითადად, პრაქტიკული გამოცდილების წყალობით, რომელიც მათ ინფომობილში დააგროვეს, გააძლიერონ თავიანთი კარიერული არჩევანი. სტუდენტები, რომლებსაც ნაკლებად, ან საერთოდ არ აინტერესებთ სამრეწველო-ტექნიკური პროფესიები, ექნებათ შესაძლებლობა, სხვა პროფესიების შემოთავაზებები ინტენსიურად გამოიყენონ.

საინტერესოა ინფომობილთან მიმართებაში შემდეგი სფეროების განხილვა:

ინფომობილი და საგანმანათლებლო საკითხთა სფერო

როგორც წესი, ინფომობილის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ვიზიტისას, ამგვარ ღონისძიებებს ბევრი მოსწავლე ესწრება და აქტივობა მათი მხრიდან ძალზე დიდია. სწორედ ამიტომ, თემების და საკითხების შერჩევა მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე ხდება.

ინფომობილი და პროფესიული ორიენტაცია - ზოგადი მიმოხილვა

- სხვადასხვა სასწავლო შესაძლებლობების მიმოხილვა - ორმაგი სისტემა, პროფესიული კოლეჯის განათლება;
- პრაქტიკული შემოთავაზება - პირველი კონტაქტი მეტალის წარმოებასა და ელექტროინდუსტრიაში
- პროფესიული სწავლების დისციპლინური და ინტერდისციპლინური უნარები.

ინფომობილი - პროფესიები მეტალსა და ელექტროინდუსტრიაში

- პროფესიების ამსახველი სურათები (სამრეწველო-ტექნიკური, კომერციული)
- განათლებისა და ტრენინგის მიღების შესაძლებლობები

ინფომობილი - მეტალის წარმოება და ელექტროინდუსტრია

- 12 ინდუსტრია და პროდუქტი
- მაღალტექნოლოგიური ინდუსტრია

ქალები სამრეწველო-ტექნიკურ სფეროებში

- თანაბარი შესაძლებლობები
- შესაბამისი ანაზღაურება
- პროფესია და ოჯახი

ძირითადი ტექნოლოგიები

- ავტომატური-და მართვის ტექნიკები
- კომპიუტერზე დაფუძნებული დიზაინი და დამზადება (CNC ტექნიკა და CAD / CAM)
- პნევმატიკა / ჰიდრაულიკა

საბუნებისმეტყველო და ტექნოლოგიური მეცნიერებების ცოდნა

- ფიზიკისა და მათემატიკის საფუძვლების კარგი ცოდნა

ამდენად, როგორც ვნახეთ, ინფომობილი ერთ-ერთი საინტერესო კომპონენტია პროფესიული ორიენტაციისას და მას მნიშვნელოვანი წვლილი შეტანა შეუძლია პროფესიული არჩევანის გაკეთებისა და კარიერის დაგეგმვის პროცესში. მისი გამოყენება შეგვიძლია საბაზო საფეხურიდან მოსწავლეებისა და მათი მშობლებისათვის პროფესიული განათლების პროფესიების ეფექტური პოპულარიზაციის მიზნით. მობილური ინფორმაციული ცენტრის წყალობით, მოსწავლეებს შესაძლებლობა მიეცემათ კომპიუტერული მანქანების საშუალებით ინფომობილის ბორტზე, სხვადასხვა საწარმოებში დანერგილ თანამედროვე შრომის ბაზრის შთაბეჭდილებას ეზიარონ სკოლიდან გაუსვლელად, ზედმეტი დროისა და მატერიალური რესურსის დახარჯვის გარეშე; მეტალისა და ელექტროწარმოების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდების გზით, მოსწავლეები იღრმავებენ ცოდნასა და ინტერესს მეტალისა და ელექტროინდუსტრიის პროფესიების შესახებ, ბორტზე არსებულ დანადგარებზე დეტალების თავად მოსინჯვის შესაძლებლობა კი, თავისი მხრივ, ხელს შეუწყობს მათი მხრიდან ინფორმირებული, გაცნობიერებული პროფესიული არჩევანის გაკეთებას.

ვფიქრობთ, ნაყოფიერ შედეგს გამოიღებს გერმანიის გამოცდილების გაზიარება ინფომობილის კარიერის დაგეგმვის პროცესში გამოყენების თვალსაზრისით. მისასაღმებელი იქნება გერმანული ინფომობილის ალტერნატივის ქართულ რეალობაში შემოტანა და დანერგვა. ძალიან საინტერესო და შედეგზე ორიენტირებული იქნება ინფომობილის ასეთივე მობილური ვერსიის საქართველოს რეგიონების მასშტაბით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში პროფორიენტაციის პროცესში გამოყენება, როგორც მოსწავლეთა პროფესიული არჩევანის გაკეთების ხელშეწყობის მიზნით, ასევე მშობელთა ჩართულობის გაძლიერებისა და ზოგადად, მშობელთა ინფორმირების კუთხითაც.

თავი III

შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაცია

3.1. პროფესიული ორიენტაციის ხელშემწყობი მექანიზმები გერმანიაში

დღესდღეობით სხვადასხვა გზა არსებობს პროფესიული არჩევანის გასაკეთებლად. თუმცადა, ეს ფაქტორი კიდევ მეტად ართულებს სწორი პროფესიის არჩევანის პროცესს. ეს საკითხი კიდევ უფრო მწვავედ დგას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების შემთხვევაში, რადგან მათ კიდევ მეტად უჭირთ დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადება, საკუთარი თავის შეცნობა, ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზება, მიდრეკილებებისა და ინტერესების აღმოჩენა და მათი რელევანტურ პროფესიებთან დაკავშირება; ამასთან, ეს ახალგაზრდები ხშირად დგანან შემდეგი გამოწვევების წინაშე: მათ უჭირთ საკუთარი უნარ-ჩვევების ობიექტურად შეფასება და ამასთანავე, ისინი უფრო ადვილად ექცევიან მშობლების გავლენის ქვეშ. ეს ფაქტი იწვევს გადაჭარბებულ მოლოდინებს პროფესიული კარიერასთან მიმართებაში. „ამ ეტაპზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონსულტანტების როლი და დანიშნულება: მოსწავლეებისა და მათი მშობლების არასაჭირო იმედგაცრუებისაგან „დაცვა“ და იმავდროულად მცირე ნაბიჯებით მათი მომზადება და ქოუჩინგი პროფესიული არჩევანის გაკეთების პროცესში“ (Andrea Herrmann-Weide).

ცნობილია, რომ უნარშეზღუდული ადამიანები არიან ეკონომიკურად ყველაზე ინერტული ჯგუფები, როდესაც ცდილობენ, რომ მოხვდნენ ღია შრომის ბაზარზე, ისინი

ხვდებიან საკმაოდ დიდ ბარიერებს (მაიკლ ჯეი ევანსი, მხარდაჭერითი დასაქმების ევროპული კავშირის პრეზიდენტი).

ინკლუზიურ პროგრამაში ჩართული მოსწავლეები სწავლის პერიოდშივე დგანან სხვადასხვა გამოწვევის წინაშე; მათი სასტარტო პირობები დამოუკიდებელი ცხოვრების მომზადებისას ბევრად უფრო რთულია. შესაბამისად, ტიპური განვითარების მქონე მოსწავლეებთან შედარებით, პროფორიენტაციის მიმართულებით ადრეული ჩარევა და ინტერვენცია სსსმ და შშმ მოსწავლეთათვის, ხშირ შემთხვევაში, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ ამ მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაცია და მათი ამ მიმართულებით სხვადასხვა აქტივობებში ჩართვა, ყველაზე გვიან, მე-7 კლასიდან მაინც დაიწყოს.

საყოველთაო მიზანია, სსსმ და შშმ მოსწავლეთა პროფორიენტაცია ისე გავაუმჯობესოთ, რომ მათ ჰქონდეთ რეალური შანსები დუალური პროფესიული განათლების გზით პირველ შრომის ბაზართან ინტეგრაციისა. ამისათვის კი საჭიროა პროფორიენტაციის ინსტრუმენტები გადამოწმდეს მეთოდურ - დიდაქტიკურად და საჭიროებისამებრ ადაპტირდეს.

ამ მიმართულებით გერმანიის განათლების ფედერალური ინსტიტუტის საგანმანათლებლო ქსელმა დასვა რამდენიმე საკვლევ კითხვა და კვლევების საფუძველზე შეეცადა, ეპასუხა მათთვის და ჩამოეყალიბებინა პრობლემის მოგვარების გზები და მიდგომები:

1. საკვლევ კითხვა: რა გამოწვევების წინაშე ვდგებით შშმ და სსსმ მოსწავლეებთან პროფორიენტაციის ინსტრუმენტების გამოყენებისას?
2. როგორ უნდა შექმნათ ეს ინსტრუმენტები? რომელი კონცეპტუალური ადაპტაციური (მოდულიზაციური) ჩარევებია საჭირო? როგორ შეუძლიათ სპეციალისტებს შესაძლო მოდიფიკაციის პრაქტიკაში გამოყენება?

განვიხილოთ სამართლებრივ ჩარჩოს ფარგლებში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში პროფორიენტაციის ორგანიზებისათვის საჭირო ინსტრუმენტები:

- კომპეტენციების შეფასება
- კარიერული არჩევანის პასპორტი / Berufswahlpass
- პროფორიენტაციის ინსტრუმენტი
- პრაქტიკული პროფორიენტაცია სახელოსნოებში, საწარმოებსა და მოსწავლეთა კომპანიებში (Schülerfirmen) .⁹
- კარიერის დაწყებისას (კარიერული წინსვლისას) მხარდაჭერა
- მოხალისეობრივი შემოთავაზებები

როგორ შეგავლენას ახდენს ეს ინსტრუმენტები სსსმ და შშმ მქონე მოსწავლეებზე და რომელი მოდიფიკაციის საშუალებები გამოიყენება პრაქტიკაში?

მონაწილეები აღნიშნავენ, რომ პროფორიენტაცია უნდა იწყებოდეს შეძლებისდაგვარად ადრე და სკოლაში შესწავლილ ყველა საგანთან უნდა იყოს თანხვედრაში. ახალგაზრდები ნაბიჯ-ნაბიჯ და ადრიდანვე (ყველაზე გვიან მე-7 კლასიდან) უნდა ჩავაბათ პროფორიენტაციაში. ატიპური განვითარების მქონე მოსწავლეებთან პროფორიენტაცია შესაძლოა აღვიქვათ, როგორც „ცხოვრებაზე ორიენტირებულობა“, რომლისთვისაც გამჭოლია გამოცდილების შემდეგი ღირებულებები:

⁹ **მოსწავლეთა კომპანიები** - იგივე მინისაწარმოები, რომლებიც გეგმავენ, აწარმოებენ და ყიდიან პროდუქტებს ან სთავაზობენ სხვადასხვა მომსახურებას. მათი განსაკუთრებულობა ისაა, რომ საქმე ეხება „ნამდვილ“ საწარმოებსა და კომპანიებს, რომლებშიც მოსწავლეები, როგორც თანამშრომლები ან მენეჯერები კომერციულ საქმიანობებს ასრულებენ და ბიზნესგადაწყვეტილებებს იღებენ, იმისათვის, რომ თავიანთი წარმოებული საქონელი ან/და მათ მიერ შეთავაზებული მომსახურება სარფიანად გაყიდონ. აქ არ იგულისხმება რომელიმე თამაში ან მსგავსი აქტივობა, აქ საქმე ეხება ნამდვილ ფულს, რეალურ მოგებას ან წაგებას.

მოსწავლეთა კომპანიები არსებობენ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საბაზო და საშუალო საფეხურზე. მოსწავლეები მუშაობენ როგორც საგაკვეთილო, ასევე გაკვეთილების გარე პროცესში. მოსწავლეთა კომპანიების იდეა დღესდღეობით იმდენად აღიარებულია, რომ ყველა ტიპის სკოლა იყენებს მას. ეს ახალი აქტიური სწავლების ფორმა, ძირითადად, დანერგილია და გამოიყენება 12 წლიდან და 20 წლამდე მოსწავლეებთან.

- ინსტრუმენტების ეფექტი და ზეგავლენა დამოკიდებულია მონაწილეთა სურვილსა და სკოლის მხრიდან პროფორიენტაციაზე მნიშვნელოვნების მინიჭებაზე (ანუ თუ რამდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სკოლა პროფორიენტაციას).
- სამიზნე ჯგუფისათვის ურთიერთობის დონე არის განმსაზღვრელი - ამისათვის კი დროის ფაქტორი არის გადაწყვეტი. მონაწილეები ხშირად ჩივიან, რომ ურთიერთობების დარეგულირებისათვის ინკლუზიურ პროგრამაში ჩართულ კლასებში ბევრად უფრო ნაკლები დროა გამოყოფილი, ვიდრე შშმ მოსწავლეთა ცენტრებში.
- მშობელთა მოლოდინებმა/პრეტენზიებმა შესაძლოა სერიოზული პრობლემა წარმოქმნას, როდესაც მშობლები ინკლუზიას ავტომატურად უმაღლესი ხარისხის (აკადემიური მოსწრების) ატესტატთან აიგივებენ.
- საშუალო საფეხურიდან პროფესიულ სასწავლებლებში გადასვლისას ბევრი ახალგაზრდა (n=130) „იკარგება“. ერთი მხრივ, ძლივს ახდენენ ამ გარდამავალი გზის გავლას დუალურ სწავლებაზე, მეორე მხრივ, ეს ახალგაზრდები პროფესიული სასწავლებლების მნიშვნელობას ეჭვქვეშ აყენებენ.

რაც უფრო მეტად ქმედებაზე ორიენტირებულია ეს ინსტრუმენტები, მით ნაკლებია მისი გამოყენების შემდგომი კორექტირების (მოდიფიკაციის) ალბათობა სსსმ და შშმ მოსწავლეებთან. დასაწყისშივე გარკვეული მოდიფიკაციის გზით შესაძლებელია ინსტრუმენტის ეფექტურობის გაზრდა. ინსტრუმენტებზე დაკვირვებით, შესაძლებელია შემდეგი მოდიფიკაციის ნიმუშები განსაკუთრებით მიზნობრივად (მიზანზე ორიენტირებულად) მივიჩნიოთ:

| ინსტრუმენტი | საჭირო მოდიფიკაცია |
|---|--|
| კარიერული არჩევანის პასპორტი / Berufswahlpass | <ul style="list-style-type: none"> • დამატებითი მოდულებითა და დამატებითი მასალებით მარტივ ენაზე და პიქტოგრამებით შესაძლებელია მეტ სიცხადეს მივაღწიოთ (მეტად მოვფინოთ ნათელი) • სამიზნე ჯგუფს მუშაობისას ინდივიდუალურად უნდა გავუწიოთ მხარდაჭერა. მაგ. კარიერული წინსვლის მხარდაჭერით. |
| პროფორიენტაცია გაკვეთილის პროცესში | <ul style="list-style-type: none"> • არსებული ზომები უნდა გადაიხედოს და, საჭიროებისამებრ, მარტივ ენაზე დარედაქტირდეს. • პროფორიენტაციის საათობრივი წილი არ არის საკმარისი. შესაბამისად, უნდა გაიზარდოს (მაგ. ეკონომიკის - აიტის-შრომის საფუძვლების, გაკვეთილებზე) ან უნდა მოხდეს პროფორიენტაციის სხვა საგნებთანაც დაკავშირება. • შესაძლოა დაგვეხმაროს ე.წ. მეთოდების დღე „პროფორიენტაციის“ თემის შესახებ. |
| პრაქტიკული პროფორიენტაცია | <ul style="list-style-type: none"> • სამიზნე ჯგუფს ესაჭიროება უფრო მეტი პრაქტიკული გამოცდილება. ამაში დაგვეხმარება პროფესიების კვლევა-შესწავლა, სახელოსნოების დღეები, ხელობის დღეები, მოსწავლეთა კომპანიები. |

| | |
|--|--|
| | <ul style="list-style-type: none"> • პრაქტიკული გამოცდილების მიღება უნდა დაიწყოს შეძლებისდაგვარად ადრე (ყველაზე გვიან მეშვიდე კლასში). ამისათვის კი უნდა შევთავაზოთ დიფერენცირებისათვის სხვადასხვა აქტივობები. იმავდროულად, ისიც უნდა გავარკვიოთ და დავგეგმოთ, სხვა მოსწავლეები იმ პერიოდში რით დაკავდებიან. • გაკვეთილების ცხრილები უნდა მოერგოს პრაქტიკის დღეებს. • თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ განაცხადი „პრაქტიკული სწავლება“ შესაძლოა დაუპირისპირდეს განათლების მიზანს „სკოლის ატესტატის“ აღებას. • სსსმ და შშმ მოსწავლეთა სტაჟირებისას აქცენტი უნდა გაკეთდეს დავალებისა და ინსტრუქციის კარგად გაგებაზე, თანამშრომლებთან სამსახურებრივი ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და კომპანიის კულტურის შესახებ მაქსიმალური წარმოდგენის შექმნაზე. ამ ეტაპის ერთი მიზანი არის ის, რომ მოსწავლეს პრაქტიკისას შეეძლოს დავალების შესრულება კომპანიის სტანდარტების და საკუთარი შესაძლებლობების შესაბამისად. მეორე მიზანია, სსსმ პირის მიღება ღირებულ, პოტენციურ თანამშრომლად და მისი ჩართვა სამუშაო გუნდში. |
|--|--|

| | |
|--------------------------------------|--|
| | <ul style="list-style-type: none"> • კარიერის დაგეგმვის კონსულტანტს შეუძლია თავდაპირველი დავალების ანალიზის გაკეთება, რათა გადაამზადოს ბენეფიციარი ცალკეული დავალების შესასრულებლად. ზოგიერთ შემთხვევაში კონსულტანტი უნდა მუშაობდეს სსსმ პირთან ერთად სამუშაო ადგილზე, თუმცა ზოგიერთ სხვა სიტუაციებში კომპანიაში მომუშავე მენტორი/თანამშრომელი ან სხვა პიროვნებები საუკეთესო კანდიდატურები იქნებიან ამ როლის შესასრულებლად. • მნიშვნელოვანია შემდეგი შეკითხვების გამოყენება დავალებათა ანალიზის განსახორციელებლად: <ul style="list-style-type: none"> • რა არის დავალების შესრულების საფეხურები? • რა არის ამ საფეხურების თანმიმდევრობა? • რა არის დავალების შინაარსი სამუშაო პროცესში? • სად შეიძლება ჰქონდეთ შეხება სხვა თანამშრომლებთან? |
| <p>კარიერული წინსვლის მხარდაჭერა</p> | <ul style="list-style-type: none"> • ინდივიდუალური მხარდაჭერა კარიერის დაწყების გზით მაგ. „კარიერული არჩევანის პასპორტის“ მეშვეობით, საგნის მასწავლებლებთან თანამშრომლობის გზით პრაქტიკისას მეთვალყურეობის გაწევა (აქ შეიძლება იგულისხმებოდეს მაგ. საშემოდგომო ბანაკები, არდადეგებზე სტაჟირების გავლა), |

| | |
|----------------------------------|--|
| | <p>სკოლიდან პროფესიაზე ტრანზიციისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამიზნე ჯგუფთან კოორდინირებული მუშაობა. მნიშვნელოვანია ახალგაზრდების მხარდაჭერა რეალური მიზნების დასახვისა და რეგიონში სოციალური ქსელის სრულყოფისა და ოპტიმირების პროცესში.</p> <ul style="list-style-type: none"> • შესაბამისად, მნიშვნელოვანია კარიერის დაწყებისას მხარდაჭერის ყველა არსებული შესაძლებლობების გამოყენება და გაზრდა და ასევე მისი მდგრადობის შენარჩუნება. • სასურველია, ასევე, ინსტიტუციური კავშირის დამყარება სამინისტროებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან... |
| <p>მოხალისეობისას მხარდაჭერა</p> | <ul style="list-style-type: none"> • ეს შემოთავაზებები წარმოადგენს გონივრულ და სასარგებლო დანამატს და საჭიროა, რომ როგორც შემოთავაზება მთელი ცხოვრების მანძილზე და უწყვეტად იყოს ხელმისაწვდომი. |

3.2. პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობი მექანიზმები საქართველოში

საქართველოში პროფესიული ორიენტაცია და კარიერის დაგეგმვა რეფორმირების პროცესშია. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ბაზაზე, სამწუხაროდ, ამ მიმართულებით არ შეინიშნება სერიოზული ძვრები. თუმცადა, პროფესიული

განათლების კუთხით გვაქვს რამდენიმე მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი (სიახლე): საქართველოს პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიაში (2013 - 2020) აღნიშნულია პროფესიული განათლების სივრცეში სოციალურად დაუცველი და მოწყვლადი ჯგუფების ჩართვის მნიშვნელობა: მოსახლეობის ნებისმიერი წევრის მომზადება სრული პროფესიული და პიროვნული განვითარების, სამართლიანი შესაძლებლობებისა და მაღალანაზღაურებად სამუშაოზე დასაქმებისა თუ თვითდასაქმებისათვის. სტრატეგიის ერთ-ერთი ამოცანა სწორედ დივერსიფიცირებული, ყველასათვის ხელმისაწვდომი, უნივერსალური დიზაინის მქონე, მოქნილი სასწავლო გარემოს და სისტემის უზრუნველყოფაა (რუხაძე 2016,9).

არსებული ბარიერების გამო, ტრანზიციის პროცესი წინასწარ გააზრებულ დაგეგმვას, საჭირო რესურსების მოძიებასა და გარემოს შესაბამის ორგანიზებას მოითხოვს. მოზარდის ტრანზიციის გეგმა, საუკეთესო შემთხვევაში, ცხოვრების მიმდინარე ეტაპის დასრულებამდე იწყება და სასურველი სამუშაო ადგილის მოძიებითა და დასაქმებით მთავრდება. თუმცა დასაქმებამდე შესაძლოა მოზარდმა გრძელი ან არასრული გზა გაიაროს: სრული ან არასრული საშუალო განათლების მიღებით; ფორმალური ან არაფორმალური მომზადების პროცესში ჩაბმით; მოხალისეობით, სტაჟირებით და სხვა.

ამ გზაზე სამი, ერთმანეთში გარდამავალი შუალედური მიზანი და ფაზა გამოიყოფა (Soriano, 2006):

I ეტაპი: პროფესიული ორიენტაცია

- საკუთარ თავსა და გარემოში არსებულ შესაძლებლობებში გარკვევა
- გადაწყვეტილების მიღება

ამ ეტაპზე აქტუალურია პიროვნების წახალისება თვითგამორკვევისაკენ, რაც საკუთარი სურვილების, ინტერესებისა და შესაძლებლობების ანალიზს გულისხმობს; ინფორმაციის მიწოდება არსებული და პოტენციური დასაქმების ადგილების შესახებ;

ხშირ შემთხვევაში, ორიენტაციის პროცესში შეიძლება აქტუალური სწორედ არჩევანის გაკეთების უნარის გავარჯიშებაც იყოს (ჰესტეტუნი, 2010).

სამუშაო, რომელიც ორიენტაციის ეტაპის ფარგლებში ხორციელდება, აისახება ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმაში.

II ეტაპი: მომზადება

- სწავლა
- მომზადება
- გადამზადება

მეორე ეტაპის ძირითადი მიზანია პიროვნებისათვის სასურველი სამუშაოს შესაბამისი კომპეტენციის დაუფლება, კვალიფიკაციისა და მისი დამადასტურებელი სერთიფიკატის მიღება.

III ეტაპი

- გაძლიერება
- დასაქმება
- „მიყოლა“

მესამე ფაზა კი საბოლოო შედეგის მიღწევას - დასაქმებას უკავშირდება. აღნიშნული ფაზის მიზანია მოზარდის დასაქმება, სამსახურის შენარჩუნება და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება.

დასკვნა:

ყველა მოსწავლისათვის ინკლუზიური განათლების მიღების ხელშეწყობის მიმართებაში განსაკუთრებული გამოწვევა არის სსსმ და შშმ მოსწავლეებისათვის პროფორიენტაციის დაგეგმვა და განხორციელება, იმისათვის რომ არ დაირღვეს მათი სამართლებრივი და სამოქალაქო უფლება - მათი პროფორიენტაციის აქტივობებში ინდივიდუალურად ჩართვის უფლება! წარსულში ეს ითვლებოდა ხელშეწყობის ცენტრების მოვალეობად. დღეს კი ეს უნდა მივიღოთ, როგორც საგანმანათლებლო

სისტემის ჩარევის აუცილებელ პირობად. ამასთანავე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, შშმ პირთა ხელშეწყობის ცენტრების გზით ცენტრირებული ფორმის არსებული კონტაქტები და სამუშაო მეთოდები გადაეცეს ინკლუზიური განათლების დეცენტრალურ ფორმას. აქვე მოვიაზრებთ პროფორიენტაციის სკოლების მხრიდან თავისუფალ კოორდინირებასაც“ (ანდრეა ჰერმან-ვაიდე (Andrea Herrmann-Weide).¹⁰

საბოლოოდ, ინკლუზიური განათლების დანერგვა (როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ დონეზე) მიმართულია იმისკენ, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებები თანდათან, სულ უფრო და უფრო მეტად პასუხობდნენ ნებისმიერი მოქალაქის ინდივიდუალურ საჭიროებას; ზრდიდნენ დემოკრატიულ და არადისკრიმინაციულ ფასეულობებზე დაფუძნებული საზოგადოების წევრებს; გასცემდნენ ხარისხიან, ხარჯთეფექტურ, სამართლიან და მოქნილ მომსახურებას ყველასათვის (UNESCO, 2009).

საბოლოოდ, დასკვნის სახით, გვინდა, ყურადღება გავამახვილოთ იმაზე, რომ გერმანული გამოცდილების მიხედვით, შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეები ასევე წარმატებით არიან ჩართულები მოსწავლეთა მინიკომპანიებში. სსსმ მოსწავლეები მოსწავლეთა კომპანიებში მუშაობენ როგორც საგაკვეთილო, ასევე გაკვეთილების შემდეგ პროცესშიც. სასიხარულოა ის სიახლე, რომ მოსწავლეთა კომპანიების იდეა ინერგება საქართველოშიც, კერძოდ, სსიპ ქ. თბილისის 202-ე საჯარო სკოლაშიც, სადაც უსინათლო და მცირედმხედველი მოსწავლეები იღებენ განათლებას. აქ ისინი, პირველ ეტაპზე, კულინარიის მიმართულებით შექმნიან მოსწავლეთა მინიკომპანიას და

¹⁰ „Berufsorientierung in inklusiven Klassen für Jugendliche mit sonderpädagogischem Förderbedarf“

„Servicestelle Bildungsketten beim Bundesinstitut für Berufsbildung (BIBB) für das Bundesministerium für Bildung und Forschung (BMBF) 2013, Bonn, www.bildungsketten.de

საზოგადოებრივი კოლეჯი „იკარუსის“ კულინარიის პროგრამის სტუდენტებთან ერთად გამოაცხოხონ და გაყიდონ ფუნთუშებსა და კროასონებს.

ბუნებრივია, უმნიშვნელოვანესია, პროფორიენტაციის პროცესში მშობელთა ჩართულობის გათვალისწინება და სწორი დაგეგმვა, რამდენადაც მშობლები ის ადამიანები არიან, რომლებიც ყველაზე უკეთ იცნობენ თავიანთი შვილების სუსტ და ძლიერ მხარეებსა და ამავდროულად, ყველაზე მეტად შესტკივით გული მათ მომავალზე. საკითხის ნათელსაყოფად მესამე თავში ვისაუბრებთ კარიერის დაგეგმვის ფაზაში მშობელთა ეფექტური და მდგრადი ჩართულობის შესაძლებლობებსა და მექანიზმებზე.

თავი IV

პროფორიენტაციის პროცესში მშობელთა ეფექტური და მდგრადი ჩართულობის უზრუნველყოფის ფორმები და შესაძლებლობები

4.1. (ხარისხის ექვსი სტანდარტი მშობლებთან საგანმანათლებლო მუშაობის მიმართულებით)


ახალგაზრდების ფორმალური და არაფორმალური სწავლების პროცესი დიდწილად მიმდინარეობს სკოლებსა და ოჯახებში. მშობლებთან კოორდინირებული მუშაობა და მათი ჩართულობა ეფექტური და სრულყოფილი პროფორიენტაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია.

მშობლები ასევე ძალიან ძვირფასი რესურსია მოსწავლეთა პროფორიენტაციის პროცესში სკოლისთვისაც. ერთი მხრივ, ისინი არიან ყველაზე სანდო და მნიშვნელოვანი მრჩევლები თავიანთი შვილებისათვის. იმ საკითხებთან მიმართებაში, როგორცაა სკოლიდან ჯერ სწავლის საფეხურზე, ხოლო შემდეგ ტრანზიციაზე (დასაქმებაზე) გადასვლა. მეორე მხრივ, მათ შეუძლიათ თავიანთი პირად პროფესიულ ბიოგრაფიაზე დაყრდნობით საკუთარი ინიციატივებით, იდეებით, რჩევებითა და შეთავაზებებით სკოლის პროფესიული ორიენტაციის კონცეფციაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ.

ემერიტუს პროფესორმა ვერნერ ზახერმა (Prof. Dr. Werner Sacher), რომელიც გახლდათ წამყვანი ექსპერტი მშობლებთან საგანმანათლებლო მუშაობის დარგში საერთაშორისო

შედარებითი კვლევების შედეგების საფუძველზე შეიმუშავა ექვსი ხარისხის სტანდარტი მშობლებთან საგანმანათლებლო მუშაობის კუთხით. ექვსი ხარისხის სტანდარტი იხილეთ ქვემოთ მოცემულ ნახაზზე:

სქემა 2. ექვსი სტანდარტი მშობლებთან მუშაობისას



4.2. მშობელთა ცნობიერების ამაღლება პროფესიული განათლების მხრივ სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე

საგანმანათლებლო სივრცეში მშობლებთან კოორდინირებული მუშაობა და მათი პროცესში ჩართვის უზრუნველყოფა, ხშირ შემთხვევაში, ბევრად უფრო ბევრ ბარიერსა და გამოწვევასთან არის დაკავშირებული, ვიდრე თავად მოსწავლეებთან და სტუდენტებთან. განვიხილოთ, როგორია მშობლებთან წარმატებული მუშაობის გამოცდილება მათი ცნობიერების ამაღლების კუთხით სხვადასხვა ქვეყანაში:

დიდ ბრიტანეთში პროფესიული განათლების გასაძლიერებლად მნიშვნელოვანი ძვრები განხორციელდა 2014 წლიდან. ამ დრომდე 14-15 წლის მოსწავლეების დაახლოებით 1/3 სურდა, მიეღო პროფესიული განათლება, მაგრამ 19-20 წლის ასაკის ახალგაზრდების მხოლოდ 1/10 ირჩევდა ამ გზას. 16-24 წლის ახალგაზრდების 16% კვლავ დაუსაქმებელი რჩებოდა, რის გამოც გატარდა მთელი რიგი ღონისძიებები ამ ასაკის მშობელთა ცნობიერების ასამაღლებლად. მშობელთა ცნობიერების ამაღლებაზე ზრუნვა განპირობებული იყო იმით, რომ მშობელთა მხოლოდ 1/4 იყო დადებითად განწყობილი პროფესიული განათლებისადმი, 70% ახალგაზრდებისა კი მშობლის აზრს ითვალისწინებდა კარიერის მოწყობის პროცესში. ამისათვის, დიდი ბრიტანეთის მთავრობამ დაიწყო ინტეგრირებული სააკლიკაციო სისტემის დანერგვა პროფესიული და აკადემიური კვალიფიკაციების მისაღებად, რაც გულისხმობს ახალგაზრდების შესაძლებლობების არეალის გაფართოებას კარიერის დაგეგმვის პროცესში. ასევე, ეროვნულმა მთავრობამ წამოიწყო კამპანია „პროფესიული განათლება, როგორც მეორეხარისხოვანი აკადემიური განათლება.“ პროფესიული განათლების ამგვარი გააზრება უფრო მეტად პოპულარულს ხდიდა მას და მშობელთა გულებსაც ადვილად იპყრობდა.

გატარებული რეფორმების ფონზე მნიშვნელოვნად გაიზარდა მშობელთა ცნობიერება პროფესიული განათლების მხრივ, რაზეც მოწმობს Special Eurobarometer 369-ის „Attitudes towards vocational education and training“ 2011 წლის მოხსენების მონაცემები გაერთიანებული სამეფოს შესახებ, ახალგაზრდების პიროვნული ინტერესი

პროფესიული განათლების მიმართ 96%-ია, ხოლო ზოგადი განათლების მიმართ კი 88%. ეს ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით.

ფინეთში პროფესიული განათლების მიღება მოსწავლეს საბაზო განათლების საფეხურის შემდეგ შეუძლია, დაახლოებით 16 წლის ასაკში. იმისათვის, რომ პროფესიული განათლება მისაღები და პოპულარული გამხდარიყო მოსახლეობის ყველა ფენისათვის, ფინეთში შეიმუშავეს შემდეგი პროფესიული განათლების სისტემა: პროფესიული კოლეჯის (3 წელი, 120 კრედიტი) ან საშეგირდო ტრენინგის გავლის შემდგომ, სტუდენტს სამუშაო გამოცდილებასთან ერთად საშუალება ეძლევა, სწავლა განაგრძოს პოლიტექნიკურ საბაკალავრო პროგრამაზე, რომელიც გრძელდება 1-დან 3 წლამდე. ამის შემდგომ სამწლიან სამუშაო გამოცდილებასთან ერთად სტუდენტს შეუძლია აიმაღლოს ხარისხი და სწავლა განაგრძოს 2 წლიან პოლიტექნიკურ სამაგისტრო პროგრამაზე.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ფინეთის განათლების სამინისტრო ცდილობს წახალისოს პროფესიული განათლების პროვაიდერები, რათა უფრო განვითარდეს ეს სფერო. კონკრეტულად, სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტებსა და ქრონიკულ ავადმყოფებს საშუალება ეძლევათ ისარგებლონ განსხვავებული პირობებით (სოციალური უზრუნველყოფა welfare services და ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმა). მთავრობა მოტივირებულია ხელი შეუწყოს ინკლუზიას.

ეს ფაქტი მეტად მნიშვნელოვანი მომენტია სპეციალური საჭიროებების მქონე მშობელთათვის, რადგან მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია თავიანთ შვილებს მისცენ პროფესია, ჰქონდეთ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზების საშუალება და დასაქმების პერსპექტივა. ხოლო, რაც შეეხება პროფესიული განათლების სამაგისტრო ხარისხში აყვანას, ეს მთავრობის მხრიდან სერიოზული ნაბიჯია პროფესიული განათლების პოპულარიზაციისათვის სოციალურად მაღალი კლასების წარმომადგენლებში. რადგან, ხალხის აზრით, სტუდენტის შესაძლებლობები იზღუდება პროფესიული განათლების მიღებისას. სამაგისტრო პროგრამის დაწესებით კი მთავრობამ პრაქტიკულად აღმოფხვრა ეს პრობლემა.

არაბეთის გაერთიანებულ საემიროში, სოციოეკონომიკური სტანდარტების გათვალისწინებით, ნაკლებ განათლებული და დაბალი შემოსავლის მქონე მშობლები მეტ წილად ურჩევენ თავიანთ შვილებს მიიღონ პროფესიული განათლება, ხოლო უმაღლესი განათლების მქონე მშობლები კი უპირატესობას აკადემიურ განათლებას ანიჭებენ თავიანთი შვილების პროფესიის არჩევის ეტაპზე. იმისათვის, რომ პროფესიული განათლება უფრო მეტად პოპულარული და მიმზიდველი გახდეს მაღალი ფენის წარმომადგენელთათვის საჭირო გახდა პროფესიული პროგრამების გადახედვა, მათი განახლება და პროგრამების კურიკულუმში უფრო მეტად პრაქტიკული საქმიანობის ჩადება. ყოველდღიური ურთიერთობა პროფესიულ საქმიანობასთან უფრო მეტად საინტერესოს ხდის სტუდენტისათვის ამ სფეროს და მშობლებსაც მეტად უჩნდებათ სურვილი თავიანთი შვილები დაკავებულები იყვნენ პრაქტიკული საქმიანობით პროფესიული განათლების მიღების პროცესში. არაბეთის ემირატებში ასევე დაიგეგმა პროფესიული განათლების მქონე დასაქმებული სტუდენტების ხელფასების გაზრდა, რამაც მშობელთა კმაყოფილება გამოიწვია.

2015 წლის ეროვნული ინიციატივების სტრატეგიის თანახმად, აბუ დაბის პროფესიული განათლების მიმართულებაში დაინერგა უახლესი ე.წ. “EmiratesSkills” პროგრამა, რომლის მიზანია ახალგაზრდა ემირებისა და მათი მშობლების ცნობიერების ამაღლება კარიერაზე დაფუძნებული ტექნიკური და პროფესიული განათლების მისაღებად. ამ პროგრამის ფარგლებში დაიგეგმა ორგანიზაციული კონკურსები, ღონისძიებები და ტექნიკური კარიერული აქტივობები.

ნიგერიაშიც, ისევე როგორც არაბეთში, მშობელთა განწყობა პროფესიული განათლების მიმართ განპირობებულია სოციოეკონომიკური ფაქტორებით. 2011 წლის კვლევებმა აჩვენა, რომ მშობლები, უმეტეს წილად, ერევთან თავიანთი შვილების პროფესიის არჩევის პროცესში და მაშინაც კი თუ შვილი აირჩევს პროფესიულ განათლებას ისინი ბოლომდე რჩებიან უარყოფითად განწყობილნი თავიანთი შვილის მიერ მიღებული გადაწყვეტილებისადმი. ისინი მიიჩნევენ, რომ ეს ღარიბი ხალხის საქმეა. იმისათვის, რომ მშობლების თვალში მოსაწონი გამხდარიყო პროფესიული განათლება, მთავრობამ

გადაწყვიტა პროფესიული განათლების პროგრამები განეხლებინა და ამ პროცესში უფრო მეტად შრომის ბაზრის მოთხოვნები გაეთვალისწინებინა. მშობელთა ცნობიერების ასამაღლებლად მიიჩნიეს, რომ უკეთესი იქნებოდა თუ მათი შვილები უშუალოდ დასაქმდებოდნენ და გაუჩნდებოდათ შემოსავალი აღნიშნული პროგრამების გავლის მეშვეობით.

ჰონგ კონგში ეროვნულმა მთავრობამ, პროფესიული განათლების პროვაიდერებთან და ორგანიზატორებთან ერთად გაატარა მთელი რიგი ღონისძიებები მშობელთა ცნობიერების ასამაღლებლად. პირველ რიგში, მათ იზრუნეს იმაზე, რომ ყველა მშობლისათვის ინფორმაცია უფრო მეტად მისაღწევი და ხელმისაწვდომი ყოფილიყო. მათ მედია საშუალებებისა და სარეკლამო რგოლების მეშვეობით პროფესიული განათლების პროგრამები ცნობადი გახადეს. ასევე გამოიყენეს ინტერნეტრესურსები, 2014 წელს შექმნეს სოციალური ქსელი - facebook ვებგვერდი, სადაც 2015 წლის თებერვლისათვის გაწევრიანებული იყო 35000 მიმდევარი, რომლებიც ყოველდღიურად ეცნობოდნენ სიახლეებს. საიტზე გამოიყო მშობელთა ზონა, სადაც მშობლები თავიანთ ემოციებსა და შეხედულებებს კომენტარის სახით ტოვებდნენ. ეს იყო საუკეთესო საშუალება როგორც მშობლებისათვის, ასევე პროფესიული განათლების პროვაიდერებისა და მთავრობის წარმომადგენლებისათვის. ამასთან, შეიქმნა პროფესიული განათლების მობილური აპლიკაცია, რომელსაც უკვე 2015 წლის იანვრისათვის 20 000 მომხმარებელი დაუფიქსირდა.

ამდენად, სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების გაცნობამ ცხადყო, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მშობელთა პროფესიულ განათლებაში ჩართვა და მათი ამ მიმართულებით ცნობიერების ამაღლება. ცხადია, ამ სეგმენტის გაძლიერება, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს პრეროგატივაა. ამ მიმართულებით გატარებული რეფორმები, დასახული მიზნები, სწორად დაგეგმილი სტრატეგიები და მიდგომები უმნიშვნელოვანესია და დადებითად აისახება თავად ახალგაზრდების მომავალ პროფესიულ უნარ-ჩვევებზეც. მშობლებთან კოორდინირებული მუშაობა და მათი

ჩართულობის უზრუნველყოფა ეფექტური და სრულყოფილი პროფორიენტაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია.

თავი V

ემპირიული ნაწილი

5.1. კვლევის საკითხის განსაზღვრა

„გადარჩებიან არა ყველაზე ძლიერი თუ ყველაზე
ჭკვიანი სახეობები, არამედ ისინი,
რომლებიც ყველაზე სწრაფად ახერხებენ
ცვლილებებზე რეაგირებას“
ჩარლზ დარვინი

საკომუნიკაციო საშუალებების განვითარების შედეგად პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა, სოციალურმა თუ საგანმანათლებლო პროცესებმა მსოფლიოში გლობალური ხასიათი მიიღო. სხვა ფაქტორებთან ერთად ამას ხელი შეუწყო ინფორმაციაზე წვდომის ზრდამ. მრავალი ბარიერი, რომლებიც ხელს უშლიდა ინფორმაციის თავისუფალ გავრცელებას, უკვე აღარ არსებობს. შეიქმნა ვითარება, როდესაც, ერთი მხრივ, გაჩნდა ინფორმაციის მოპოვების ახალი საშუალებები, გაფართოვდა პროფესიების სპექტრი, წარმოიშვა დასაქმების ახალი შესაძლებლობები, ხოლო, მეორე მხრივ, შრომის ბაზარზე გამწვავდა კონკურენცია, რის შედეგადაც სახე იცვალა საკუთრივ შრომის ბაზარმაც და გლობალური მასშტაბები შეიძინა. ინფორმაცია სხვადასხვა სახელმწიფოების შრომის შიდა ბაზარზე არსებული სიტუაციის შესახებ საერთაშორისო საკომუნიკაციო ქსელების მეშვეობით ხელმისაწვდომი გახდა არა მხოლოდ ამ სახელმწიფოების მოქალაქეებისათვის, არამედ სამუშაოს იმ მაძიებლებისთვისაც, რომლებიც ქვეყნის ფარგლებს გარეთ ცხოვრობენ. ინფორმაციის მოპოვებისა და გაცვლის თვალსაზრისით შრომის ბაზარი უფრო გახსნილი გახდა, გაფართოვდა არეალი სამუშაოს მაძიებელთათვის, რამაც გამოიწვია შრომითი მიგრაციის ზრდა.

თუ ადრე შრომითი ემიგრაციის უდიდეს ნაწილს, ძირითადად, ნაკლები კვალიფიკაციის მქონე მუშახელი წარმოადგენდა, თანამედროვე პირობებში ამ კუთხითაც შეინიშნება ცვლილებები. ეკონომიკური თვალსაზრისით, მოწინავე ქვეყნებში გაიზარდა მოთხოვნა კვალიფიციურ ხელოსნებზე, შორეული გადაზიდვების მძღოლებზე, მექატრონიკებზე, ელექტრომექანიკოსებზე, მეზღვაურებზე და ა.შ. არსებულმა ვითარებამ სამუშაოს მაძიებლებისაგან მოითხოვა მეტი მობილურობა, ცვალებად ეკონომიკურ გარემოსთან ადაპტირებისათვის საჭირო მზაობა და პროფესიული კვალიფიკაციის ამადლებისათვის უწყვეტი ზრუნვა.

მსოფლიო მასშტაბით განვითარებულმა ეკონომიკურმა პროცესებმა უდიდესი გავლენა მოახდინა არსებულ საგანმანათლებლო პოლიტიკაზე. ამ თვალსაზრისით, უფრო მეტი ყურადღება ეთმობა პროფესიული განათლების საკითხს: დაინერგა არაერთი ინოვაცია, შეტანილ იქნა სწავლების თანამედროვე მეთოდები და მიდგომები, მიმდინარეობს ახალი, მანამდე არარსებული, პროფესიების სწავლება.

კარიერის დაგეგმარებას, როგორც პოლიტიკის სფეროს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ბოლო ათი წლის განმავლობაში იგი აქტიურად განიხილება სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ, მათ შორის OECD, მსოფლიო ბანკის და ევროპული კომისიის და მისი სააგენტოების მიერ. ეს უკანასკნელი მოიცავს ორმოცდაათი ქვეყნის სისტემურ მიმოხილვას.

როგორც ყველა პიროვნება ინდივიდუალურია, ასევე ყველა ქვეყანა არის უნიკალური. ყველა ქვეყანას აქვს საკუთარი კულტურა და ინფრასტრუქტურა კარიერული რესურსების და მომსახურების მისაწოდებლად (კარიერის დაგეგმვის სახელმძღვანელო 2015).

მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში ადამიანებს შესაძლებლობა აქვთ მთელი ცხოვრების განმავლობაში ისწავლონ, აიმაღლონ პროფესიული კვალიფიკაცია ან დაეუფლონ ახალ სპეციალობას. ამგვარი შესაძლებლობის არსებობა მათ ეხმარება შრომის ბაზარზე

კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებაში, მსურველებს აქვთ იმის საშუალება, რომ ცხოვრების განმავლობაში დაეუფლონ რამდენიმე პროფესიას, მომზადებული შეხვდნენ შრომის ბაზარზე არსებულ გამოწვევებს, მოერგონ საბაზრო კონიუნქტურას. ამისთვის კი, პირველ რიგში, აუცილებელია საგანმანათლებლო პროცესის იმგვარად ორგანიზება, რომ იგი შეესაბამებოდეს განათლების მსურველი ადამიანის საჭიროებებს. საგანმანათლებლო პროცესში მნიშვნელოვანია ადამიანის ასაკისა და იმ გარემოების გათვალისწინება, რომ მას შესაძლებლობა ჰქონდეს, აიმაღლოს კვალიფიკაცია და დაეუფლოს ახალ პროფესიას. უდავოა ის ფაქტი, რომ, რაც უფრო მოწესრიგებულია ქვეყანაში პროფესიული განათლების სფერო, მით მეტია კონკურენტუნარიანი კვალიფიციური სპეციალისტების მომზადების შესაძლებლობა. ამდენად, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ როგორაა ორგანიზებული პროფესიული განათლება, შეესაბამება თუ არა იგი თანამედროვე სტანდარტებს და რამდენად არის ეს სფერო მზად იმისათვის, რომ კვალიფიციური განათლება მისცეს მსურველებს. განათლების სისტემა არის ის საფუძველი, რომელზე დაყრდნობითაც ვითარდება ქვეყნის საზოგადოებრივი და სახელმწიფო ინსტიტუტები. სახელმწიფოს მდგრადობის შენარჩუნებისა და მისი გაძლიერებისათვის აუცილებელია, ახალი გამოწვევების შესაბამისად, პერიოდულად ხდებოდეს ქვეყნის განათლების სისტემის რეფორმირება და მოდერნიზება. საქართველო ამ თვალსაზრისით, როგორც სახელმწიფო, უნდა ესწრაფოდეს დანერგოს მსოფლიოში უკვე აპრობირებული წარმატებული მოდელები და ადგილობრივი სიტუაციის გათვალისწინებით მიუსადაგოს იგი ქვეყანაში არსებულ რეალობას. საგანმანათლებლო რეფორმის მიმდინარეობის პროცესში მიზანშეწონილი იქნება საქართველოში უკვე მოქმედი განათლების სისტემის ფუნქციონირების შედეგების, მიღწევებისა და ხარვეზების ობიექტური ანალიზი, მსგავსი უახლესი ისტორიული გამოცდილების მქონე ქვეყნებში საგანმანათლებლო სისტემების მუშაობის წარმატებული მაგალითების შესწავლა და ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევების შედეგად მიღებული დასკვნების გათვალისწინება.

განათლების სისტემის რეფორმის სტრატეგია უნდა მოიცავდეს იმ პრიორიტეტებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ, როგორც სამოქალაქო საზოგადოების განვითარების პროცესს, ასევე სახელმწიფოს ინსტიტუციონალურ გაძლიერებას. ერთ-ერთ ასეთ პრიორიტეტად პროფესიული განათლება გვესახება. რეფორმის უმთავრესი დანიშნულება გახლავთ, შეიქმნას ისეთი განათლების სისტემა, რომელიც უპასუხებს, არა მხოლოდ თანამედროვე, არამედ სამომავლო გამოწვევებსაც.

იმისათვის, რომ განათლების სისტემის ფარგლებში შესაძლებელი იყოს ტექნოლოგიური პროგრესის დინამიკითა და შრომის გლობალურ ბაზარზე არსებული მძაფრი კონკურენციით განპირობებული მოთხოვნების შესატყვისი ადამიანური რესურსის მომზადება, სისტემა უნდა გახდეს უფრო მობილური. საჭიროა მისი იმგვარად ორგანიზება, რომ ღია იყოს სიახლეებისადმი, მაგრამ, ამავდროულად, შენარჩუნებულ იქნეს ჯანსაღი კონსერვატიული მიდგომებიც. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს საქართველოში პროფესიული განათლების დარგის განვითარების საკითხს. ამკარაა კადრების დეფიციტი გამოყენებით სპეციალობებში. სპეციალისტების მომზადებისათვის აუცილებელია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების აღჭურვა თანამედროვე ტექნოლოგიებით და იქ დასაქმებულ პედაგოგთა თუ ფასილიტატორთა კვალიფიკაციის ამაღლება. მისასალმებელია ის ფაქტი, რომ ამ მიმართულებით ნელ-ნელა იდგმება მნიშვნელოვანი ნაბიჯები, თუმცა, მიუხედავად რიგი რეფორმებისა, პროფესიული განათლება კვლავ რჩება არასასურველ პროფესიულ საქმიანობად. იმისათვის, რომ ეს დამოკიდებულება შეიცვალოს, საჭიროა:

- სახელმწიფომ ფინანსურად სრულად უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროცესი პროფესიული სწავლების მეოთხე და მეხუთე საფეხურებზე;
- სწავლების ყოველ საგანმანათლებლო საფეხურზე, განათლების მიღების თვალსაზრისით, მაქსიმალურად გაფართოვდეს შესაძლებლობათა ველი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბენეფიციარებისათვის;

- დაიხვეწოს და გაფართოვდეს ზრდასრულთა პროფესიული განათლების პროგრამები.

თანამედროვე გაგებით, განათლება სისტემური მეცნიერული ცოდნის შექმნის პროცესი და შედეგია. იგულისხმება, რომ ეს პროცესი მტკიცედ ორგანიზებულია. გლობალიზაციასთან დაკავშირებული პროცესები ისეთი მასშტაბის სახელმწიფოსათვის, როგორც საქართველოა, ბევრი მიმართულებით შესაძლოა, არც იყოს ხელსაყრელი, მაგრამ, რაც შეეხება განათლებას, აქ უდავოდ გამოსაყენებელია ის უპირატესობები, რომლებსაც გლობალიზაციის პროცესი სთავაზობს ქვეყანას. საჭიროა საქართველოში პროფესიული განათლების განვითარება და დუალური სისტემის დანერგვა ამ მოცემულობის შესაბამისად. ამასთანავე, უკიდურესად მნიშვნელოვანია მსოფლიოში მიმდინარე პროცესებისა და ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინება.

ჩვენი ქვეყანა სუვერენული სახელმწიფოა. იგი მსოფლიო თანამეგობრობის სრულუფლებიანი წევრია და, ბუნებრივია, რომ მსოფლიოში მიმდინარე პროცესები საქართველოზეც ახდენს გავლენას. ისევე, როგორც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, აქაც აქტუალურია პროფესიული განათლებისა და დუალურ სისტემაზე ტრანზიციის საკითხი. ამ კუთხით ჩვენს ქვეყანაშიც შეინიშნება მნიშვნელოვანი ცვლილებები. განათლების დარგი რეფორმის პროცესშია, ეს გარემოება კი პირდაპირპროპორციულად აისახება პროფესიულ განათლებაზეც. რეფორმის მიმდინარეობასა და მის მოსალოდნელ შედეგებთან დაკავშირებით გამოთქმული შეფასებები და მოსაზრებები არაერთგვაროვანია. შესაბამისად, პროფესიულ განათლებაში არსებული სიტუაცია იძლევა არარელევანტური შეფასებების გაკეთების საფუძველს. მართებული იქნება იმის აღნიშვნა, რომ საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზების კუთხით აშკარაა წინსვლა:

- გაუმჯობესდა პროფესიული სასწავლებლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- საბაზო განათლების საფეხურის კურსდამთავრებული მოსწავლეებისათვის პროფესიული განათლება ჩიხს უკვე აღარ წარმოადგენს. საბაზო განათლება

მიღებულ (9 კლასი) პირებს შესაძლებლობა ეძლევათ ჩაირიცხონ პროფესიულ სასწავლებლებში და სწავლის წარმატებულად დამთავრების შემდგომ მიიღონ დიპლომი, რომელიც ასევე გათანაბრებული იქნება 12 კლასის ატესტატთან და შეეძლება სწავლა გააგრძელონ უმაღლეს სასწავლებელში.

- გადაიდგა ნაბიჯები ინკლუზიის მიმართულებით - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებს აქვთ საშუალება, რომ განათლება თავიანთ საცხოვრებელ ადგილებთან ახლოს, მათთვის სასურველ ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ დაწესებულებებში მიიღონ. ინკლუზიურ პროგრამაში ჩართული მოსწავლეებისათვის იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლებიც უშუალოდ მათ შესაძლებლობებს, მიდრეკილებებსა და ინტერესებზეა მორგებული. შესაბამისად, მათთვის სწავლა არა ზოგად ჭრილში, ეროვნული სასწავლო გეგმის საყოველთაო პრინციპებით, არამედ უშუალოდ მათი ძლიერი და სუსტი მხარეებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით მიმდინარეობს.
- ამაღლდა სწავლების ხარისხი და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო პროცესის დახვეწასთან დაკავშირებული ტენდენცია მკაფიოდ არის გამოხატული, არსებობს პრობლემები, რომელთა მოგვარებაც აუცილებელია, იმისათვის, რათა კვალიფიციური სპეციალისტების მომზადების პროცესი გახდეს მიზანმიმართული და შედეგზე ორიენტირებული.

5.2 ქვეყანაში არსებული სიტუაციის ანალიზი

საქართველოში, როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყანაში, რიგი მცდელობების მიუხედავად, პროფესიული განათლება კვლავ რჩება არამიმზიდველ და არასასურველ მიმართულებად, მაგალითად, EUVEGE-ის თანახმად, 20-24 წლის იმ ახალგაზრდების წილი, რომლებიც პროფესიული განათლების დაწესებულებებში ჩაირიცხული

სტუდენტების უმრავლესობას წარმოადგენს, მხოლოდ 1.19%-ია (სამეწარმეო განათლება საქართველოს პროფესიული განათლების სისტემაში, 2016). მიუხედავად ქვეყანაში უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლისა, მაინც ვერ ხერხდება არსებული ვაკანსიების შევსება, რადგან უმუშევარი ახალგაზრდების პროფესიული უნარები არ არის თანხვედრაში შრომის ბაზრისა და კომპანიების მოთხოვნილებებთან. ბევრ სფეროში იზრდება კვალიფიციური კადრების საჭიროება, რომლის უზრუნველყოფასაც ვერ ახერხებს პროფესიული განათლების სისტემა. დასაქმებული ახალგაზრდების უმრავლესობა ან უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულია და სხვა პროფესია გააჩნია, ან უსწავლელი მუშახელია. ამ ორ არეალს შორის მყოფთა პროცენტული მაჩვენებელი კი ძალიან ცოტაა.

იმისათვის, რომ საქართველოში მიმდინარე სიტუაციის ობიექტური ანალიზი შეგვძლებოდა, შევეცადეთ, პროფორიენტაციისა და პროფესიული განათლების ფარგლებში ყველა შესაძლო სექტორი გამოგვეკითხა. ინფორმაციის მოკვლევა ვაწარმოვეთ 2016 წლის იანვრიდან 2017 წლის ბოლომდე ოთხ სხვადასხვა სეგმენტზე. ესენია: *პოლიტიკურ, ორგანიზაციულ, საწარმოო* და ინდივიდუალურ დონეებზე წარმოებული გამოკითხვები. გთავაზობთ გამოკითხვის შედეგებს:

5.2.1 პოლიტიკურ დონეზე წარმოებული გამოკითხვის შედეგები

პროფორიენტაციის მიმართულებით ქვეყანაში არსებული საჭიროებათა ანალიზისა და პრობლემის აქტუალობის დასადგენად, სხვადასხვა საფეხურზე ჩავატარეთ კვლევა. თავდაპირველად განვიხილოთ კვლევის შედეგები, რომლებიც ჩვენი მიზნიდან გამომდინარე, განვახორციელეთ პოლიტიკურ დონეზე. - სამიზნე ჯგუფი გახლდათ სამინისტროები, დამსაქმებელთა ასოციაციები, საერთაშორისო ფონდები. წარვმართეთ ჩაღრმავებული ინტერვიუ ზემდგომ ორგანოებში წამყვანი თანამდებობების პირებთან. თითოეული გამოკითხული პირისაგან მივიღეთ თანხმობა ინტერვიუს შედეგების დისერტაციაში გამოყენებასთან მიმართებაში.

ჩალრმავეებული ინტერვიუ ჩავატარეთ და გავესაუბრეთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური განათლების განვითარების სამმართველოს უფროსს, ქალბატონ ეკა დგებუაძეს. გვინტერესებდა, რას ფიქრობს ქალბატონი ეკა ქვეყანაში პროფორიენტაციის მიმართულებით მიმდინარე პროცესებზე და რა იგეგმება ამ მიმართულებით ინკლუზიურ განათლებაში ჩართულ მოსწავლეებისათვის. როგორც ქალბატონმა ეკამ აღნიშნა, საპილოტე სკოლებში იგეგმება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა სხვადასხვა აქტივობებში ჩართვა, რომლებიც მოიაზრებენ პროფესიული არჩევანის მიმართულებით მათი ცნობიერების ამაღლებას. კერძოდ, სპეციალური მასწავლებლების დახმარებით, დადგინდება ამ მოსწავლეების ძლიერი და სუსტი მხარეები, მათი ინტერესები და მიდრეკილებები და ამის შესაბამისად შესთავაზებენ მათ პრაქტიკის გავლას სხვადასხვა კომპანიებსა და საწარმოებში. ცხადია, ამ აქტივობების განხორციელება თავდაპირველად პილოტურ რეჟიმში ჩატარდება, თუმცაღა მომავალში მათი ფართო მასშტაბებით ჩატარება იგეგმება, - აღნიშნა ქალბატონმა ეკამ.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სსიპ - „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის“ ხელმძღვანელი ერთმნიშვნელოვნად აღიარებს ქვეყანაში პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მნიშვნელოვნებას და თავის მზაობას აცხადებს ამ მიმართულებით დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობების მიმართ. მას მიაჩნია, რომ ეს არის მიმართულება, სადაც უპირობოდ ესაჭიროება ქართველ ახალგაზრდებს თანადგომა და მხარდაჭერა. ამ საკითხის გაძლიერებას ემსახურება „სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულ ცენტრში“ დაგეგმილი და მიმდინარე სხვადასხვა ღონისძიებები, თუმცა, ცენტრის ხელმძღვანელი თვლის, რომ გასაკეთებელი კვლავ ბევრი რჩება და ურიგო არ იქნება ამ მიმართულებით საზღვარგარეთის ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება.

საინტერესო ხედვები ჰქონდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გერმანელ ექსპერტს პროფესიული განათლების დარგში, ბატონ მარიო რადომსკის. იგი მიიჩნევს, იმისათვის, რომ პროფესიულ განათლებაში მივაღწიოთ წარმატებებს, უმნიშვნელოვანესია, რომ მასწავლებლები და მოსწავლეები ერთმანეთთან თანაბარ პოზიციაში იყვნენ. „მომავალში პროფესიული განათლება არ უნდა იყოს ორიენტირებული მხოლოდ სწავლის შედეგებზე, არამედ მასწავლებლების მხრიდან უნდა მოხდეს სწავლის ხელშეწყობა, პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება და ეკონომიკის უზრუნველყოფა“.

ბატონი მარიოს აზრით, ასეთი შედეგის მისაღწევად ბევრი რამ უნდა შეიცვალოს. მაგალითად, როგორცაა მოსწავლემ უნდა ისწავლოს სასწავლო პროექტების ჩატარება და გაძლოა. თემის მრავალმხრივი დამუშავება შესაძლებელს ხდის მაღალი ხარისხის ჩართულობის, რეფლექტირებისა და წინარე ცოდნის გამოყენების მაქსიმალურ უზრუნველყოფას. ჩვენ ვითვალისწინებთ წინარე გამოცდილებას, წავახალისებთ არასწორი ინფორმაციების გამოსწორებას და მოგვიანებით სწავლაში ან პროფესიულ საქმიანობაში დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღებას. ეს იქნება პროფესიულ პედაგოგიკასა და ზრდასრულთა განათლებაში ძირითადი ინტერესის სფერო და სიახლე. მასწავლებლებისათვის პროფესიული პედაგოგიკის ახალი აღმოჩენები ხშირად უჩვეულოა. საჭიროა, რომ პედაგოგებმა მომავალში ინდივიდუალური სტილის, განსხვავებული გაკვეთილები ჩაატარონ და იმავდროულად დაადგინონ, რომ მოსწავლეთა მთლიანი ჯგუფი ერთიან მინიმალურ სწავლის შედეგს მაინც მიაღწევს. მასწავლებელს სჭირდება სიტუაციური უნარი ჯგუფში ერთდროული და ამასთანავე განსხვავებული პროცესების მართვის.

მარიო რადომსკის აზრით, სასწავლო ღონისძიებებში უნდა გაერთიანდეს შესაბამისი სწავლების მეთოდები, რომლებიც დინამიკური უნარ-ჩვევების, განსხვავებული ნიჭის განვითარებასა და ხელშეწყობას უზრუნველყოფენ, რადგან მხოლოდ ინფორმირებული, კომპეტენტური და მოტივირებული ადამიანები ქმნიან სოციალურ ცვლილებებს. ჩვენ

ვალდებულნი ვართ, რომ ახალგაზრდებს ეს შევადლებინოთ - მიიჩნევს გერმანელი ექსპერტი.

მარიო რადომსკი თავისი მრავალმხრივი გამოცდილების ფონზე ასკვნის, რომ მასწავლებელი უნდა იყოს „შესაძლებლობის მიმნიჭებელი“. მასწავლებლის როლი ცვალებადია. პროფესიული კომპეტენციების გვერდით მასწავლებლის დავალებაა დაგეგმვისა და გადაწყვეტილების პროცესების სტრუქტურირებისას დახმარების გაწევა და ამასთან საჭირო დიდაქტიკური და ორგანიზაციული პირობების სამუშაო მეთოდოლოგიური კომპეტენციების გადაცემა, ასევე ჯგუფურ-დინამიკური პროცესების გაცნობიერება და რეფლექსიის პროცესების ხელშეწყობა.

გვანტერესებდა პროფორიენტაციის საკითხთან დაკავშირებით როგორი პოზიცია აქვს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ინკლუზიური დეპარტამენტის უფროსს, ქალბატონ ჟანა კვაჭაძეს. იგი თვლის, რომ პროფესიული ორიენტაცია და კარიერის დაგეგმვა, განსაკუთრებით, მნიშვნელოვანია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთათვის. რადგან მათ კიდევ მეტად უძნელდებათ საკუთარი თავის შეცნობა და იდენტიფიკაცია. შესაბამისად, ქალბატონი ჟანა მიიჩნევს, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში პროფორიენტაციის სერვისის შეთავაზება ინკლუზიურ განათლებაში ჩართული მოსწავლეებისათვის უნდა დაიწყოს შემდგომ დაგვარად ადრე, მაგალითად, მეექვსე კლასიდან. მისი ძალიან დიდი სურვილია, რომ ამ მიმართულებით ამოქმედდეს პროგრამა, რომლის ფარგლებშიც სსსმ და შშმ მოსწავლეთა პროფესიულ ორიენტაციას საბაზო საფეხურზე საწყის ეტაპზე, სპეცპედაგოგები შეითავსებენ.

გავესაუბრეთ საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის ვიცეპრეზიდენტს ბატონ მიხეილ კორძაძეს. გვანტერესებდა, როგორია მისი ხედვა დამსაქმებელთან მიმართებაში პროფორიენტაციის მიმართულებით. ბატონმა მიშამ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ უმნიშვნელოვანესია, საწარმოებისა და, ზოგადად, ბიზნესსექტორის ჩართვა ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული დაწესებულებების განათლების პროცესში და მათი ერთობლივი კოორდინირებული მუშაობა, იმისათვის, რომ მოსწავლეებმა

შემდონ ინფორმირებული, გააზრებული პროფესიული არჩევანის გაკეთება. გარდა ამისა, ბატონი მიშა ავითარებს სენტენციას, რომ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების დონეზე პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული განვითარების პოლიტიკა სავალდებულოდ უნდა მოიცავდეს განათლების ორივე საფეხურის (აკადემიური და პროფესიული) პროფესიებისათვის მოსწავლეთა მომზადებას და მათთვის სათანადო სერვისების წარმოების პოლიტიკას. ამავე დროს აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იყოს, ის ფაქტორი, რომ ასაკობრივ ჭრილში უნდა შეფასდეს სკოლის მოსწავლეების ფსიქოლოგიური მზაობისა და აღქმადობის რეალური შესაძლებლობები, კონკრეტული საფეხურების მიხედვით. პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმარების ეტაპი სასურველია ადრეულ ასაკში (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებშივე) ხელმისაწვდომი იყოს მოსწავლეებისათვის, მაგრამ დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე ადრეულ ასაკში მათი განხორციელება ნაკლებად რეალისტურია”.

დამსაქმებელთა ასოციაციის ვიცეპრეზიდენტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მშობლებისათვის გასაწევი ღონისძიებების მწყობრი პაკეტის არსებობას. იგი თვლის, რომ ამ მიმართულებით, განსაკუთრებით საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის მენტალური დამოკიდებულებების გათვალისწინებით, ძალზედ სერიოზული პოზიტივი შეიძლება შეიტანოს მშობლებთან სწორმა, რეალობასა და ეკონომიკის პერსპექტივებზე მორგებული პროცესების წარმოებამ.

მიხეილ კორძახია მიიჩნევს, რომ სკოლის დონეზე პროფესიების შესწავლის ფორმატში ძირითადი მხარეები შემდეგნაირად იდენტიფიცირდებიან: სკოლა, მშობელი, საწარმო, დასაქმების სააგენტო, კოლეჯი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. “მხარეების ეფექტური თანამშრომლობის მექანიზმის ჩამოყალიბება ძირეულად დამოკიდებულია თავად სკოლის ადმინისტრაციის მოტივაციაზე, რომელიც განმსაზღვრელი შეიძლება იყოს მთლიანად სკოლის დონეზე პროფესიული

კვალიფიკაციის საფუძვლების სწავლებისას. სკოლა წარმოადგენს ფაქტობრივად იმ ეპიცენტრს, რომლის გარშემოც უნდა მოიკრიბოს ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესები. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვნადაა განმსაზღვრელი თითოეული კონკრეტული მხარისთვის სამოტივაციო მექანიზმების შემუშავება და ფაქტობრივად უნდა გამოირიცხოს ნებაყოფლობითი და მორალისტური მიდგომებით მათი ამ პროცესის „ვითომ“ დაინტერესება. ამგვარი დამოკიდებულება დასაწყისშივე განწირულია წარუმატებლობისთვის და ამ შემთხვევაში, შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი სენტენცია: „აღმოფხვერი სკოლას ფინანსური დაუინტერესებლობის პრაქტიკა, ხოლო მხარეებს შეუქმენი მაქსიმალური მოტივაცია.“

ჩაღრმავებული ინტერვიუს ფარგლებში ვესაუბრეთ გერმანიის, ქ. მანჰაიმის შრომისა და დასაქმების ფედერალური ინსტიტუტის რექტორს, ბატონ ანდრეას ფრეის და ინსტიტუტის პრორექტორს, პროფესორ მიჰაელ შარპფს. ეს ინსტიტუტი გახლავთ მსოფლიოში მე-4 სასწავლებელი ჰარვარდის, ლონდონისა და პარიზის უმაღლეს სასწავლებლებს შემდგომ პროფესიულ განათლებაში ჩართული კადრის სპეციალიზირების კუთხით. რექტორი საქართველოში ვიზიტის ფარგლებში გაეცნო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა პროგრამებს, თვლის, რომ საქართველოს, უპირველეს ყოვლისა, ესაჭიროება პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტების მოსამზადებელი საუნივერსიტეტო კურსი (საბაკალავრო, ან სამაგისტრო). თსუ-ს რექტორთან შეხვედრისას განაცხადა, რომ მზად არის, თავისი ინსტიტუტის ცოდნა და გამოცდილება გაუზიაროს საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტს და ხელი შეუწყობს კონსულტანტების მოსამზადებელი კურსის დანერგვის საქმეში.

ქ. მანჰაიმის შრომისა და დასაქმების ფედერალური ინსტიტუტის პრორექტორი, ბატონი მიჰაელ შარპფი მიიჩნევს, რომ საწყის ეტაპზე უპრიანი იქნება პროფესიული კონსულტანტების სამაგისტრო კურსის დანერგვა. კურსის ამუშავებისა და ამ

მიმართულებით პროფესურის გაძლიერების შემდეგ კი უკვე შესაძლებელი იქნება პროფესიული კონსულტანტების მოსამზადებელი საბაკალავრო კურსის შექმნაც.

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების წარმომადგენელი საქართველოში მიიჩნევს, რომ პროფესიული განათლება ერთ-ერთი სტრატეგიული ფაქტორი გახლავთ საქართველოში, რომლის განვითარებაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ამისათვის კი უნდა მოხდეს სახელმწიფოს მხრიდან პროფესიული განათლებისა და კერძო სექტორის თანამშრომლობის წახალისება. პროფესიულ კოლეჯში დარეგისტრირებულ სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ საწარმოებში პრაქტიკის გავლისა და საქმიანობების პრაქტიკულად მოსინჯვის შესაძლებლობა. ასევე მნიშვნელოვანია პროფესიული განათლების ხარისხის გაზრდა და კვალიფიციური, გამოცდილი კადრების მოდინების უზრუნველყოფა. ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებასაც, თუ „ვის ხელში“ ხვდებიან ახალგაზრდები საწარმოებსა და კომპანიებში პრაქტიკის გავლისას. რამდენად პედაგოგიურ-დიდაქტიკურად ხდება ცოდნის გადაცემა და რამდენად კვალიფიციური ამ მიმართულებით თავად კერძო სექტორში მომუშავე პერსონალი.

საქართველოში პროფორიენტაციის კულტივირების საკითხებთან დაკავშირებით ვესაუბრეთ პროექტის „პროფესიული განათლება და სატრენინგო პარტნიორობა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში“ ექსპერტს, ბატონ დირკ რიონეკეს. მისი აზრით, სწორედ პროფესიული განათლების მიმართულებით სწორი ხედვის ჩამოყალიბება და განვითარება გახლავთ ის ფაქტორი, რაც საქართველოს ეკონომიკას ამჟამად სასიცოცხლოდ ესაჭიროება. ამ საკითხის მოგვარება კი დაწყებითი სწავლების საფეხურიდანვე პროფორიენტაციასა და კარიერის დაგეგმვას ხელეწიფება. საჭიროა, ახალგაზრდებს დავებმართოთ, გააცნობიერონ საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები, შეიცნონ თავიანთი თავი, გააანალიზონ, რა ინტერესები აქვთ და რა მიმართულებით უფრო ძლიერია მათი მიდრეკილებები. შემდგომ ამისა, მივცეთ მათ პრაქტიკისა და ინტერესების შესაბამისად საწარმოებსა და კომპანიებში სხვადასხვა საქმიანობების მოსინჯვის შესაძლებლობა. ბატონ რიონეკეს მიაჩნია, რომ ამ ღონისძიებების დანერგვა უნდა იყოს როგორც სკოლის, ასევე საწარმოებისა და მშობლების პრეროგატივა.

ექსპერტი თვლის, რომ მხოლოდ კოორდინირებული, თანამშრომლობითი ურთიერთობის შედეგად არის შესაძლებელი სასურველი და ეფექტური შედეგის მიღწევა.

საკითხთან დაკავშირებით შედარებით სკეპტიკური ხედვა აქვს თბილისში დაარსებული გერმანიის სავაჭრო პალატის მენეჯერს, ბატონ კნუტ გერბერს. ის მიიჩნევს, რომ პროფორიენტაციისა და კარიერის გადამზადების სრულყოფილი სერვისის შესაქმნელად საჭიროა ქვეყანაში დასაქმების სააგენტოების ჩამოყალიბება - განვითარება. ამ კუთხით კი მნიშვნელოვანი ნაბიჯი სახელმწიფოს მხრიდან უნდა გადაიდგას. იგი აქტიურად გახლდათ ჩართული პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სამმართველოს წარმომადგენლების გადამზადების საკითხში. მისი თაოსნობით ამ სამმართველოდან 2016 წლის ივნისში ათი ადამიანი გადამზადდა გერმანიის, ქ. მუნხენის მუნიციპალიტეტის სავაჭრო პალატაში.

თუმცა ბატონი კნუტი გულდაწყვეტილი აღნიშნავს და წუხს იმის თაობაზე, რომ საქართველოში არ არის სახელმწიფოს მხრიდან სტრატეგიული ხედვა არსებულ მიმართულებასთან დაკავშირებით. იგი გულისხმობს პროფორიენტაციის სამმართველოს წარმომადგენლების გერმანიაში გადამზადების შემდეგ 2017 წლის იანვარში განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ ამ სამმართველოს ოპტიმიზაციის ეგიდით დახურვას.

5.2.2. ორგანიზაციულ დონეზე წარმოებული გამოკითხვის შედეგები

პროფესიული განათლების დუალურ სისტემაზე გადასვლა არა მხოლოდ საქართველოში, მთელ მსოფლიოში მეტად აქტუალურია. დუალური სწავლება გერმანული პროფესიული განათლების მოდელია, რომელიც შრომით ბაზარზე პრაქტიკულად მორგებულ მიდგომას წარმოადგენს და დამსაქმებლის მონაწილეობით

პარალელურ რეჟიმში თეორიული და პრაქტიკული ცოდნა-უნარების შექმნის საშუალებას იძლევა, რაც უმოკლესი გზაა დასაქმებისთვის.

დღესდღეობით ჩვენს ქვეყანაში, განსაკუთრებით, მწვავედ დგას პროფესიული განათლების დუალურ სისტემაზე ტრანზიციის საჭიროება. ცხადია, საქართველოსთვის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის მიღწევაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს მწარმოებლურობის ზრდა წარმოადგენს.

ჩვენთვის საინტერესო იყო, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების, როგორც ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორებთან მჭიდრო კავშირში მყოფი სამოქალაქო ორგანიზაციის, ჩვენს საკვლევ საკითხთან დაკავშირებით ხედვისა და დამოკიდებულების გაგება. პროფესიული კავშირების გაერთიანებაში ქვეყანაში არსებულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად არაინფორმირებულობა ან ინფორმაციის ნაკლებობა მიაჩნიათ. ისინი ფიქრობენ, რომ საჭიროა პროფესიულ კოლეჯებში არსებული პროგრამების რელევანტური საინფორმაციო კამპანია, როგორც საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდების, ასევე კონკრეტულ სამიზნე ჯგუფთან მუშაობის კუთხით. სოციალური პარტნიორობა უკეთ უნდა იქნეს ამოქმედებული პროგრამის დაგეგმვის, იმპლემენტაციის და შეფასების პროცესებში.

პროფესიული კავშირები მტკიცედ არიან დარწმუნებულები იმაში, რომ საწარმოები, რომლებშიც ბენეფიციარები გაივლიან სტაჟირებას, უნდა შეირჩეს პროგრამის დაწყებამდე, მკაცრ კრიტერიუმებზე დაყრდნობით. კრიტერიუმები უნდა განისაზღვროს სოციალური პარტნიორების მონაწილეობით. როდესაც საწარმოები არ არის წინასწარ შერჩეული და განსაზღვრული, პროგრამის დაწყების მომენტისათვის უცნობია, შეძლებენ თუ არა ბენეფიციარები სტაჟირების გავლას. პრაქტიკული კომპონენტი კი მსგავსი პროგრამისთვის ძალზედ მნიშვნელოვანი და აუცილებელია.

პროფესიული კავშირების გაერთიანებაში აფიქსირებენ მოსაზრებას, რომ წარმატების მოპოვების უპირველეს ქვაკუთხედად კოლეჯებში სწავლის დონისა და ხარისხის

გაუმჯობესება უნდა დაისახოს მიზნად. რადგან, ბოლო წლების გამოცდილებამ ცხადყო, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ფარგლებში მიღებული ცოდნით მუშაობის დაწყება ხშირ შემთხვევაში უჭირთ კურსდამთავრებულებს, რადგან განათლება არ არის თანხვედრაში კომპანიების მოთხოვნილებებთან და უმეტეს შემთხვევაში, იგი ძალიან დაბალია. თუმცა აქვე ნათელყოფენ კოლეჯების ადმინისტრაციების აზრს აღნიშნულთან დაკავშირებით, რომელთაც მიაჩნიათ, რომ უმეტეს პროფესიებზე ეს გადამზადება საკმარისია მუშაობის დაბალ პოზიციაზე დასაწყებად.

ცხადია, ქვეყანაში არსებული სიტუაციის ანალიზისას გვერდს ვერ ავუვლიდით კერძო კოლეჯების მოსაზრებებისა და ხედვების გაცნობას. ვესაუბრეთ საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის პრეზიდენტსა და კერძო კოლეჯი „გეორგიას“ დირექტორს, ბატონ გიორგი ბერაიას. იგი კერძო კოლეჯების ძირითად მისიად ბიზნესთან ინტეგრაციასა და დასაქმების გაუმჯობესებაში წვლილის შეტანას ასახელებს. თუმცა ასევე ღიად საუბრობს ყველაზე მთავარი პრობლემების წინაშეც, რაც კერძო კოლეჯების წინაშე დღესდღეობით დგას - ეს გახლავთ სახელმწიფო კოლეჯებთან მიმართებაში არსებული არაკონკურენტუნარიანი გარემო. ამის მთავარ განმაპირობებელ მიზეზად ასოციაციის პრეზიდენტი პროფესიულ განათლებაში დაფინანსების არსებულ წესსა და რეგულაციას ასახელებს. როგორც ვიცით, პროფესიული კოლეჯის სტუდენტები არ სარგებლობენ ვაუჩერული სისტემით, რაც ცხადია მათ სახელმწიფო კოლეჯების სტუდენტებთან შედარებით არასამართლიან მდგომარეობაში აყენებს.

პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის სკოლებში ამოქმედების მიზნით, ჯგუფური სიღრმისეული ინტერვიუ ჩავატარეთ სკოლის დირექტორებთან. ფოკუს ჯგუფში მონაწილეობდა შვიდი საჯარო სკოლის დირექტორი. შვიდივემ ცალსახად აღიარა, რომ სკოლებში ნამდვილად დგას საჭიროება იმისა, რომ არსებობდნენ კვალიფიციური პროფესიული კონსულტანტები, რომლებიც პროფესიულ

დონეზე გაუწევინ მოსწავლეებს მხარდაჭერას, ადეკვატურად შეაფასონ საკუთარი შესაძლებლობები, რაც საბოლოოდ, მათ პროფესიის არჩევანში დაეხმარებათ.

ჩვენი შეკითხვები, საჯარო სკოლების დირექტორებთან მდგომარეობდა შემდეგში: როგორია მათი მოსაზრება პროფესიული ორიენტაციის მოდელის სკოლებში დანერგვასთან მიმართებაში; რამდენად ართმევენ თავს მათ სკოლებში მოსწავლეები პროფესიული არჩევანის გაკეთების პროცესს; როგორ ესახებათ ამ საკითხის უკეთ მოგვარების გზები.

როგორც სსიპ ქ. თბილისის 198 -ე საჯარო სკოლის დირექტორმა განაცხადა, პროფესიული ორიენტაცია ახალი დისციპლინაა ქართულ რეალობაში და მას უფრო მეტი ყურადღება უნდა ექცეოდეს. რამდენადაც, ის მოზრდებს ეხმარება საკუთარი თავის, შრომის ბაზრისა და საგანმანათლებლო შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მოპოვებაში.

სსიპ ქ. თბილისის 203-ე საჯარო სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ არ არის საკმარისი ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გაკვეთილების რაოდენობა პროფესიული ორიენტაციასა და კარიერის დაგეგმვის მიმართულებით. რამდენადაც, პროფორიენტაციის გაკვეთილები მე- 9 კლასში მხოლოდ 8 საგაკვეთილო საათს, ხოლო მეთერთმეტე კლასში - მხოლოდ 4 საგაკვეთილო საათს მოიაზრებს, მოზარდები ვერ ახერხებენ პროფესიების შესახებ სრულყოფილი და ჰოლისტური ინფორმაციის მიღებას და ის მცდელობები, რაც პროფორიენტაციის გაკვეთილების ფარგლებში ხორციელდება, არის მხოლოდ ფრაგმენტული და ძირითადად, თეორიული შინაარსის მატარებელი.

სსიპ ქ. თბილისის 200-ე საჯარო სკოლის დირექტორმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ნამდვილად მიესალმება პროფორიენტაციის გაკვეთილების საგაკვეთილო ბადეში ჩასმას და ამისთვის სავალდებულო ხასიათის მიცემას. ეს, მისი აზრით, გამორიცხავს სხვადასხვა სკოლების მოზარდებს შორის დიფერენციაციას და არათანაბარ მდგომარეობას. ამ მოსაზრებას იზიარებს ფოკუს ჯგუფში ჩართული ყველა დირექტორი.

ისინი თვლიან, რომ დამრიგებლის საათის გამოყენებაც ამ მიმართულებით საკმაოდ გონივრული იქნება. ეს ხელს შეუწყობს მოსწავლეებში კარიერული მიმართულებით თეორიული ასპექტების გაზიარებას, რაც პროფორიენტაციის გაკვეთილების ფარგლებში, პრაქტიკულადაც გამყარდება.

ჩაღრმავებულ ინტერვიუს მეთოდით გამოვკითხეთ სსიპ ქალაქ რუსთავის 21-ე საჯარო სკოლის დირექტორი, ქალბატონი ნინო გავაშელი. გვანტერესებდა, როგორია მისი ხედვა პროფორიენტაციის მიმართულებით და რა ღონისძიებებს სთავაზობს იგი ამ კუთხით თავის მოსწავლეებს. როგორც ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, ქალბატონი ნინო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით სხვადასხვა აქტივობების დანერგვას და მიაჩნია, რომ სკოლას ამ სეგმენტის კულტივირებაში „ლომის წილი“ უკავია. სწორედ სკოლაა ის ადგილი, სადაც მოსწავლის პიროვნულად, ფსიქოლოგიურად ჩამოყალიბება ხდება. ხშირია შემთხვევები, რომ მოსწავლეები ვერ აცნობიერებენ, რა აინტერესებთ, რა გამოუვათ უფრო უკეთესად. ისინი ადვილად ექცევიან ასევე უფროსი მეგობრების, მშობლების ან ახლობლების გავლენის ქვეშ. სწორედ ამ დროს არის მნიშვნელოვანი პროფორიენტაციის მასწავლებლის ჩარევა და სწორი კონსულტაციის გაწევა.

ქალბატონ ნინოს მიაჩნია, რომ მიუხედავად დიდი მოწადინებისა, მხოლოდ სკოლა ვერ უზრუნველყოფს მოსწავლეებისათვის სრულყოფილი და ეფექტური პროფესიული ორიენტაციის სერვისის შეთავაზებას, თუ საკითხით არ დაინტერესდება კერძო სექტორი, საწარმოები, კომპანიები, რომლებიც სკოლისათვის პოტენციური ექსპურსიების, საწარმოო ვიზიტების და სხვადასხვა საქმიანობების ადგილზე გაცნობის არეალს წარმოადგენენ.

ამდენად, როგორც ფოკუს-ჯგუფის რესპონდენტებმა აღნიშნეს, საქართველოს სკოლებში ცალსახად დგას დღის წესრიგში პროფესიული ორიენტაციის, როგორც მოსწავლეთა მხარდამჭერი სერვისის სისტემური ხასიათის დეფიციტი და ისინი ერთხმად აღიარებენ, რომ ამ მოდელის სკოლებში იმპლემენტაცია დიდწილად დაეხმარება ქართველ

მოზარდებს საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების თვითგამორკვევაში, შრომის ბაზრის მოთხოვნილებების გაცნობიერებასა და მომავლის პროფესიებთან მიმართებაში ინფორმირებული არჩევანის გაკეთებაში.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელს მიაჩნია, რომ უნივერსიტეტი აქტიურად არის ჩართული კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და შრომის ბაზრის თანამედროვე გამოწვევებთან ინტეგრაციის კუთხით. უნივერსიტეტში სისტემატურად იმართება დასაქმების ფორუმები, სადაც კერძო და საჯარო სექტორის დამსაქმებლები თსუ-ს სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს აცნობენ და სთავაზობენ სტაჟირების, დასაქმებისა და კარიერული განვითარების სხვადასხვა შესაძლებლობებს. „ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, რასაც უნივერსიტეტი სთავაზობს სტუდენტებს დასაქმებისა და სტაჟირების კუთხით. აქ წარმოდგენილ საჯარო და კერძო სტრუქტურებს კონკრეტული შეთავაზებები, კონკრეტული ვაკანსიები აქვთ. წინა წლის გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ დასაქმების ფორუმი საკმაოდ შედეგიანია, რასაც გამომხაურებებიც ადასტურებს,“- განაცხადა ფორუმის ორგანიზატორმა, თსუ კარიერული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელმა ხათუნა ცხადაძემ.

5.2.3 საწარმოო დონეზე წარმოებული გამოკითხვის შედეგები

დუალური პროფესიული განათლების იმპლემენტაციის გზაზე შეუცვლელი როლი აკისრია კერძო სექტორს. უმნიშვნელოვანესია კომპანიებისა და საწარმოების ჩართულობის გაზრდა მოსწავლეთა პორფორიენტაციის პროცესშიც. საინტერესო აღმოჩნდა საწარმოებისა და კომპანიების მესვეურთა ხედვა პროფორიენტაციის კულტივირების საკითხთან მიმართებაში. ჰიპერმარკეტ „გუდვილის“ მენეჯერის ქალბატონი ხათუნა რაზმაძის განცხადებით, „გუდვილი“ მიესალმება ნებისმიერ დროს შეთანხმების საფუძველზე მოსწავლე-ახალგაზრდობის პრაქტიკაზე მიღებას და

სხვადასხვა საქმიანობებზე მათ ჰოსპიტირებას. უფრო მეტიც, საჭიროების შემთხვევაში კომპანია მზად არის მოსწავლეებს შესთავაზოს არდადეგების პერიოდში ანაზღაურებადი საქმიანობები (მაგ.: როგორცაა წინასაახალწლო პერიოდში ჰიპერმარკეტების მორთვა; ცარიელი ყუთების გატანა; დასუფთავება; კონსულტანტების დახმარება და ა. შ.).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო ხედვები გააჩნია ქ. გორთან არსებული რესტორანი „ნაჭარმაგევის“ ხელმძღვანელს, ბატონ დიმიტრი ოქროპირიძეს. მან გამოხატა მზაობა ადგილობრივი ახალგაზრდების პრაქტიკასა და სტაჟირებაზე აყვანასთან დაკავშირებით. თუმცადა მისი სურვილია, იმისათვის, რომ არ შეფერხდეს რესტორანში ჩვეული დატვირთვით მუშაობა, მოსწავლეები წინასწარ მომზადებული იყვნენ პროფილური საწარმოს თავისებურებებზე თეორიულად, რაც გაცილებით წაადგებათ პრაქტიკული სწავლების პროცესშიც. მაგალითად სკოლებში რესტორანში ვიზიტამდე ჩაუტარდეთ მცირე ლექცია კონკრეტული პროფილის საქმიანობის შესახებ, საწარმოს უკეთ გაცნობის მიზნით.

„ჩვენი საწარმო კვლავაც დარჩება მომხრე, იმისა, რომ უმასპინძლოს მომავალში ბავშვებს და გაუზიაროს მათ საკუთარი გამოცდილება უშუალო კონტაქტის გზით“ - განაცხადა ბატონმა დიმიტრიმ.

ჰამლეტ სამადაშვილმა, კომპანია „სამეგობროს“ (რომელიც აერთიანებს წველების გადამამუშავებელ ქარხანას, სასტუმრო „ვიქტორისა“ და რესტორან „ლიდერს“) მენეჯერმა განაცხადა, რომ მათმა კომპანიამ 2016 წლის ნოემბერში უკვე უმასპინძლა სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურების მოსწავლეებს. ვიზიტისას მოსწავლეები მიმაგრებულ იყვნენ თანამშრომლებზე და თავად ახორციელებდნენ კონკრეტულ დავალებებს, რომლებსაც იღებდნენ ზედამხედველი თანამშრომლებისგან. ამ ვიზიტის განმავლობაში ზედამხედველობის კუთხით ჩართული იყო საწარმოს ქარხნის ხუთი, სასტუმროს - სამი და რესტორნის - სამი თანამშრომელი. „მსგავსი ვიზიტი ჩვენს ისტორიაში მხოლოდ ერთხელ გვახსენდება ისიც, მხოლოდ მოსწავლეების მიერ

წვენების საწარმოს დათვალიერების ფორმატში. ამჟამინდელი ვიზიტი განსხვავებული იყო თავისი ხანგრძლივობითა და პრაქტიკული დატვირთვით, რაც ჩვენთვის სიახლეს წარმოადგენდა. ამ კუთხით ჩვენი თანამშრომლები გარკვეულ უჩვეულო როლში აღმოჩნდნენ. თუმცა მგონია, მათ მეტ-ნაკლებად ნამდვილად გაართვეს თავი დაკისრებულ მოვალეობას“ - შენიშნა ბატონმა ჰამლეტმა.

როგორც ინტერვიუს ადებისას გაირკვა, რესტორნისა და სასტუმროს მენეჯმენტის მხრიდან გამოიხატა დაინტერესება შემდგომში მოსწავლეების საწარმოო პრაქტიკის გაგრძელების თაობაზე და მოსწავლეების საკონტაქტო ინფორმაციის მიღების შესახებ მოხდა სკოლის ადმინისტრაციასთან კომუნიკაცია.

როგორც ჩანს, ბავშვების განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია პრაქტიკულ სამუშაოებში მათმა ჩართულობამ, რასაც გაცილებით ხალისით აკეთებდნენ, ვიდრე მხოლოდ თანამშრომლების საქმიანობის დაკვირვებას. მოსწავლეები ორი დღის განმავლობაში გადანაწილებული იყვნენ საწარმოს სამივე მიმართულების საქმიანობაზე და ხდებოდა მათი ადგილმონაცვლეობა, რაც ასევე კარგად აისახა მათ ინტერესებზე.

„ჩატარებული ვიზიტების შედეგად ჩემი მხრიდან შეიძლება აღინიშნოს ჩვენი საკმაოდ კარგი ორგანიზება მოსწავლეების სტუმრობისთვის, მაგრამ გარკვეული ხარვეზები ჩვენი თანამშრომლების პედაგოგიური კვალიფიკაციის კუთხით (რაც უშუალოდ ბავშვებთან მუშაობას მოიაზრებს), მაინც შეინიშნებოდა. კარგი იქნებოდა, თუ ჩვენს თანამშრომლებს ექნებათ გავლილი თუნდაც მცირეოდენი პედაგოგიურ-მეთოდოლოგიური კურსი (ერთ-ორ დღიანი მაინც) კვალიფიკაციის ამ სახის ასამაღლებლად“ - განაცხადა კომპანია „სამეგობროს“ მენეჯერმა.

5.2.4 ინდივიდუალურ საფეხურზე წარმოებული გამოკითხვის შედეგები

ბუნებრივია, პოლიტიკურ, ორგანიზაციულ და საწარმოო დონეზე წარმოებული გამოკითხვების გვერდით, ძალიან მნიშვნელოვანი გახლდათ ჩვენთვის თვით მოსწავლეების, მათი მშობლებისა და მასწავლებლებისა და ასევე, სტუდენტების ხედვა და პოზიცია პროფორიენტაციასთან მიმართებაში.

2016 წელს საქართველოს სამ რეგიონში, თბილისის, ქვემო ქართლისა და კახეთის საჯარო სკოლებში ჩატარდა მე-9, მე-10 და მე-11 კლასის მოსწავლეთა, მათ მშობელთა და მასწავლებელთა გამოკითხვა. კითხვარები ემსახურებოდა საშუალო სკოლის საფეხურზე პროფორიენტაციის გაკვეთილების შეფასებას. პროფორიენტაციის მიმართულებით მშობელთა ჩართულობისა და სკოლაში შემოთავაზებული აქტივობებით კმაყოფილებას. ასევე გამოიკითხნენ საგნის მასწავლებლებიც - რამდენად არიან ისინი ჩართულნი, ზოგადად, მოსწავლეთა პროფესიების არჩევანის გაკეთების პროცესში; რამდენად გამოყოფენ ისინი დროს თავიანთ გაკვეთილებზე ამისათვის და როგორია მათი მოსაზრება პროფორიენტაციის პედაგოგთან მიმართებაში: პროფორიენტაციის გაკვეთილებს უნდა ატარებდეს სპეციალურად გადამზადებული კადრი, თუ ნებისმიერ პედაგოგს შეუძლია ამ მიმართულებით გაკვეთილების ჩატარება.

აქვე განვიხილავთ გამოკითხვის შედეგებს, რომლებიც ჩავატარეთ *ინდივიდუალურ საფეხურზე* საქართველოს სამ რეგიონში: თბილისში, კახეთსა და რუსთავში. სულ გამოკითხეთ 400-მდე მოსწავლე, მათი 370-მდე მშობელი ასევე გამოკითხეთ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის 400-მდე პირველკურსელი სტუდენტი.

აქვე გიზიარებთ გამოკითხვისას გამოყენებულ კითხვარებს:

კითხვარი მშობლებისათვის პროფორიენტაციის შესახებ

ანონიმურობა დაცულია

X ნიშნით აღნიშნეთ თქვენთვის

სასურველი პასუხი

გთხოვთ, გულდასმით გაეცნოთ კითხვარს და დააფიქსიროთ თქვენი მოსაზრება. თქვენი ხმარება მნიშვნელოვანია კვლევის სწორად წარმართვისათვის, რაც საშუალებას მოგვცემს ივსაზღვროთ, თუ რა დახმარებას საჭიროებენ მოსწავლეები პროფესიის არჩევისას.

სკოლაში პროფორიენტაციის საათები ეხმარება მოსწავლეებს:

- გაიღრმავონ ცოდნა საკუთარ შესაძლებლობებზე, კომპეტენციებზე, ტალანტსა და საჭიროებებზე.
- დაგეგმონ ადრეული ასაკიდანვე სწორად თავიანთი კარიერა,
- აირჩიონ მომავლის პროფესიები ადეკვატურად.
- დაუკავშირონ დასაქმებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნილებები საკუთარ პროფილს და შეძლონ თავიანთი კომპეტენციების მუდმივად განვითარება.

სქესი _____ მდედრობი მამრობითი ასაკი _____

1. დააფიქსირეთ თქვენი აზრი სკოლაში პროფორიენტაციის გაკვეთილებთან დაკავშირებით:

- | | დიახ | არა |
|-------------------------------------|------|-----|
| 1. ვფიქრობ, რომ მნიშვნელოვანია..... | □ | □ |
| 2. მომწონს..... | □ | □ |
| 3. ჩემთვის სულ ერთია..... | □ | □ |
| 4. სხვა _____ | | |

2. გსურთ, რომ პროფორიენტაციის გაკვეთილები სისტემატურად ჩატარდეს?

- | | | |
|---------------------------|---|---|
| 1. მსურს..... | □ | □ |
| 2. ჩემთვის სულ ერთია..... | □ | □ |
| 3. ვფიქრობ, რომ _____ | | |

3. თვლით, რომ თქვენი შვილის პროფესიული ორიენტაციის კუთხით ჩართული ხართ სასკოლო ცხოვრებაში?

- | | | |
|---|---|---|
| 1. ვთვლი, რომ საკმარისად ჩართული ვარ..... | □ | □ |
| 2. არ მიმიღია ამ თემაზე ინფორმაცია..... | □ | □ |
| 3. ამ თემისათვის არ მცალია..... | □ | □ |
| 4. სიამოვნებით ჩავერთვებოდი უფრო მეტად..... | □ | □ |
| 5. სხვა _____ | | |

4. როგორ შეაფასებდით პროფორიენტაციის საათებს სკოლაში?

- 1. კმაყოფილი ვარ.....
- 2. სულ ერთია.....
- 3. არ ვარ ინფორმირებული.....
- 4. ვფიქრობ, რომ _____

5. პროფორიენტაციის რომელი თემები მოგწონთ ყველაზე მეტად?

- 1. მოსწავლეთა ინფორმირებულობა პროფესიის არჩევის მნიშვნელობაზე.
- 2. სუბიექტური რეალობის არსებობის გაცნობიერება. სტერეოტიპების გავლენა და მოქმედება.....
- 3. პროფესიათა მახასიათებლების გაცნობა. კონკრეტული პროფესიის როლის გააზრება.....
- 4. მომავლის დაგეგმვის მნიშვნელობის გააზრება.....
- 5. საქართველოში არსებული პროფესიათა სფეროების გაცნობა.....
- 6. შრომითი ღირებულებებისა და ინტერესების როლის გაცნობიერება პროფესიული არჩევანის დროს.....
- 7. გადაწყვეტილების მიღების უნარის გაუმჯობესება.....

6. ხართ მომხრე, რომ თქვენს შვილს წელიწადში ორი კვირა სწავლის პერიოდში სასკოლო საგნების ნაცვლად ჩაუტარდეს პრაქტიკული გაკვეთილები სხვადასხვა დაწესებულებებში?

- 1. კი, თანახმა ვარ.....
- 2. სხვა _____

7. გაქვთ თქვენს შვილთან საუბრები პროფესიის არჩევის მიმართულებით?

1. ჩვენ ხშირად ვსაუბრობთ ამ თემაზე.....
2. იშვიათად ვსაუბრობთ ამ თემაზე.....
3. საერთოდ არ გვისაუბრია ამ თემაზე.....
3. სხვა_____

8. ვინ ეხმარება თქვენს შვილს პროფესიის არჩევანის გაკეთებისას?

1. მშობლები.....
2. ოჯახის დანარჩენი წევრები.....
3. ოჯახის ახლობლები, ნათესავები.....
4. შვილის მეგობრები.....
5. ბავშვი თავად აკეთებს არჩევანს.....
6. სოციალური მუშაკი.....
7. სხვა_____

9. თქვენი აზრით, თქვენი შვილი რა ფაქტორების გათვალისწინებით ირჩევს მომავალ პროფესიას?

1. ითვისების წინებს მშობლის რჩევას
2. არჩევანს აკეთებს დასაქმების პერსპექტივიდან გამომდინარე.....
3. არჩევანს აკეთებს პირადი ინტერესებიდან გამომდინარე.....
4. სხვა მიზეზების გამო. _____

10. რომელი კლასიდან ისურვებდით პროფესიული ორიენტაციის გაკვეთილების დაწყებას?

1. მეხუთე კლასიდან.....□
2. მეექვსე კლასიდან.....□
3. მეშვიდე კლასიდან.....□
4. მერვე კლასიდან.....□
5. მეცხრე კლასიდან.....□
6. სხვა_____

11. თუ ხართ ინკლუზიურ პროგრამაში ჩართული ბავშვის მშობელი, როგორ ფიქრობთ, რამდენად მორგებული და რელევანტურია პროფორიენტაციის გაკვეთილები თქვენი შვილისათვის?

12. რას შეცვლიდით?_____

13. რას დაამატებდით?_____

მადლობას გიხდით თანამშრომლობისათვის!

5.2.5. საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა გამოკითხვა:

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, საბაზო და საშუალო საფეხურების მოსწავლეთა გამოკითხვისას გვაინტერესებდა:


- რამდენად აქტუალურია საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთათვის პროფორიენტაციის გაკვეთილები;
- რამდენად მნიშვნელოვანია მათთვის სკოლაში პროფორიენტაციის მიმართულებით შეთავაზებული აქტივობები;
- როგორ აფასებენ მოზარდები და მათი მშობლები ქვეყანაში არსებულ პროფესიებს და როგორია მათი კარიერული ცოდნა ამ პროფესიების მიმართულებით.

კვლევაში სამივე რეგიონის მასშტაბით მონაწილეობა მიიღო 400-მდე მოსწავლემ, რომელთა ასაკობრივი ზღვარი მერყეობდა 14-დან 17 წლამდე. გამოვიყენეთ რაოდენობრივი კვლევის მეთოდი. შედეგები დამუშავდა მონაცემთა სტატისტიკური პროგრამის SPSS-ის დახმარებით.

როგორც კვლევამ ცხადყო, გამოკითხულ მოსწავლეთა 100% აღიარა, რომ მათთვის სკოლაში პროფორიენტაციის გაკვეთილები მნიშვნელოვანია:


დიაგრამა 1.

სკოლაში პროფორიენტაციის გაკვეთილები მნიშვნელოვანია




მოსწავლეთა 91.1% მიიჩნევს, რომ სკოლაში პროფორიენტაციის გაკვეთილები მნიშვნელოვანია, ხოლო დარჩენილ 8.9% კი მათ ნაცვლად სხვა საგნების ჩატარება ურჩევნია.

დიაგრამა 2.



კითხვაზე, აქვთ თუ არა მოსწავლეებს სურვილი, რომ პროფორიენტაციის გაკვეთილები სისტემატურად ჩატარდეს, გამოკითხულ მოსწავლეთა 95.1 პროცენტმა დადებითად შეაფასა.

დიაგრამა 3.




რაც შეეხება მოსწავლეთა სურვილებს, რომ სასწავლო წლის პერიოდში ორი კვირის განმავლობაში სასკოლო საგნების ჩანაცვლება მოხდეს პრაქტიკული გაკვეთილებით, სხვადასხვა დაწესებულებებში, მოსწავლეთა 98,21% თანახმაა და სურვილი აქვს ჰოსპიტირების გავლის, ხოლო 1,79% - სასკოლო საგნების ჩატარებას ამჯობინებს.

5.2.6 საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეების მშობელთა გამოკითხვა

იგივე შეკითხვები დავუსვით გამოკითხულ მოსწავლეთა მშობლებს. მათი პოზიცია პროფორიენტაციის გაკვეთილებთან მიმართებაში შემდეგნაირია:

მშობელთა 94,3 პროცენტს მიაჩნია, რომ სკოლაში პროფორიენტაციის გაკვეთილები მნიშვნელოვანია.


დიაგრამა 4.



გამოკითხულ მშობელთა 92,2 პროცენტს სურს, რომ სკოლაში პროფორიენტაციის გაკვეთილები სისტემატურად ჩატარდეს.


იხილეთ შედეგები დიაგრამა 5-ზე.

დიაგრამა 5.



ასევე გამოკითხულ მშობელთა 96.8 პროცენტი მომხრეა, რომ მათ შვილებს სასწავლო წლის განმავლობაში ორი კვირის მანძილზე სასკოლო საგნების ნაცვლად ჩაუტარდეთ პრაქტიკული გაკვეთილები სხვადასხვა დაწესებულებებში. მხოლოდ დარჩენილი 3,2 % არ ემხრობა გაკვეთილების ორი კვირის მანძილზე გაცდენას.

დიაგრამა 6.




5.2.7 სტუდენტთა გამოკითხვა

საკვლევი საკითხის აქტუალობის დადგენისას ჩვენთვის ასევე მნიშვნელოვანი იყო სტუდენტთა დამოკიდებულება არჩეული პროფესიების მიმართ. გვინტერესებდა:

- როგორ აირჩიეს სტუდენტებმა პროფესიები;
- რის მიხედვით გააკეთეს პროფესიული არჩევანი;
- სტუდენტების აზრით, რა ფაქტორებზეა დამოკიდებული მათ პროფესიებში წარმატებები;
- ხელმეორედ თუ მიეცემათ შანსი იგივე პროფესიის არჩევისა, რა გადაწყვეტილებებს მიიღებდნენ.

პირველ შეკითხვაზე, „პროფესია, რომელზეც ჩავაბარე, ავირჩიე, იმიტომ რომ პრესტიჟულია“, სტუდენტთა 77,27% უარყოფითი პასუხი გასცა, ხოლო 22,73%, როგორც კვლევა ცხადყოფს, პროფესიული არჩევანი პრესტიჟისა და სახელის გამო გააკეთა

დიაგრამა 7.



გამოკითხულ სტუდენტთა 96,1%-მა გამოთქვა მოსაზრება, რომ პროფესია აირჩია, რადგან აინტერესებდა. იხილეთ დიაგრამა 8.


დიაგრამა 8.



საინტერესო აღმოჩნდა სტუდენტების პასუხი შეკითხვაზე: „პროფესია ავირჩიე იმიტომ, რომ მშობლებმა მირჩიეს“. როგორც დიაგრამიდან ჩანს, სტუდენტების 35% მშობლების რჩევის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას.


დიაგრამა 9.

პროფესია ავირჩიე იმიტომ, რომ მშობლებმა მირჩიეს



სტუდენტების 61,11% იმის საფუძველზე გააკეთა პროფესიული არჩევანი, რომ მას მაღალანაზღაურებადი სამსახური ელოდება. შედეგების გადანაწილება იხილეთ ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე:


დიაგრამა 10.



რაც შეეხება მომდევნო შეკითხვას, გვინტერესებდა სტუდენტების მოსაზრება იმის თაობაზე, თუ რაზეა პროფესიაში წარმატება დამოკიდებული. 78,24% თვლის, რომ პროფესიაში წარმატება გამართლებაზეა დამოკიდებული.

იხილეთ დიაგრამა 11.


დიაგრამა 11.



ხოლო 81,84% მიაჩნია, რომ პროფესიაში წარმატებას შრომის ბაზრის მოთხოვნები განაპირობებს. შედეგების გასაცნობად იხილეთ დიაგრამა12.


დიაგრამა 12.

ჩემს პროფესიაში წარმატებები დამოკიდებულია შრომის ბაზრის მოთხოვნებზე



საინტერესო აღმოჩნდა სტუდენტთა პასუხები შემდეგ შეკითხვაზე: „თუ შანსი მომეცემა, ხელმეორედ პროფესიის არჩევისა, იგივე პროფესიას ავირჩევდი?“, ამ კითხვაზე პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა:


დიაგრამა 13.



როგორც ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ჩანს, მხოლოდ 21,43% აირჩევდა იგივე პროფესიას, 78,57% სხვა პროფესიაზე შეაჩერებდა არჩევანს.

დიაგრამა 14.

შანსი რომ მქონდეს, აუცილებლად შევცვლიდი პროფესიას




საინტერესო აღმოჩნდა ასევე 2016 წლის ბოლოს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დაკვეთით [ადამიანური რესურსის მენეჯმენტის ცენტრის \(PMC\)](#) მიერ ჩატარებული გამოკითხვა, რომლის მიზანი იყო საქართველოში კარიერული დაგეგმვისა და კონსულტირების სფეროში არსებული ვითარების შეფასება, კარიერულ სერვისებთან დაკავშირებით სამიზნე პოპულაციის (14-29 წლამდე

ახალგაზრდების) საჭიროებებისა და მოლოდინების შესწავლა (Needs Assessment). კვლევაში მონაწილეობდა 1952 რესპონდენტი, მათგან პროფესიული კოლეჯის 257 სტუდენტი (13.2%), უნივერსიტეტის 345 სტუდენტი (17.7%) და სკოლის 1350 მოსწავლე (69.1%). ამათგან სკოლის მოსწავლეთა 79.3% . რაოდენობრივი კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ გამოკითხულთა დიდმა ნაწილმა (59%) საერთოდ არ იცის, რას ნიშნავს კარიერული კონსულტირება ან ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს ამ სფეროზე. რესპონდენტთა 41% მეტ-ნაკლებად ინფორმირებულია კარიერული კონსულტირების (პროფორიენტაციის) შესახებ, შეუძლია განმარტოს, რას გულისხმობს ეს მიმართულება და რა შედეგი მოაქვს პროფესიის მაძიებელთათვის ([ადამიანური რესურსის მენეჯმენტის ცენტრი \(PMC\) 2016](#)).

გამოკითხვის შედეგები პროფორიენტაციის ცნობადობის შესახებ ახალგაზრდებში შეგიძლიათ იხილოთ ქვემოთ მოყვანილ დიაგრამაში.

დიაგრამა Nr. 15.



იმისათვის, რომ საქართველოში შრომის ბაზრის გამოწვევების, დაუსაქმებელი ახალგაზრდებისა და კერძო სექტორის ინტერესების თანხვედრა მოხდეს, საჭიროა, სხვადასხვა ასპექტში არსებული პარადიგმის შეცვლა, რომელიც პირდაპირ კავშირშია, როგორც პროფორიენტაციასთან, ასევე პროფესიული განათლების სფეროსთან, ამისათვის კი ხელი უნდა შევუწყოთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებსა და ეკონომიკას შორის ტრანზიციას. ამგვარი ტრანზიციის პრეროგატივა კი პროფესიული არჩევანის გაკეთებისას სწორედ პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროცესს აკისრია.

პროფესია ადამიანის ცხოვრებაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. პროფესიული ორიენტაცია პროცესია, რომელიც რიგ შემთხვევებში საკმაოდ დიდხანს გრძელდება. თითოეულ ადამიანს გარკვეულ ასპექტში აქვს განსაკუთრებული მიდრეკილება და ნიჭი, რომელიც სხვისთვის ნაკლებად დამახასიათებელია, ეს განსაკუთრებული უნარ-ჩვევები კი შესაძლოა რელევანტური თვითსაკვლევ ტესტებისა და პროფესიული ორიენტაციის ინსტრუმენტების დახმარებით საამკარაოზე გამოვიტანოთ.

პროფესიული ორიენტაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემადგენელ კომპონენტს წარმოადგენს მოსწავლეთა დახმარება მათი ინტერესების სფეროს გამოვლენასა და გაცნობიერებაში. საკუთარი ინტერესების სფეროს გააზრება, ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზება კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ქართველ მოსწავლე-ახალგაზრდობაში. დღესდღეობით ეს საკითხი მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ჩვენს ქვეყანაში, ვინაიდან არ ხდება:

1. პრაქტიკის მიმართულებით მათი სხვადასხვა აქტივობაში ჩართვა, პროფესიული ორიენტაციის გაძლიერება და ხელშეწყობა.
2. ამ მიმართულებით მოსწავლეთა დახმარება, მათი ინტერესების სფეროს თვითგამორკვევასა და შეცნობაში ხელშეწყობა.

5.3 საკვლევი პრობლემის მოგვარების გზების მცდელობა

5.3.1 მოსწავლეთა ჩართვა პრაქტიკის აქტივობებში

ამ პრობლემის მოსაგვარებლად 2016 წლის ნოემბერში, პირველად საქართველოში, გერმანიის ხელისუფლების მიერ დაფინანსებული პროექტის „პროფესიული განათლება და სატრენინგო პარტნიორობა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში“ ფარგლებში განხორციელებული ქვეპროექტის „სკოლა, როგორც პროფესიის სწავლის ადგილი“, ეგიდით მოსწავლეთა პროფორიენტაციის ხელშესაწყობად შეირჩა ერთ-ერთი საპილოტე რეგიონი - გორი და ამ რეგიონში არსებული ოთხი კერძო სკოლა: “AC School”, „თამარიონი“, „ქართულ-გერმანული სკოლა“ და „წმ. გიორგის სახელობის სკოლა“. აღნიშნული სკოლების მეცხრე-მეთერთმეტე კლასის მოსწავლეებმა სამი დღის განმავლობაში ჰოსპიტაცია გაიარეს სხვადასხვა კომპანიებში. ეს კომპანიები გახლდათ: ჰიპერმარკეტი „გუდვილი“, რესტორანი „ნაჭარმაგევი“, სასტუმრო „ვიქტორია“ და გორის წვენების გადამამუშავებელი ქარხანა. მოსწავლეები აღნიშნულ დღეებში მიმაგრებული იყვნენ შესაბამისი კომპანიების თანამშრომლებზე და მითითებისამებრ, თავადაც ახორციელებდნენ გარკვეულ დავალებებს. აღსანიშნავია, რომ ამ ვიზიტების ფარგლებში თითოეული კომპანიიდან ზედამხედველობის კუთხით გამოყოფილი იყო კონკრეტული პერსონალი (თითოეულ კომპანიაში 3-დან 10 თანამშრომლამდე), რომლებიც კურირებდნენ მოსწავლეთა ინფორმირებულობისა და პრაქტიკის სეგმენტებს.

ვიზიტის პირველი დღეები, რომლებსაც „კომპანიაში ღია კარის დღე“ ეწოდა, ძირითადად, შემოიფარგლა კითხვა-პასუხის რეჟიმით, რაც მიზნობრივად გამოყენებულ იქნა შემდეგ დღეს სამუშაო პოზიციების არჩევისთვის. ვიზიტის მეორე დღეს, პირობითად, „ჩრდილების დღე“ ეწოდა და მოსწავლეებს მხოლოდ საწარმოებში მომსახურე პერსონალის სამუშაო პროცესში დაკვირვებისა და სიტუაციის ახლოს გაცნობის შესაძლებლობა მიეცათ. მოსწავლეთა განსაკუთრებული დაინტერესება გამოიწვია ე.წ. „კომპანიაში პრაქტიკის დღემ“, ანუ პრაქტიკულ სამუშაოებში მათმა ჩართვამ, რასაც გაცილებით ხალისით აკეთებდნენ, ვიდრე მხოლოდ თანამშრომლების

საქმიანობის დაკვირვებაა. ასევე მნიშვნელოვანი იყო ე. წ. „სტერეოტიპული პოზიციების“, მოსწავლეთა მხრიდან თანამედროვე გაგებით აღქმა. უნდა აღინიშნოს, რომ რესტორან „ნაჭარმაგევში“ გოგონები განსაკუთრებით ინტერესდებოდნენ ე.წ. „მამაკაცის საქმიანობით“, როგორცაა, რესტორნის პროდუქტებით მომარაგება, მწვადის შეწვა, ცეცხლისთვის შეშის მოზიდვა და ა.შ. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ მოსწავლეთა ჩართულობა თანაბრად გადანაწილებული იყო სარესტორნო კომპლექსის ყველა განყოფილებაზე, ვინაიდან ყოველ 3 საათში ერთხელ ხდებოდა მოსწავლეთა ერთი განყოფილებიდან მეორე განყოფილებაში როტაცია, რაც უზრუნველყოფდა იმას, რომ ყველა მოსწავლისათვის მაქსიმალურად ყოფილიყო შესაძლებელი, თანაბრად გასცნობოდა ყველა სამუშაო პოზიციას.

„ჩრდილების დღესთან“ შედარებით ჩართულობის მაღალი მაჩვენებლით გამოირჩეოდა ჰოსპიტაციის პირველი დღე - „ღია კარის დღე“. მოსწავლეთა მხრიდან შეკითხვების უმრავლესობა, ძირითადად, წარმოების პროცესს, ხილისგან გადამუშავებული წვენების მიღებასა და მათ ლაბორატორიულ შემოწმებას შეეხებოდა. სასტუმროსა და რესტორნის ფარგლებში წარმოებული მუშაობისას მოსწავლეების დაინტერესება უმეტესად ორიენტირებული იყო მართვის, მარკეტინგისა და კლიენტებთან მომსახურების სპეციფიკაზე. სასიამოვნოა იმის აღნიშვნა, რომ თანამშრომლები აქტიურად იყვნენ ჩართული ამ პროექტის განხორციელებაში და შეძლებისდაგვარად პასუხობდნენ მოსწავლეთა შეკითხვებს და აკმაყოფილებდნენ მათ ინტერესს.

ჰიპერმარკეტ „გუდვილში“ მოსწავლეთა მხრიდან უფრო მეტი ინტერესი და ხალისიანი ჩართულობა პრაქტიკულ სამუშაოებში დაფიქსირდა. მათი ინტერესი გამოვლინდა კლიენტებისთვის არსებული ბავშვების სათამაშო კუთხისა და უფასო ინტერნეტით აღჭურვილი კაფეტერიის მიმართულებით. ამ განყოფილებაში პრაქტიკის გავლის მზარდი მოთხოვნა დაბალანსდა სამუშაო პოზიციების ცვლილებებით, რამაც გამოიწვია მოსწავლეთა თითოეულ სამუშაო ადგილზე პრაქტიკის გავლა.

ზემოთ ჩამოთვლილი ვიზიტების დასრულებისას რესტორნისა და სასტუმროს მენეჯმენტის მხრიდან შედგა კომუნიკაცია სკოლის ადმინისტრაციასთან და გამოვლინდა მზაობა შემდგომში მოსწავლეების საწარმოო პრაქტიკის გაგრძელების თაობაზე.

როგორც გაირკვა, კომპანიებისათვის მოსწავლეთა ვიზიტები პირველი იყო, რამაც განაპირობა კომპანიების პერსონალის ერთგვარ უჩვეულო როლში აღმოჩენა. როგორც თავად მენეჯერები იუწყებიან, არ იქნებოდა ურიგო პერსონალის მოსწავლეთა ჰოსპიტორების პროცესისათვის გადამზადება და მათი კვალიფიკაციის ამ მიმართულებით ამაღლება.

განვიხილოთ ჰოსპიტაციის თითოეულ დღის ბოლოს სკოლის მოსწავლეთა ვიზიტის შედეგები და კმაყოფილების საკითხი სხვადასხვა საწარმოებში სამივე დღეს შეთავაზებული აქტივობების მიხედვით:

პრაქტიკის პირველი დღე იყო „კომპანიაში ღია კარის დღე“, რომლის ფარგლებშიც მე-9, მე-10, მე-11 კლასის მოსწავლეები ესტუმრნენ სხვადასხვა კომპანიას, სადაც მათ ადგილზე მიეწოდათ ინფორმაცია საწარმოების, მათი მუშაობის სპეციფიკისა და საქმიანობების შესახებ. ინფორმაციული დღის ბოლოს ყველამ შეავსო კმაყოფილების შეფასების ფორმა Nr.1. კითხვარის ღია შეკითხვაზე პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა:

ბიჭებს აინტერესებთ კომპანიის შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციის მიღება. უმრავლესობას სურს, რომ თითოეულმა თანამშრომელმა გააცნოს თავისი ხედვა და შეასრულებინონ ის სამუშაო, რომელსაც თავად ასრულებენ. ისინი აღნიშნავენ: „მოხდეს მოსწავლეების ინფორმირება, თუ როგორ შეიძლება თითოეულმა მაქსიმალურ წარმატებას მიაღწიოს“; ისურვებდნენ, რომ ჰქონდეთ საშუალება, ნახონ მუშა პროცესი; მათი რეკომენდაციაა ასევე, რომ კომპანიებში ვიზიტები მთელი საქართველოს

მასშტაბით დაინერგოს; უფრო დეტალურად აუხსნან, რა პროცესები მიმდინარეობს კომპანიაში.

გოგონების რეკომენდაციებში გამოიკვეთა შემდეგი მოსაზრებები: ინფორმირებულობისათვის უმჯობესია, ჩატარდეს პირველადი შეკრებები და გაეცნონ ინფორმაციას წინასწარ, სანამ კომპანიაში ვიზიტს განახორციელებენ, რაც დაეხმარებოდა მათ სიღრმისეულად გასცნობოდნენ ქარხნის მუშაობის სპეციფიკას, მაგალითად, რა სირთულის გადალახვა უწევთ პროდუქტების იმპორტირებისას, ბიუჯეტის დაგეგმვისას. სასურველი იქნებოდა არაფორმალურ გარემოში გასცნობოდნენ მათთვის საინტერესო საკითხებს, რათა კომუნიკაცია გამარტივებულიყო და ყველა მნიშვნელოვან საკითხზე კითხვები ღიად დაესვათ. გოგონებმა სურვილი გამოთქვეს პრაქტიკულ საქმიანობაში ჩაერთონ როგორც თვითონ, ისე სხვა მოსწავლეებიც, რაც მათ დაეხმარება საკუთარი შესაძლებლობებისა და სურვილების იდენტიფიკაციაში.

პრაქტიკის მეორე დღე იყო „კომპანიაში ჩრდილების დღე“, რომლის თანახმად მოსწავლეები უნდა გასცნობოდნენ კომპანიაში არსებულ ვითარებას, შეეხედათ მომუშავე პერსონალისთვის, რაც მათ გარკვეულწილად დაეხმარებოდა საინტერესო მიმართულებისა და საქმიანობის აღმოჩენაში. დღის ბოლოს მათ ტრადიციულად დაურიგდათ შესავსები კითხვარები - კმაყოფილების ფორმა Nr. 2, რომელთა შევსებაც კვლავინდებურად კონფიდენციალურ რეჟიმში დაევალათ.

რაც შეეხება მოსწავლეთა კმაყოფილებასა და რეკომენდაციებს, თითქმის ყველას პრიორიტეტია სამუშაო პროცესში ჩართვა. მათი აზრით, უმჯობესი იქნება, აირჩიონ კომპანია, სადაც შეძლებენ სამუშაო პროცესში მონაწილეობის მიღებას. ხმების რაოდენობის მიხედვით გაიგონ ბავშვების ინტერესები და ამის მიხედვით გადაწყდეს, ვინ რომელ კომპანიაში მივიდეს. უმრავლესობის სურვილია ისეთი გარემოს უზრუნველყოფა (ან, შესაბამისად, მოსწავლეთა ისე დაყოფა), რომ ინფორმაციის მიღება უფრო უკეთესად იყოს შესაძლებელი. მასწავლებელთა პრიორიტეტია პროექტში მშობელთა ჩართულობის უზრუნველყოფა.

პრაქტიკის მესამე დღეს, მოსწავლეებმა მოდულ „კომპანიაში პრაქტიკის დღის“ ფარგლებში ერთდღიანი პრაქტიკა გაიარეს. ბიჭების უმრავლესობა კმაყოფილია პრაქტიკის დღით. მათი სურვილია მეტი პრაქტიკა და ყველა პროცესის უფრო დეტალური შესწავლა იყოს შესაძლებელი. რაც შეეხება მოსწავლე გოგონების რეკომენდაციებს, ისინი უფრო შემოქმედებითი და, ამასთანავე, მომთხოვნები აღმოჩნდნენ ბიჭებთან შედარებით. მოსწავლე გოგონების სურვილებია: პროექტის ფარგლებში გამოიკითხოთ და გაარკვიონ მოსწავლეთა სასურველი პროფესიები და პრაქტიკის შეთავაზება განხორციელდეს ბავშვებისათვის რელევანტური, სასურველი პროფესიის მიხედვით, იმისათვის, რომ მოსწავლეებმა პრაქტიკა მიიღონ მათთვის საინტერესო სფეროში; გოგონების მოთხოვნით, პრაქტიკის მსვლელობა უფრო ორგანიზებული უნდა იყოს; წინასწარ დაიგეგმოს, ვინ რა პოზიციას დაიკავებს; მოსწავლეებს უნდა მიეცეთ საშუალება, მშობლებისა და მასწავლებლების გარეშე მხოლოდ დამკვირვებლებთან ერთად წავიდნენ და ჰოსპიტაცია გაიარონ კომპანიებში.

სამდღიანი პრაქტიკის შემდეგ პროექტის ფარგლებში გაიმართა ღონისძიება „ბიზნესი ჩვენთან“. პროექტში ჩართული მოსწავლეები შეხვდნენ გორის რეგიონში მოქმედ წარმატებულ ბიზნესმენებს. შეხვედრაზე სკოლის მოსწავლეებმა წარმოადგინეს პროექტის ფარგლებში ორგანიზებული ექსკურსიების, „ჩრდილებისა“ და ჰოსპიტაციის შესახებ პრეზენტაციები, რომელთა ცენტრალური ნაწილი გახლდათ მოსწავლეთა თვალთ დანახული საწარმოების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოპოვება. თავისი მხრივ კომპანიებიდან მოწვეულმა სტუმრებმა ახალგაზრდებს გააცნეს პირადი კარიერული წინსვლის მახასიათებლები და კორპორაციული ინტერესების თანხვედრის ასპექტები. შეხვედრა გაგრძელდა დისკუსიის ფორმატში. შეხვედრის ბოლოს ერთობლივად განისაზღვრა 2017 წელს ახალგაზრდობის შრომის ბაზარზე ინტეგრაციის ეფექტური ნაბიჯები.


შეხვედრის დამაგვირგვინებელ ფაზაში მონაწილეებს დაურიგდათ კითხვარები (კმაყოფილების შეფასების ფორმა Nr. 4), ღია შეკითხვაზე - რის გაკეთებას გვირჩევდით, მომავალში ბიზნესმენებთან და კომპანიის მენეჯმენტის წარმომადგენლებთან შეხვედრა

უფრო საინტერესო და მეტის მომცემი რომ იყოს, ვაჟების უმრავლესობას სურს, რომ გარემო მეტად მეგობრული იყოს, ვიდრე საქმიანი და რომ წინასწარ ფლობდნენ ინფორმაციას შემდგომ შეხვედრებთან დაკავშირებით.

მოსწავლე გოგონები კმაყოფილები არიან დაგეგმილი აქტივობებით, თუმცა სურვილი აქვთ, რომ კიდევ ესტუმრონ ჰიპერმარკეტ „გუდვილს“, მეტი პრაქტიკის საშუალება ჰქონდეთ, მეტად გამოცადონ საკუთარი თავი და შესაძლებლობები. რაც შეეხება მშობლების/მასწავლებლების პრიორიტეტს, მათი სურვილია, ბავშვები დასაქმდნენ არდადეგების პერიოდში საწარმოებში, რადგან თვლიან, რომ ეს პრაქტიკა მეტად მნიშვნელოვანი იქნება მათი მომავლისათვის. ასევე, მათი თხოვნაა, მოვიცვათ რაც შეიძლება მეტი სამრეწველო და სამშენებლო კომპანია; მსგავს შეხვედრებსა და აქტივობებს მიეცეს სისტემატური სახე, იყოს საზოგადოების მხრიდან მეტი ჩართულობა.

როგორც გამოკითხვის შედეგებმა ცხადყო, მოსწავლეები ბევრად უფრო ბედნიერები და კმაყოფილები დარჩნენ, როცა მათ სხვადასხვა საქმიანობის უშუალოდ მოსინჯვა და პრაქტიკის გავლის საშუალება მიეცათ. მოსწავლეთა კმაყოფილების შეფასება სამივე ჰოსპიტალის დღის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ დიაგრამა Nr. 1-ზე.

დიაგრამა Nr. 2.



5.4 საკვლევი პრობლემის მოგვარების მცდელობა -

5.4.1. ინტერესების თვითსაკვლევი ტესტი

დღეს საქართველოში ძირითადი დამხმარე თვითსაკვლევი ინსტრუმენტი, რომელიც ახალგაზრდებს დაეხმარება პროფესიის სწორად შერჩევაში, ჰოლანდის ტესტია. ის არის თვითშეფასებაზე დაფუძნებული პროფესიულ-საკონსულტაციო ინსტრუმენტი, რომელსაც საფუძვლად უდევს ჯონ ჰოლანდის “პიროვნული ტიპებისა და გარემოს მოდელების თეორია”. თუმცა, მოგეხსენებათ, რომ ჰოლანდის ზემოთ აღნიშნული ტესტი საკმაოდ დიდია და ახალგაზრდებს, როგორც წესი, არ ყოფნით მოთმინება მის ბოლომდე შესავსებად. შესაბამისად, დგას საჭიროება მოსწავლეთა უნარების გათვალისწინებით, მათ მოთხოვნილებებსა და მიდრეკილებებზე მორგებული თვითსაკვლევი ტესტის შემოტანისა, რომელიც დაეხმარება ახალგაზრდებს საკუთარი თავის უკეთ შეცნობაში, თავიანთი ინტერესების გამოკვლევასა და მომავლის პროფესიების გაცნობიერებულად არჩევაში.

მოსწავლეთა პროფორიენტაციის ხელშესაწყობად გერმანულიდან ითარგმნა და ქართულ ენაზე ადაპტირდა ე.წ. მანჰაიმის ინტერესების თვითსაკვლევი ტესტი, რომელიც ძირითად აქცენტს პროფესიულ ინტერესებზე აკეთებს. მისი ავტორების - Barmettler & Schmid-ის აზრით, იმისათვის, რომ მოზარდმა შესაბამისი პროფესია შეარჩიოს, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეძლოს, თავის ინტერესებზე ორიენტირება და საკუთარ თავზე დაკვირვება:

- რომელი სიტუაციები მაინტერესებს, რომელ საქმიანობებს ვაკეთებ უფრო მეტი ხალისით, მაგ: სკოლაში (რომელი საგნები), ოჯახში, მეგობრებში, ნაცნობებთან, თავისუფალ დროს?
- რას გავაკეთებდი უფრო ხშირად, რომ შემიძლოს?
- მეგობრებთან რა თემებზე ვსაუბრობ უფრო დიდი სიამოვნებით?

მანჰაიმის ინტერესების თვითსაკვლევი ტესტი 8 სხვადასხვა სფეროდან მოიცავს კითხვებს. ეს სფეროებია: 1) მონაცემები და ნივთები, 2) ადამიანებთან ურთიერთობა, 3) ლიტერატურა, მედია და ხელოვნება, 4) მეცნიერება და კვლევა, 5) ორგანიზება და ადმინისტრირება, 6) კრეატიული და 7) სოციალური საქმიანობა და 8) ტექნიკასთან ურთიერთობა. თავდაპირველად მოხდა ტესტის რამდენიმე პირთან აპრობირება, გერმანული და ქართული ვერსიების ერთი და იმავე ადამიანების მიერ შევსება. მას შემდეგ, რაც ორივე ენაზე ცდის პირებმა ერთი და იგივე შედეგები მიიღეს, გადაწყვიტეთ ტესტის მოსწავლეთა ფართო სპექტრში შეტანა.

იმისათვის, რომ კვლევა უფრო მასშტაბური და საინტერესო გაგვეხადა, ინტერესების კითხვარში გავაერთიანეთ **მიუნხენის პიროვნული ტესტი** (Münchener Persönlichkeitstest. *Detlev von Zerssen & Franz Petermann. 2012*). აღნიშნული ინსტრუმენტის კონცეპტუალური ჩარჩო ეყრდნობა „დიდი ხუთეულის“ პიროვნული ნიშნების განზომილებებს. განკუთვნილია 14-დან 97 წლამდე ასაკობრივი კატეგორიისთვის. ტესტის შესრულება შესაძლებელია როგორც თვითანგარიშის, ასევე სხვისი შეფასების გზით. შედგება 49 დებულებიდან, რომლებიც 8 სკალას ქმნის. ეს სკალებია:

- ექსტრავერსია;
- ნეიროტიციზმი;
- ფრუსტრაციისადმი ტოლერანტობა;
- რიგიდულობა;
- იზოლაციის ტენდენცია;
- ეზოთერული მიდრეკილება;
- ნორმებზე ორიენტაცია;
- მოტივაცია.

სანდოობა: გერმანულ პოპულაციაზე ჩატარებული კვლევების თანახმად, სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტის შინაგანი შეთანხმებულობა - კრონბახის ალფა კოეფიციენტი - ნორმის ფარგლებში $r = .68$ -დან $r = .88$ -მდე ვარიირებს.

ვალიდობა: კონსტრუქტული ვალიდობა გადამოწმებულია ფაქტორული ანალიზის საშუალებით. კონვერგენტული ვალიდობა შემოწმებულია MPT სკალებისა და „დიდი ხუთეულის“ ინვენტარის (Big-Five-Inventory) სკალების კავშირის კვლევით.

სტანდარტიზაცია: სქესის გათვალისწინებით ნორმები დადგენილია გერმანულ პოპულაციაზე (გამოყენებულია t კრიტერიუმი, სტანაინები).

ხანგრძლივობა: 15 წუთი

აღსანიშნავია, რომ მიუნხენის პიროვნული ტესტის ადაპტირება მოხდა 2016 წლიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის, ფსიქოლოგიის პროგრამის ფარგლებში (ეს ტესტი ცნობილია დიდი ხუთეულის საკვლევი ინსტრუმენტის სახელითაც, რომლის აპრობირებასა და ქართულ ენაზე დანერგვაზეც იმუშავეს ხათუნა მარწყვიშვილმა, ნათია სორდიამ და ალიომა ნოიბაურმა (კარლ ფრანცეზის სახელობის გრაცის უნივერსიტეტი).

პიროვნება მრავალასპექტიანი კონსტრუქტია, რომლის შესწავლასაც მკვლევრები პიროვნების სხვადასხვა თეორიის ფარგლებში ცდილობენ. პიროვნების ამ მრავალფეროვნების შესასწავლად შექმნილი დიდი ხუთეულის მოდელი ხუთ კულტურულად უნივერსალურ პიროვნულ ნიშანს - ექსტრავერსიას, ნეიროტიზმს, კეთილსინდისიერებას, კეთილგანწყობას¹ და გამოცდილებისადმი ღიაობას აერთიანებს. თითოეული ეს ნიშანი კი, თავის მხრივ, ექვს ასპექტს მოიცავს (Goldberg, 1993; John & Srivastava, 1999). ხუთი პიროვნული ნიშნის შესასწავლად კითხვარების შექმნა 1980-იანი წლებიდან იწყება (Costa & McCrae, 1992) და დღეისათვის დიდი ხუთეულის კითხვარის რამდენიმე ვერსია და სხვადასხვა ენაზე ადაპტირებული ვარიანტი არსებობს (მაგ. Leung, Wong, Chan, & Lam, 2013; Ubbiali, Chiorri, Hampton, & Donati, 2013). კითხვარის პირველი გადასინჯული ვერსია (NEO PI-R) 240 დებულებისგან შედგება და, ორიგინალისგან განსხვავებით, ნევროტიზმის, ექსტრავერსიისა და

გამოცდილებისადმი ღიაობის ქულებთან ერთად კეთილგანწყობისა და კეთილსინდისიერების ქულების დათვლის საშუალებას იძლევა (Costa & MacCrey, 1992). მოგვიანებით ხუთფაქტორიანი მოდელის შესაფასებლად ავტორებმა კითხვარის 60-დებულებიანი ვერსია შექმნეს (NEO-FFI; Costa & MacCrey, 1992) რომელსაც კითხვარის 44 (John & Strivastava, 1999), 30, 15, 10 და 5 დებულებიანი ვერსიების შექმნა მოჰყვა (Gosling, Rentfrow, & Swann, 2003; Soto & John, 2017). პიროვნების ამ ხუთი ნიშნის შესაფასებელი კითხვარების შემოკლებას პრაქტიკული დანიშნულება აქვს და მცირე დროში კვლევის მონაწილის შესახებ მაქსიმალური ინფორმაციის მოპოვებას ისახავს მიზნად, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ რაც უფრო მცირეა კითხვარის დებულებათა რაოდენობა, მით უფრო მცირდება იმის შანსი, რომ თითოეული პიროვნული ნიშნის ექვსივე ასპექტის შესახებ ამომწურავ ინფორმაციას მივიღებთ (ხათუნა მარწყვიშვილი და ნათია სორდია, 2021).

პიროვნების კვლევა მხოლოდ უნივერსალური და შედარებით ნეიტრალური პიროვნული მახასიათებლების შესწავლით არ შემოიფარგლება. სოციალურად ავერსიული პიროვნული მახასიათებლების მიმართ მკვლევრების დაინტერესება 21-ე საუკუნის დასაწყისიდან იზრდება. პაულუსი და უილიამსი (2002) სოციალურად ავერსიულ პიროვნულ ნიშნებს - ნარცისიზმს, მაკიაველიზმსა და ფსიქოპათიას „ბნელი ტრიადის“ სახელით აერთიანებენ. ნარცისიზმით გამორჩეული ადამიანები საკუთარი უპირატესობის რწმენით, მანიპულირების ტენდენციითა და გრანდიოზულობით ხასიათდებიან. ნარცისიზმი დადებითად უკავშირდება ექსტრავერსიასა და გამოცდილებისადმი ღიაობას, უარყოფითად კი - კეთილგანწყობას (Paulhus & Williams, 2002). მაკიაველიზმი ხასიათდება კონვენციური მორალისა და ემოციურობის სიმწირით, რაც მიზნის მისაღწევად ნებისმიერი საშუალების გამოყენებასა და გამართლებაში ეხმარება ამ ნიშნის მქონე ადამიანს (Christie & Geis, 1970). ეს ადამიანები კეთილგანწყობისა და კეთილსინდისიერების- დაბალი და ნევროტიზმის მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევიან (O'Boyle, Forsyth, Banks, Story, & White, 2014; Paulhus & Williams, 2002). ფსიქოპათია ანტისოციალური ქცევით და კრიმინალური

მისწრაფებებით ვლინდება (Neumann, Hare, & Pardini, 2015). ეს ადამიანები დაბალი კეთილსინდისიერებითა და კეთილგანწყობით და მაღალი ექსტრავერსიითა და გამოცდილებისადმი ღიაობით გამოირჩევიან (O'Boyle et al., 2014; Paulhus & Williams, 2002). დიდ ხუთეულისა და ბნელი ტრიადის ურთიერთკავშირის კვლევათა მეტაანალიზიდან (O'Boyle et al., 2014) ჩანს, რომ სოციალურად ავერსიული პიროვნული ნიშნების ვარიაციის 30-63% დიდი ხუთეულის ნიშნებით იხსნება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პრედიქტორი კეთილგანწყობაა. ხუთი ბაზისური ნიშნის ცალკეული ასპექტები ფსიქოპათიის ქულათა ვარიაციის - 88, ხოლო ნარცისიზმის ქულათა ვარიაციის 42 პროცენტს ხსნის. მსგავსი შედეგები დიდი ხუთეულის ნიშნების უნივერსალურ დისპოზიციებად განხილვის საშუალებას იძლევა (ხათუნა მარწყვიშვილი და ნათია სორდია, 2021).

დისერტაციის ფარგლებში, პირველად ჩატარდა კვლევა საქართველოში მიუნხენის პიროვნების ტესტისა და მანჰაიმის ინტერესების ტესტის ერთობლივი გამოყენების საფუძველზე.

თავი VI

კვლევის პროცედურა, შერჩევა და ინსტრუმენტები

6.1. შერჩევა

ადამიანები მათ ირგვლივ არსებული სამყაროს შეცნობას სამი სახის მსჯელობით ცდილობენ. ესენია: დედუქციური მსჯელობა, ინდუქციური მსჯელობა და კომბინირებული ინდუქციურ-დედუქციური მიდგომა. დედუქციური მსჯელობა ეფუძნება სილოგიზმს, რომელიც ფორმალურ ლოგიკაში არისტოტელეს მიერ შეტანილი უდიდესი წვლილია. სილოგიზმს საფუძვლად უდევს დაშვება, რომ ლოგიკის ფორმალური ნაბიჯების გავლით ზოგადიდან კერძოსკენ შესაძლებელია სანდო წანამძღვრებიდან სანდო დასკვნის გამოტანა. მისი მთავარი შეზღუდვა ისაა, რომ მხოლოდ გარკვეული სახის დებულების შემთხვევაში მოქმედებს.

სილოგიზმი ჩამოყალიბდა სისტემური მსჯელობის ბაზისი წარმოქმნიდან რენესანსის ეპოქამდე. შემდგომში მისი ეფექტურობა შემცირდა, ვინაიდან ის უკვე აღარ უკავშირდებოდა დაკვირვებასა და გამოცდილებას და მხოლოდ უბრალო გონებრივ სავარჯიშოდ გადაიქცა.

მსჯელობის ისტორიაში გარდამტეხი ცვლილებები მოხდა 1600-იან წლებში, როდესაც ფრენსის ბეკონმა უფრო და უფრო მეტი აქცენტის გაკეთება დაიწყო მეცნიერების დაკვირვებით საფუძველზე. იგი აკრიტიკებდა დედუქციური მსჯელობის მოდელს იმ მოსაზრებით, რომ დიდი წანამძღვრები ხშირად წინასწარ შექმნილი დებულებები იყო, რომლებსაც გარდაუვალად მიკერძოებული დანასკვნები მოსდევდა. ბეკონმა, სანაცვლოდ, ინდუქციური მსჯელობის მეთოდი შემოგვთავაზა, რომლითაც გარკვეული რაოდენობის ცალკეული შემთხვევების ჰიპოთეზამდე და შემდგომში განზოგადებამდე მიგვიყვანდა.

ბეკონის ინდუქციურ მეთოდს შემდგომში ინდუქციურ-დედუქციური მიდგომის განვითარება მოყვა, რომელიც აერთიანებს არისტოტელესეულ დედუქციასა და ბეკონისეულ ინდუქციას. ამ შემთხვევაში მკვლევარი ინდუქციისა (დაკვირვებიდან ჰიპოთეზისკენ) და დედუქციის (ჰიპოთეზიდან დასკვნებისაკენ) ორმხრივ პროცესშია ჩართული (Mouly 1978). ჰიპოთეზები მკაცრად მოწმდება და საჭიროების შემთხვევაში, ხელახლა გადაიხედება.

მიუხედავად იმისა, რომ ორივეს - როგორც დედუქციას, ასევე ინდუქციას თავისი სუსტი მხარეები აქვს, მეცნიერების განვითარებაში მათი წვლილი განუზომელია.

დღესდღეობით ჭეშმარიტების დადგენის ყველაზე ქმედით საშუალებად მიჩნეულია კვლევა, რომელიც კერლინგერმა (1970) განსაზღვრა, როგორც ჰიპოთეზური დებულებების სისტემატური, გაკონტროლებული, ემპირიული და კრიტიკული შესწავლა (Kerlinger 1970).

თანამედროვე გაგებით, განათლების სფეროს კვლევის კონტექსტში ერთ-ერთ აპრობირებულ და სანდო მიდგომად ფენომენოლოგიური კვლევის პარადიგმა განიხილება. ფართო გაგებით ფენომენოლოგია თეორიული თვალსაზრისია, რომელიც უშუალო გამოცდილების, როგორც უპირველესი ღირებულების, შესწავლას ემხრობა და ქცევას გამოცდილების ფენომენებით და არა გარეგანი, ობიექტური და ფიზიკურად აღწერილი რეალობით განპირობებულად მიიჩნევს. მიუხედავად იმისა, რომ ფენომენოლოგები გარკვეული საკითხების ხედვით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ისინი თანხმდებიან საკითხებზე, რომელთაც კურტისი (Curtis 1978) ასახელებს და მათი ფილოსოფიური ხედვის განმასხვავებელ ნიშნებად მიიჩნევს:

- სუბიექტური ცნობიერების მნიშვნელოვნების რწმენა და მისი უპირატესობის განცდა;
- ცნობიერების, როგორც აქტიურისა და მნიშვნელობის მქონის, გაგება;
- მტკიცება, რომ არსებობს ცნობიერების გარკვეული სტრუქტურები, რომლითაც გარკვეული სახის რეფლექსით, უშუალო ცოდნას ვიძენთ;

- ფენომენოლოგია აზრთა სხვადასხვაობა იწყება იქიდან, თუ კონკრეტულად რა სტრუქტურებია ეს.

კვლევის ამოცანების განსახორციელებლად გამოვიყენეთ თვისებრივი მიდგომა და ინსტრუმენტის შექმნისას ვიხელმძღვანელებთ კვლევის ფენომენოლოგიური ანალიზით.

რამდენადაც დისერტაციის კვლევის მიზანი გახლდათ - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა მხარდაჭერა პროფესიული ორიენტაციის ფაზაში. კერძოდ კი, ინტერესების თვითსაკვლევო ტესტის ქართული სამუშაო ვერსიის შექმნა და მისი დახმარებით, მოსწავლეთა ხელშეწყობა ინფორმირებული და გაცნობიერებული პროფესიული არჩევანის გაკეთების პროცესში - შევეცადეთ, კვლევის მიზნიდან გამომდინარე, კვლევის ამოცანების დეტალური განხორციელება:

- ✓ პირველ რიგში, გავეცანით და შევისწავლეთ სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება და პროფესიული კონსულტაციის თეორიული მიდგომები;
- ✓ შემდეგ ვაწარმოვეთ პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის ფარგლებში ქვეყანაში არსებული სიტუაციის ანალიზი;
- ✓ შემდგომ ამისა, კი დავამუშავეთ და შევქმენით პროფესიული ორიენტაციისა და თვითსაკვლევო ინტერესების ტესტის გერმანული მოდელის ქართულ რეალობაზე მორგებული ადაპტირებული ვერსია. ამისათვის კი მოგვიწია შემდეგი საფეხურების გავლა:
 - ინსტრუმენტის თარგმნა/უკუთარგმნა

ინტერესების თვითსაკვლევო ტესტის ქართულ ენაზე თარგმნის შემდეგ, მოვახდინეთ მისი ქართული ვერსიიდან გერმანულ ენაზე უკუთარგმნა. რამდენადაც მნიშვნელოვანი ასპექტი გახლდათ, ორივე ენაზე არსებული ტესტების ვალიდურობის დადგენა, შემდეგი ეტაპი გახლდათ:

- ექსპერტების მიერ შინაარსის ვალიდობის შეფასება

არსებული გერმანული ვერსია გავაცანით გერმანისტ-მკვლევრების ჯგუფს, რომლებთანაც გამოვიყენეთ თვისებრივი მიდგომა ფენომენოლოგიური დიზაინის გამოყენებით. გერმანისტ ექსპერტების ჯგუფებთან ფენომენოლოგიური ანალიზის საფუძველზე, გავაანალიზეთ, რომ ინტერესების ტესტების ქართული და გერმანული ვერსიები შინაარსობრივი თვალსაზრისით ერთმანეთის ვალიდური გახლდათ.

შინაარსობრივი ვალიდურობის შეფასების შემდეგ, განვახორციელეთ:

➤ კითხვარის პილოტაჟი

შევკრიბეთ 20-მდე საბაზო და საშუალო საფეხურების მოსწავლე, რომელთა ასაკობრივი ზღვარიც მერყეობდა 14-17 წლებში და ინტერესების ტესტის თითოეული საკითხი მათთან ერთად გავიარეთ. ამჯერადაც გამოვიყენეთ კვლევის ფენომენოლოგიური ანალიზი და ცალკეულ მოსწავლესთან გავიარეთ შეკითხვების შინაარსობრივი მხარე - რამდენად მარტივად ან რთულად აღიქმებოდა ესა თუ ის შეკითხვა; რამდენად გასაგებად იყო შეკითხვები ფორმულირებული. ეს მიდგომა საჭიროდ ჩავთვალეთ, იმისათვის რომ გამოგვერიცხა ბუნდოვანი შეკითხვებით გამოწვეული არაზუსტი პასუხები.

საბოლოოდ, კითხვარის პილოტაჟისას მიღებული შენიშვნებისა და რეკომენდაციების თანახმად, საჭირო გახდა კითხვარის შინაარსობრივი მხარის მცირედით კორექტირება და შესაბამისად, შემდეგი ნაბიჯი გახლდათ:

➤ კითხვარის რედაქტირება

რედაქტორებული კითხვარის შემდეგი ნაბიჯი გახლდათ:

➤ კითხვარის ფსიქომეტრული მახასიათებლების დადგენა;

საბოლოოდ კი, მიუნხენის პიროვნული მახასიათებლების ტესტისა და მანჰაიმის ინტერესების თვითსაკვლევი ინტერესების ტესტის ერთობლივი გამოყენებით, შევეცადეთ საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეების ინტერესებსა და მომავლის პროფესიებს შორის კორელაციის დადგენას.

მოსწავლეთა პიროვნული მახასიათებლებისა და ინტერესების კვლევამ მოიცვა 804 მოსწავლე, მათგან 476 გოგონა და 328 ბიჭი. შერჩევა რეპრეზენტატული იყო საქართველოს ოთხ რეგიონში: თბილისში, რუსთავში, ხონსა და გორში. რეგიონების შერჩევისას და სკოლებში კვლევის ჩატარების ნებართვის მოპოვების პროცესში დიდწილად დაგვეხმარა საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია და გერმანიის ხელისუფლების მიერ დაფინანსებული პროექტი „პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობა საქართველოში“.

კვლევა ჩატარდა შემდეგ სკოლებში:

თბილისის ექვს საჯარო სკოლაში ('№166, № 100, '№161, '№ 180 , '№ და '№ საჯარო სკოლები);


ქ. რუსთავის სამ საჯარო სკოლასა (№ 23, **№ 16** და № 13);

ხონის სამ საჯარო სკოლასა ხონის სამ სკოლასა (**№ 1, № 2 და № 3 სკოლის**);

ქ. გორის ოთხ კერძო სკოლაში (AC School, ქართულ-ამერიკული სკოლა, წმ. გიორგის სახელობის სკოლა და თამარიონი).

იხილეთ გამოკითხულ მოსწავლეთა რაოდენობა ოთხივე რეგიონის მასშტაბით დიაგრამა Nr. 3-ზე.

დიაგრამა Nr. 3.



როგორც დიაგრამა Nr. 3-დან ჩანს, რეგიონების მიხედვით, გამოკითხულ მოსწავლეთა რაოდენობა შემდეგნაირად გადანაწილდა:

გორი - 169 მოსწავლე;

რუსთავი - 261 მოსწავლე;

თბილისი - 228 მოსწავლე;

ხონი - 146 მოსწავლე.

6.2. კვლევის მეთოდები და პროცედურა

კვლევაში გამოყენებულია:

1. გერმანიაში აპრობირებული და ქართველ პოპულაციაზე ადაპტირებული ინტერესების ტესტი.
2. მიუნხენის პიროვნული ტესტი. აღნიშნული ინსტრუმენტის კონცეპტუალური ჩარჩო ეყრდნობა „დიდი ხუთეულის“ პიროვნული ნიშნების განზომილებებს.

3. მოსწავლეთა ინტერვიურებისა და გამოკითხვის მეთოდები.

აპრობირებული ტესტები შევიტანეთ 2017 წელს საქართველოს ოთხი რეგიონის: თბილისის, რუსთავის, გორისა და ხონის სკოლების მე-9, მე-10 და მე-11 კლასის მოსწავლეები. საერთო ჯამში, 804 მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა ტესტების შევსებაში მონაწილეობა.

მოსწავლეებს დაევალათ მოცემული ინტერესების გაცნობა და მათთან თანხვედრაში არსებული ინტერესების შემოხაზვა. დათვლილი ინტერესების შეჯამების საფუძველზე ტესტი იძლევა იმ პროფესიების ჩამონათვალს (მიმართულებების მიხედვით), სადაც მოსწავლეებს, უდიდესი ალბათობით, ექნებათ წარმატება. ინტერესების ტესტის უმთავრესი დანიშნულება იმაშია, რომ მოსწავლეები თავად აანალიზებენ საკუთარ ინტერესებს, ძლიერ და სუსტ მხარეებს, მისწრაფებებსა და მიდრეკილებებს, ერკვევიან თავიანთ შესაძლებლობებში, საბოლოოდ კი ეცნობიან თავიანთ შესაძლებლობებთან ახლოს მდგომ, მომავლის რელევანტურ პროფესიებს, რომლებზეც იქამდეც უფიქრიათ. თუმცადა შესაძლოა ასევე, რომ ტესტის გზით ისეთი სფეროები დაუფიქსირდათ, რომლებზეც აქამდე ყურადღება არ გაუმახვილებიათ და მხოლოდ ტესტის შევსებისა და შედეგების გაცნობის შემდეგ პირველად მოუწიათ კონკრეტულ პროფესიებსა და მიმართულებებზე დაფიქრება.

ტესტის შევსება და საბოლოო შედეგების შეჯამება დაახლოებით 15-20 წუთი გრძელდება. პროცესი არ არის დამძლევი, მოსწავლეებმა საკმაო ხალისითა და ენთუზიაზმით მიიღეს მის შევსებაში მონაწილეობა.

განსაკუთრებით მიმზიდველი აღმოჩნდა ინტერესებთან შესაბამისობაში არსებული პროფესიების „აღმოჩენის“ პროცესი. ზოგისთვის სასიხარულო, რადგან აქამდეც უფიქრიათ ამ პროფესიებზე და ტესტის შედეგად დადასტურდა მათი ინტერესები. ზოგ შემთხვევაში კი აღმოჩნდა, რომ ამ მიმართულებებზე ჯერ არ მიუმაართავთ ყურადღება,

თუმცა მოცემული რეზულტატების გზით იმ კონკრეტულ შემთხვევაში მოუწიათ ამ სფეროებზე დაფიქრება და რამდენიმე სასურველის შემოხაზვა.

6.3 კვლევის შედეგების აღწერა და ანალიზი

შედეგები დამუშავდა მონაცემთა სტატისტიკური პროგრამის SPSS-ის დახმარებით. გამოვიყენეთ შემდეგი აღწერითი და დასკვნითი სტატისტიკის ოპერაციები: პირსონის კორელაცია, Independent Samples T Test .

6.3.1. ინტერესებსა და პროფესიებს შორის ურთიერთმიმართება

ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო, ინტერესების თვითსაკვლევ ტესტის მიხედვით დაგვედგინა: რა ტიპის კორელაცია¹¹ არსებობს ინტერესების სფეროსა და პროფესიებს შორის; რომელ პროფესიებში რომელი ინტერესთა სფერო განაპირობებს მეტ წარმატებასა და კარიერულ წინსვლას; რომელი პროფესიების არჩევან უფრო უპრიანი მოსწავლეთათვის, რომელთაც მხოლოდ კონკრეტული სფეროს ინტერესები აქვთ.

შესაბამისად, კვლევის ფარგლებში დავადგინეთ, რა მიმართებაა გარკვეულ პროფესიებსა და მოსწავლეთა ინტერესებს შორის; ინტერესთა რომელი სფერო რომელ პროფესიათა ჩამონათვალში გვაძლევს დადებით კორელაციას. კვლევის შედეგების ანალიზი გვაძლევს შესაძლებლობას, დავასკვნათ, მოსწავლეები, რომელთაც კონკრეტული სფეროსადმი ინტერესები ამოძრავებთ, რომელ პროფესიებში იქნებიან უფრო წარმატებულნი, სად შეძლებენ საკუთარი ძლიერი მხარეებისა და პოტენციალის მეტად წარმოჩენას და სად გაუმკლავდებიან უფრო ადვილად პროფესიულ გამოწვევებს.

¹¹სტატისტიკურ დამოკიდებულებას ორი ცვლადის მნიშვნელობათა ემპირიულ განაწილებებს შორის კორელაცია ეწოდება. დურგლიშვილი, ნინო. 2006. *სოციალურ მონაცემთა ანალიზი*. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.

შესაბამისად, კვლევის შედეგების შეჯამება დაგვეხმარება იმის დადგენაში, თუ რომელი ინტერესი რომელ პროფესიაში განაპირობებს უკეთეს პროფესიონალად ჩამოყალიბებისა და უკეთეს კვალიფიციურ კადრად შედგომის ფაქტორს.

1. მოსწავლეთა ინტერესები მონაცემებთან და ნივთებთან დაკავშირებით:

დადებითი კორელაცია¹² აღმოჩნდა მონაცემებთან და ნივთებთან მიმართებით ადამიანის ინტერესსა და შემდეგ პროფესიებს შორის: თვალის ოპტიკოსი, ბანკში გაყიდვების მენეჯერი, სადაზღვევო კომპანიის გაყიდვების ოფიცერი, წიგნების გამომცემელი, საჯარო მოხელე, ექიმი, საფინანსო მოხელე, საგადასახადო საქმეების მრჩეველი, ეკონომისტი, ფარმაცევტი და ნოტარიუსი ($r^{13} = 817$, $p < 01$).

როგორც აღმოჩნდა, მოსწავლეები, რომელთაც აქვთ ინტერესი მონაცემებთან და ნივთებთან დაკავშირებით, წარმატებულები იქნებიან ისეთ პროფესიებშიც, როგორებიცაა: ბოტანიკოსი, ინჟინერი, ფარმაცევტი, მათემატიკოსი, ინფორმატიკოსი, სტატისტიკოსი, არქეოლოგი, საჯარო მართვის სპეციალისტი, სოციოლოგი, ეკონომისტი ($r = 825$, $p < 01$).

ამ ინტერესის სფეროს წარმომადგენლების სასურველი პროფესიები გადანაწილდა ასევე ისეთ სფეროებზე, როგორებიცაა: არქიტექტორი, სივრცის დიზაინერი, ოქრომჭედელი, დეკორატორი, თეატრის კოსტიუმების მხატვარი, ფოტოგრაფი, გრაფიკოსი, მედიის სპეციალისტი, დიზაინერი ($r = 796$, $p < 01$).

¹² კორელაციის კოეფიციენტის დადებითი მნიშვნელობა ორ ცვლადს შორის პირდაპირპროპორციული დამოკიდებულების არსებობას მიუთითებს, ხოლო უარყოფითი მნიშვნელობა - უკუპროპორციული დამოკიდებულების არსებობას. დურგლიშვილი, ნინო. 2006. *სოციალურ მონაცემთა ანალიზი*. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.

¹³ პირსონის კორელაციის r კოეფიციენტი ზომავს რაოდენობრივ ცვლადებს შორის წრფივი კავშირის სიძლიერეს და ამ კავშირის მიმართულებას. კისი, ზ. (2008). *სტატისტიკა სოციალურ მეცნიერებებში*. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

ასევე დადებითი კორელაცია დადასტურდა ამ ინტერესის სფეროსა და შემდეგ პროფესიებს შორის: არქივარიუსი, საქმის მწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, მთარგმნელი, უცხო ენების სპეციალისტი, რესტავრატორი, ლექტორი, ჟურნალისტი, კულტუროლოგი, მედიის სპეციალისტი ($r = 755$, $p < 01$).

მოსწავლეები, რომელთაც მონაცემებისა და ნივთების მიმართებით აქვთ ინტერესები, როგორც კვლევამ ცხადყო, კარგი ბიბლიოთეკარები, ადმინისტრატორები, ოფის მენეჯერები, ლაბორანტები, კბილის ტექნიკოსები, ასისტენტები (საბუნებისმეტყველო, მედიცინის მიმართულებით), ტექნიკური პროდუქტების დიზაინერები იქნებიან ($r = 793$, $p < 01$).

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ინტერესის სფეროსთან ყველაზე მაღალი დადებითი კორელაცია გამოიკვეთა პროფესიული განათლების ისეთ პროფესიებთან, როგორებიცაა: სატვირთო მანქანების მექატრონიკი, ელექტრიკოსი, მექანიკოსი, გარემოს დაცვის ტექნიკოსი და უმაღლესი განათლების შემდეგ პროფესიებთან: ინჟინერი, მფრინავი, ინფორმატიკოსი, დარგობრივი ინფორმატიკოსი ($r = 866$, $p < 01$).

2. მოსწავლეთა ინტერესები ადამიანების მიმართ:

რაც შეეხება ადამიანების მიმართ მოსწავლეთა ინტერესების სფეროს, ყველაზე მაღალი დადებითი კორელაცია გვაქვს შემდეგ პროფესიებთან:

სამედიცინო მოხელე, ბანკის მოხელე, ტურისტული სააგენტოს კონსულტანტი, დისტრიბუტორი, სადაზღვევო კომპანიის გაყიდვების ოფიცერი, ადვოკატის დამხმარე, სასამართლო მოხელე, საქონელმცოდნე ($r = 899$, $p < 01$).

მოსწავლეები, რომელთაც ადამიანების მიმართ აქვთ ინტერესი, როგორც ჩანს, საკმაოდ წარმატებული თვალის ოპტიკოსები, ბანკში გაყიდვების მენეჯერები, სადაზღვევო კომპანიის გაყიდვების ოფიცრები, წიგნების გამომცემლები, საჯარო მოხელეები,

ექიმები, საფინანსო მოხელეები, საგადასახადო საქმეების მრჩეველები, ფარმაცევტები, ნოტარიუსები იქნებიან ($r = 877$, $p < 01$).

როგორც აღმოჩნდა, ამ

ინტერესთა სფეროს მქონე მოსწავლეები ძალიან წარმატებულები იქნებიან ისეთ პროფესიებში, როგორებიცაა: ხელოვანი, რეჟისორი, მასწავლებელი, კულტურის პედაგოგი, მუზეუმის გიდი-პედაგოგი, კულტუროლოგი, თარჯიმანი, ლიტერატურის მთარგმნელი, პედაგოგი, წიგნებით მოვაჭრე, მედიის სპეციალისტი.

($r = 870$, $p < 01$)

კვლევის შედეგების თანახმად, ახალგაზრდები, რომელთაც ადამიანებთან მიმართებით აქვთ ინტერესები, ბოლომდე შეძლებენ საკუთარი შესაძლებლობებისა და პოტენციალის რეალიზებას ისეთი პროფესიებით, როგორებიცაა: ექიმი, ფსიქოლოგი, პედაგოგი, უმაღლესი სასწავლებლის მასწავლებელი, ანთროპოლოგი, გენეტიკის მკვლევარი, ფილოსოფოსი, პუბლიცისტი, სოციოლოგი, კომუნიკაციის მკვლევარი.

($r = 845$, $p < 01$)

3. მოსწავლეთა ინტერესები მეცნიერებასა და კვლევასთან მიმართებაში:

ამ ინტერესის სფეროს მქონე მოსწავლეებს დადებითი კორელაცია დაუდასტურდათ შემდეგ პროფესიებთან:

ბუნებისმეტყველი, ინჟინერი, მათემატიკოსი, ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი, სტატისტიკოსი, არქეოლოგი, საჯარო მართვის სპეციალისტი, სოციოლოგი, ეკონომისტი, ფარმაცევტი ($r = 890$, $p < 01$).

საინჟინრო მიმართულებები: მანქანათმშენებლობა, ელექტროტექნიკოსი, სამშენებლო საჯარო ნავიგაციის ტექნიკოსი, სისტემის ტექნიკოსი, ბიო-სამედიცინო ტექნიკოსი, მიკროსისტემის ტექნიკოსი, ფიზიკოსი ($r = 864$, $p < 01$).

საინტერესო კორელაცია გამოიკვეთა ამ ინტერესების სფეროსა და შემდეგ პროფესიებს შორის: თეატრმცოდნე, ლიტერატორი, ისტორიკოსი, ხელოვნებათმცოდნე, კულტუროლოგი, ენათმეცნიერი, არქეოლოგი, მუსიკათმცოდნე, დიზაინერი.

($r = 869$, $p < 01$).

როგორც კვლევებმა აჩვენა, მოსწავლეები, რომელთაც ინტერესები გააჩნიათ მეცნიერებასა და კვლევასთან მიმართებით, მედიის კარგი სპეციალისტები, ჟურნალისტები, პუბლიცისტები, ფილოსოფოსები, ფილოლოგები, ეთნოლოგები, მედიის მეცნიერები, რედაქტორები, დარგობრივი წიგნის ავტორები გამოვლენ.

($r = 836$, $p < 01$).

4. მოსწავლეთა ინტერესები ორგანიზებისა და ადმინისტრირების მიმართ

მოსწავლეებს, რომელთაც მაღალი ინტერესი აქვთ ორგანიზებისა და ადმინისტრირების მიმართულებით, მაღალი კორელაცია დაუდასტურდათ ისეთ პროფესიებთან, როგორებიცაა:

ბიბლიოთეკარი, არქივარიუსი, წიგნების გამომცემელი, რესტავრატორი, მედიის ტექნოლოგი, წიგნის დამკაბადონებელი ($r = 858$, $p < 01$).

საინტერესოა, რომ ეს ინტერესის სფერო დადებით კორელაციაშია ისეთი პროფესიული განათლების პროფესიებთანაც, როგორებიცაა: დურგალი, სტილისტი, კონდიტერი, მკერავი, დიზაინერი, ვიზუალური მარკეტინგის სპეციალისტი, ოქრომჭედელი, მედიის სპეციალისტი, მედიის ტექნოლოგი ($r = 857$, $p < 01$).

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ყველაზე მაღალი კორელაცია ამ სფეროსი დაფიქსირდა შემდეგ საქმიანობებთან: სამედიცინო მოხელე, ბანკის მოხელე, ტურისტული სააგენტოს კონსულტანტი, დისტრიბუტორი, სადაზღვევო კომპანიის გაყიდვების ოფიცერი, ადვოკატის დამხმარე, სასამართლო მოხელე, საქონელმცოდნე ($r = 908$, $p < 01$).

ასევე დადებითი კორელაცია გვაქვს შემდეგ პროფესიებთან: არქივარიუსი, ბიბლიოთეკარი, ადმინისტრატორი, ოფისმენეჯერი, კბილის ტექნიკოსი, ლაბორანტი, ასისტენტი (საბუნებისმეტყველო, მედიცინის მიმართულებით), არქიტექტორი, ტექნიკური პროდუქტების დიზაინერი ($r = 873$, $p < 01$).

5. მოსწავლეთა ინტერესები კრეატიული საქმიანობის მიმართ:

კრეატიული საქმიანობების მიმართ ინტერესებს ყველაზე მაღალი კორელაცია დაუდასტურდა შემდეგ პროფესიებთან: არქიტექტორი, სივრცის დიზაინერი, ოქრომჭედელი, დეკორატორი, თეატრალური კოსტიუმების მზატვარი, ფოტოგრაფი, გრაფიკოსი, მედიის სპეციალისტი, დიზაინერი ($r = 898$, $p < 05$).

ტესტის შედეგების მიხედვით, კრეატიული და შემოქმედებითი მოსწავლეები კარგი ხელოვანები, უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებლები, მუსიკოსები, გამომცემლები, ჟურნალისტები, მწერლები, ლიტერატურის კრიტიკოსები, ხელოვნების კრიტიკოსები, რეჟისორები და დრამატურგები გამოვლენ ($r = 895$, $p < 05$).

კრეატიული ინტერესების სფერო დადებით კორელაციაშია ასევე შემდეგ საქმიანობებთან: მკვლევარ-ინჟინერი, არქიტექტორი, კომპიუტერ-გრაფიკოსი, კომპიუტერ-ლინგვისტი, მედიის ტექნიკოსი, აბრებისა და რეკლამების სპეციალისტი, ფოტოგრაფი, დიზაინერი ($r = 883$, $p < 05$).

საგულისხმოა, რომ პროფესიული განათლების ისეთი სფეროებისათვის, როგორებიცაა: დურგალი, სტილისტი, კონდიტერი, მკერავი, დიზაინერი, ვიზუალური მარკეტინგის სპეციალისტი, ოქრომჭედელი - ასევე კრეატიული საქმიანობის მიმართ ინტერესი ყოფილა მნიშვნელოვანი ($r = 875$, $p < 05$).

ამ ინტერესის სფეროს მქონე მოსწავლეებს შეგვიძლია ვურჩიოთ ისეთი პროფესიები, როგორებიცაა: თეატრმცოდნე, ლიტერატორი, ისტორიკოსი, ხელოვნებათმცოდნე, კულტუროლოგი, ენათმეცნიერი, მუსიკათმცოდნე ($r = 878$, $p < 05$).

6. მოსწავლეთა ინტერესები სოციალური საქმიანობების მიმართ:

რაც შეეხება, ამ სოციალურ საქმიანობებთან დაკავშირებულ ინტერესების სფეროსა და რელევანტურ პროფესიებს შორის კორელაციას შემდეგნაირად გადანაწილდა:

ყველაზე მაღალი კორელაცია გვაქვს ისეთ პროფესიებთან, როგორებიცაა: მასწავლებელი, ექიმი, სასულიერო პირი, სოციალ-პედაგოგი, აღმზრდელი, ერგოთერაპევტი, მოსამართლე, პოლიციელი, პროფესიული კონსულტანტი, ფსიქოლოგი, ფსიქოთერაპევტი, ექთანი ($r = 894$, $p < 05$).

დადებითი კორელაცია დადასტურდა ასევე შემდეგ საქმიანობებთან: სადაზღვევო კომპანიის მოხელე, ექთანი, მოხუცებულთა მომვლელი, მკურნალი ($r = 883$, $p < 05$).

სოციალური საქმიანობების მოყვარული მოსწავლეები წარმატებული მუსიკის თერაპევტები, ხელოვნების თერაპევტები, სპეცპედაგოგები გამოვლენ ($r = 878$, $p < 05$).

ტესტის შედეგების მიხედვით, ამ ინტერესების მქონე მოსწავლეები წარმატებულები იქნებიან ისეთ საქმიანობებში, როგორებიცაა: თეოლოგია, ფსიქოლოგია, მედიის პედაგოგიკა, მუზეუმის გიდობა-პედაგოგობა, ეთნოლოგია, გამომცემლობა

($r = 875$, $p < 05$).

7. მოსწავლეთა ინტერესები ტექნიკის მიმართ:

ტესტის შედეგებმა გვიჩვენა, რომ ტექნიკის მიმართ ინტერესი ყველაზე მაღალ კორელაციაშია ისეთ საქმიანობებთან, როგორებიცაა: სატვირთო მანქანების მექატრონიკი, ელექტრიკოსი, მექანიკოსი, მფრინავი, ინჟინერი, ინფორმაციული

ტექნოლოგიების სპეციალისტი, გარემოს დაცვის ტექნიკოსი, დარგობრივი ინფორმატიკოსი ($r = 887$, $p < 05$).

ამ ინტერესთა სფეროს დადებითი კორელაცია დადასტურდა შემდეგ პროფესიებთანაც: მკვლევარი, ინჟინერი, არქიტექტორი, კომპიუტერ-გრაფიკოსი, კომპიუტერ-ლინგვისტი, მედიის ტექნიკოსი, აბრეზისა და რეკლამების სპეციალისტი, ფოტოგრაფი, დიზაინერი ($r = 834$, $p < 05$).

ასევე დადებითი კორელაცია აღმოჩნდა ტექნიკის სფეროს ინტერესსა და შემდეგ პროფესიებს შორის: საინჟინრო მიმართულებები: მანქანათმშენებლობა, ელექტროტექნიკოსი, სამშენებლო, საჰაერო ნავიგაციის ტექნიკოსი, სისტემის ტექნიკოსი, ბიო-სამედიცინო ტექნიკოსი, ფიზიკოსი ($r = 812$, $p < 05$).

პროფესიებს, როგორებიცაა: ოპტიკოსი, სმენის ტექნოლოგიების სპეციალისტი, ორთოპედ-ტექნიკოსი, მედიცინის ტექნიკური ასისტენტი, დანტისტი, რადიოლოგი, ქირურგი, ინჟინერი- დადებითი კორელაცია აქვს ტექნიკის მიმართ ინტერესებთან ($r = 808$, $p < 05$)

8. მოსწავლეთა ინტერესები ლიტერატურის, ხელოვნებისა და მედიის მიმართ:

როგორც კვლევის შედეგები ცხადყოფს, ამ ინტერესის სფეროს ყველაზე მაღალი დადებითი კორელაცია აქვს შემდეგ საქმიანობებთან: ხელოვანი, რეჟისორი, მასწავლებელი, კულტურის პედაგოგი, მუზეუმის გიდი-პედაგოგი, კულტუროლოგი, თარჯიმანი, ლიტერატურის მთარგმნელი, წიგნებით მოვაჭრე, მედიის სპეციალისტი ($r = 904$, $p < 05$).

ასევე დადებითი კორელაციაა ხელოვნებით, ლიტერატურითა და მედიით დაინტერესებასა და შემდეგ პროფესიებს შორის: ლექტორი, მუსიკოსი, გამომცემელი, ჟურნალისტი, მწერალი, ლიტერატურის კრიტიკოსი, ხელოვნების კრიტიკოსი, რეჟისორი, დრამატურგი ($r = 900$, $p < 05$).

საქმიანობები, როგორებიცაა: ბიბლიოთეკარი, არქივარიუსი, წიგნების გამომცემელი, რესტავრატორი, მედიის ტექნოლოგი, წიგნის დამკაზადონებელი ასევე დადებით კორელაციაშია ზემოთ აღნიშნული სფეროს ინტერესებთან.

და ბოლოს, როგორც კვლევის შედეგები გვამცნობს, ლიტერატურის, ხელოვნებისა და მედიის მიმართ ინტერესი დადებითი კორელაციით გამოირჩევა შემდეგ პროფესიებთანაც: არქივარიუსი, საქმის მწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, მთარგმნელი, უცხო ენების სპეციალისტი, რესტავრატორი, ლექტორი, ჟურნალისტი, კულტუროლოგი, მედიის სპეციალისტი ($r = 866$, $p < 05$).


რაც შეეხება ინტერესების თვითგამოკვლევის ტესტის შედეგებს სასურველი პროფესიებისა და მიმართულებების მიხედვით, საბოლოო შედეგები ასე გადანაწილდა:

ყველაზე სასურველ პროფესიებად შემდეგი მიმართულებები დასახელდა:

1. ექიმი
2. უმაღლესი სასწავლებლის მასწავლებელი
3. მოსამართლე
4. ფსიქოლოგი
5. სოციალ-პედაგოგი
6. პოლიციელი


სასურველი პროფესიების ჩამონათვალი ოთხივე რეგიონის მასშტაბით იხილეთ დიაგრამა 3-ზე

დიაგრამა 18.



პროფესიული განათლების პროფესიათაგან ნაკლებ სასურველი საქმიანობების წილი მოვიდა შემდეგ პროფესიებზე. იხილეთ შედეგები სამივე ქალაქის მიხედვით დიაგრამა 19-ზე.

დიაგრამა 19.




ყველაზე ნაკლებ სასურველ სასურველი პროფესიების წილი კი შემდეგ მიმართულებებზე მოვიდა:

1. სატვირთო მანქანების მექანიკოსი
2. ელექტრიკოსი
3. მფრინავი
4. ინჟინერი
5. გარემოს დაცვის ტექნიკოსი
6. დარგობრივი ინფორმატიკოსი

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გორში, სადაც მოსწავლეები პროექტის ფარგლებში ჩართულნი იყვნენ პროფორიენტაციის მიმართულებით სხვადასხვა აქტივობებში; რომელთაც

გაიარეს სამდღიანი ჰოსპიტირება და პრაქტიკა სხვადასხვა საწარმოსა და კომპანიაში, მათი დაინტერესება მნიშვნელოვნად დიდია პროფესიული მიმართულებით არსებული საქმიანობების მიმართ, ვიდრე დანარჩენი ორი რეგიონის მოსწავლეებისა. კვლევის შედეგები იხილეთ დიაგრამა 20-ზე.

დიაგრამა 20.



6.3.2. პიროვნულ ნიშნებსა და ინტერესებს შორის კავშირი

ჩვენთვის ასევე ნიშანდობლივი იყო კვლევის პროცესში იმის დადგენა, თუ რა კორელაციაა მოსწავლეთა პიროვნულ მახასიათებლებსა და მათ ინტერესებს შორის და რომელი პიროვნული ნიშანი რომელ ინტერესთან გვაძლევს დადებით კორელაციას.

როგორც კვლევის შედეგებმა ცხადყო, მოსწავლეებს, რომელთაც ინტერესი მონაცემებსა და ნივთებთან დაკავშირებით აქვთ, ფრუსტრაციასა და რიგიდულობასთან აღმოაჩნდათ დადებითი კორელაცია. ფრუსტრაცია ($r = 151, p < 01$); რიგიდულობა ($r = 173, p < 01$). ანუ რაც უფრო მაღალია მოსწავლეთა ინტერესი მონაცემებსა და ნივთებთან მიმართებით, მით უფრო ტოლერანტულები არიან ისინი ფრუსტრაციისადმი, მით უფრო ადვილად უმკლავდებიან იმედგაცრუებებს, ადვილად აღწევენ თავს გამოუვალ მდგომარეობებსა და უფრო პრინციპულები არიან. ეს მოსწავლეები უფრო მეტი სიხისტით, ჩარჩოებში მოქცეული ხედვითა და უკომპრომისო გადაწყვეტილებებით გამოირჩევიან.

კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ მოზარდებს, რომელთაც ინტერესთა სფერო აღნიშნებათ ადამიანების მიმართ, დადებითი კორელაცია აღმოაჩნდათ ექსტრავერსიასთან ($r = 315, p < 01$), ფრუსტრაციისადმი ტოლერანტობასა ($r = 159, p < 01$) და რიგიდულობასთან ($r = 181, p < 01$). ანუ რაც უფრო მაღალია მოსწავლეთა ინტერესი ადამიანებთან დაკავშირებით, მით უფრო ექსტრავერტები არიან ისინი; მით უფრო მაღალია მათი ფრუსტრაციისადმი ტოლერანტობაც; მით უფრო ადვილად უმკლავდებიან იმედგაცრუებებს და ნაკლებად იკეტებიან საკუთარ თავში.

განვიხილოთ, როგორ გადანაწილდა მოსწავლეთა პიროვნული მახასიათებლებისა და ისეთ ინტერესის სფეროს შორის კორელაცია, როგორც გახლავთ ინტერესი მეცნიერებასა და კვლევასთან მიმართებით. ამ ინტერესის მქონე მოსწავლეები ფრუსტრაციისადმი ყველაზე მაღალი ტოლერანტობით გამოირჩევიან ($r = 207, p < 01$) და საკმაოდ ექსტრავერტებიც არიან ($r = 193, p < 01$).

როგორც აღმოჩნდა, მოსწავლეებს, რომელთა ინტერესები იკვეთება ისეთ სფეროზე, როგორცაა დაინტერესება **ორგანიზებისა და ადმინისტრირების** მიმართ, **რიგიდულობასთან** ყველაზე მაღალი დადებითი კორელაცია დაუფიქსირდათ ($r = 293$, $p < 01$). ასევე აღმოჩნდა, რომ **ორგანიზებისა და ადმინისტრირების** მოყვარული ახალგაზრდები ფრუსტრაციისადმი მაღალი ტოლერანტობით გამოირჩევიან ($r = 247$, $p < 01$).

როგორც აღმოჩნდა, **კრეატიული საქმიანობის** მიმართ მოსწავლეების ინტერესი დადებით კორელაციაშია შემდეგ პიროვნულ მახასიათებლებთან: **ექსტრავერსიასთან** ($r = 210$, $p < 05$), **ფრუსტრაციისადმი ტოლერანტობასთან** ($r = 196$, $p < 05$), **ეზოთერულ მიდრეკილებასა** ($r = 182$, $p < 05$) და **მოტივაციასთან** ($r = 182$, $p < 05$). როგორც კვლევებით დასტურდება, მოსწავლეებს, რომელთაც კრეატიული საქმიანობები აინტერესებთ, მისტიკური, ფილოსოფიური მიდრეკილებები აქვთ, ექსტრავერტები არიან, ოპტიმისტები, ენერგიულები და მოტივირებულები არიან, უყვართ ადამიანებთან ურთიერთობა, ადვილად უმკლავდებიან სირთულეებს.

აღმოჩნდა, რომ მოსწავლეები, რომლებიც **სოციალურ საქმიანობების** მიმართ ინტერესით გამოირჩევიან, საკმაოდ **რიგიდულები** ($r = 225$, $p < 05$) და, ამასთან, **ექსტრავერტები** ($r = 205$, $p < 05$) არიან. ისინი **ფრუსტრაციისადმი მაღალი ტოლერანტობითაც** გამოირჩევიან ($r = 177$, $p < 05$).

აღსანიშნავია, რომ **უარყოფითი კორელაცია** გამოვლინდა მოსწავლეების ტექნიკისადმი ინტერესსა და **იზოლაციის ტენდენციას** შორის ($r = -133$, $p < 05$). როგორც ჩანს, რაც უფრო მაღალია მოსწავლეთა ინტერესი ტექნიკის მიმართ, მით უფრო ნაკლებია მათი ტენდენცია იზოლაციისადმი. ისინი უფრო მეტად მარტო ყოფნას ანიჭებენ უპირატესობას, თავშეკავებულები და დინჯები არიან. სამაგიეროდ, ტექნიკის მოყვარულ ახალგაზრდებს დადებითი კორელაცია აქვთ **ექსტრავერსიასთან** ($r = 151$, $p < 05$) და ისინი **ფრუსტრაციისადმი ტოლერანტულებიც** არიან ($r = 182$, $p < 05$).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ, ზოგადად, ინტერესების სფეროებსა და შესაბამის პიროვნულ მახასიათებლებს შორის ყველაზე მაღალი დადებითი კორელაცია დადასტურდა მოსწავლეების ლიტერატურის, ხელოვნებისა და მედიის მიმართ ინტერესსა და ექსტრავერსიას შორის ($r = 316, p < 05$). ასევე ნიშანდობლივია ისიც, რომ, რაც უფრო მაღალია მოსწავლეთა ინტერესი ხელოვნების, ლიტერატურისა და მედიის მიმართ, მით უფრო მაღალტოლერანტულობას ამჟღავნებენ ისინი ფრუსტრაციისადმი ($r = 151, p < 05$). ანუ როგორც კვლევის შედეგები ცხადყოფს, რაც უფრო მაღალია მოსწავლეთა ინტერესი ლიტერატურის, ხელოვნებისა და მედიისადმი, მით მეტად სოციალურები არიან ისინი; უყვართ ადამიანებთან ურთიერთობა, უპირატესობას ანიჭებენ საზოგადოებრივ შეკრების ადგილებს, აქტიურები, მხიარულები, ოპტიმისტები და ენერგიულები არიან.

დასკვნები

“მე ვიცი სახილველი, ზღვაზე უფრო ღრმა და ლამაზი,

ვარსკვლავებიან ცაზე უფრო დიდებული.

ეს ახალგაზრდების სულის სიღრმეა“

პეტრარკა

ქვეყანაში არსებული სიტუაციის ანალიზის, ჩატარებული კვლევებისა და აღნიშნული საჭიროებების გათვალისწინებით, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ საქართველოში ნამდვილად დგას დღის წესრიგში პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის სისტემური ხედვის ჩამოყალიბებისა და, შესაბამისად, საჭირო მექანიზმების შემუშავება-დანერგვის აუცილებლობა. საქართველოში არსებული გამოწვევებისა და დაკვირვებების შედეგად გამოვლინდა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერებების სამინისტროს მიერ აქამდე პროფორენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სერვისის ჩამოყალიბების მიზნით განხორციელებული აქტივობები იყო ფრაგმენტული და არასისტემური. საჭიროა, შეიქმნას პროფორენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მდგრადი და ჰოლისტური სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების, ეკონომიკის, ბიზნესისა და კერძო სექტორების ადრეულ დაკავშირებას, რაც, თავისთავად, მნიშვნელოვანი ბაზისი იქნება მოსწავლეთათვის პროფესიული ორიენტაციის დაგეგმვისა და იმპლემენტაციის პროცესში.

კვალიფიციური პროფესიული კონსულტანტების მხრიდან გაწეული კონსულტაცია დაეხმარება მოსწავლეებს მომავლის პროფესიების ინფორმირებული არჩევანის გაკეთებისას. როგორც კვლევის შედეგებმა აჩვენა, მნიშვნელოვანია, მოსწავლეთა მხარდაჭერა მათი ინტერესების თვითგამოკვლევასა და გაცნობიერებაში;

დისერტაციაზე მუშაობისას, ქვეყანაში არსებული სიტუაციური ანალიზის დასადგენად, კვლევა ჩატარდა ოთხი მიმართულებით და მოიცვა შემდეგი საფეხურები: პოლიტიკური, ორგანიზაციული, საწარმოო და ინდივიდუალური. პოლიტიკურ, ორგანიზაციულ და საწარმოო დონეებზე გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის მეთოდი და ჩაღრმავებული ინტერვიუს სახით, გამოვკითხეთ სამინისტროები, დამსაქმებელთა ასოციაციები, საერთაშორისო ფონდები. ასევე, სკოლები, უნივერსიტეტები, პროფესიული კოლეჯები, დასაქმების სააგენტოები, პროფესიული კავშირები, საწარმოები და კომპანიები. ინფორმაციის მოძიებისას გამოვიყენეთ ნახევრად სტრუქტურირებული ჩაღრმავებული ინტერვიუ სკოლის დირექტორებთან, საუნივერსიტეტო პროგრამების მიმართულებების ხელმძღვანელებთან, ხელმძღვანელ პირებთან, უმაღლესი რგოლის მენეჯერებთან. მეოთხე, ინდივიდუალურ დონეზე კი გამოვიყენეთ რაოდენობრივი კვლევის მეთოდი და კითხვარების გზით, გამოვკითხეთ სკოლის მოსწავლეები, პროფესიული კოლეჯის სტუდენტები, მშობლები და პედაგოგები.

ინტერესების თვითსაკვლევი ტესტისა და პიროვნული მახასიათებლების კვლევა ჩატარდა ცალკე ძირითადი კვლევის სახით და გამოვკითხეთ საქართველოს ოთხი რეგიონის - თბილისის, რუსთავის, ხონისა და გორის მოსწავლეები. რაოდენობრივი კვლევის მეთოდის გზით, სულ გამოიკითხა 804 მოსწავლე, მათგან 476 გოგონა და 328 ბიჭი. რეგიონების მიხედვით გამოკითხულ მოსწავლეთა რაოდენობა შემდეგნაირად გადანაწილდა: გორი -169 მოსწავლე; რუსთავი - 261 მოსწავლე; თბილისი - 228 მოსწავლე, ხონი - 146 მოსწავლე. კვლევაში გამოყენებულია:

გერმანიაში აპრობირებული და ქართველ პოპულაციაზე ადაპტირებული ინტერესების ტესტი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ უკვე აპრობირებული მიუნხენის პიროვნული ტესტი.

შედეგები დამუშავდა მონაცემთა სტატისტიკური პროგრამის SPSS-ის დახმარებით. გამოვიყენეთ შემდეგი აღწერითი და დასკვნითი სტატისტიკის ოპერაციები: პირსონის კორელაცია, Independent Samples T Test.

ჩვენი კვლევის მიზანი იყო მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის ფაზაში მხარდაჭერა. კვლევის შედეგებმა ცხადყო:

- დადებითი კორელაცია არსებობს მოსწავლეთა ინტერესებს, მათ პიროვნულ მახასიათებლებსა და მათი ინტერესების რელევანტურ საქმიანობებს შორის.
- პროფორიენტაციის სხვადასხვა აქტივობებში ჩართული მოსწავლეების ინტერესი პროფესიული საქმიანობების მიმართულებით ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე იმ მოსწავლეებისა, რომელთაც არანაირი პრაქტიკა და ჰოსპიტაცია არ გაუვლიათ შესაბამის საწარმოებსა და კომპანიებში.

ეს მტკიცებულება ეყრდნობა 2016 წლის ნოემბერში პირველად საქართველოში გერმანიის ხელისუფლების მიერ დაფინანსებული პროექტის „პროფესიული განათლება და სატრენინგო პარტნიორობა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში“ ფარგლებში განხორციელებული ქვეპროექტის „სკოლა, როგორც პროფესიის სწავლის ადგილი“, ეგიდით მოსწავლეთა პროფორიენტაციის ხელშესაწყობად შერჩეული გორის კერძო სკოლების მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგებს. აღნიშნული სკოლების მეცხრე-მეთერთმეტე კლასის მოსწავლეებმა სამი დღის განმავლობაში პრაქტიკა/ჰოსპიტაცია გაიარეს სხვადასხვა კომპანიებში. ეს კომპანიები გახლდათ: ჰიპერმარკეტი „გუდვილი“, რესტორანი „ნაჭარმაგევი“, სასტუმრო „ვიქტორია“ და გორის წველების გადამამუშავებელი ქარხანა.

როგორც აღმოჩნდა, ეს მოსწავლეები, როგორც წესი, სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლას აგრძელებენ საქართველოს ფარგლებს შიგნით თუ გარეთ მყოფ ყველაზე მაღალრეიტინგულ უმაღლეს სასწავლებლებში. თუმცა, მას შემდეგ რაც, მოსწავლეებმა გერმანიის მთავრობის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, გაიარეს პრაქტიკა

სხვადასხვა ადგილობრივ საწარმოებსა და კერძო კომპანიაში, მათი ინტერესი პროფესიული განათლების სფეროებისადმი გაცილებით მაღალი აღმოჩნდა, ვიდრე სხვა რეგიონების საჯარო სკოლის მოსწავლეებისა, რომელთაც ამგვარი პრაქტიკის გავლის საშუალება არ ჰქონიათ.

როგორც გამოკითხვამ ცხადყო, საქართველოში სტუდენტთა უმრავლესობა პროფესიებს პრესტიჟულობისა და მაღალი ანაზღაურების გამო ირჩევს. ცხადია, ჩვენი დღევანდელი სოციოპოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით არც ისე ადვილია იმ ახალგაზრდების განსჯა, რომელიც ცხოვრებას პრაგმატულად უყურებს და ისეთ პროფესიებს ირჩევს, რომლებიც შემდგომში მათ მატერიალურ მდგომარეობას უზრუნველყოფს.

სკოლის დირექტორებთან ჩატარებული კვლევის თანახმად, სკოლის დირექტორებიც უჭერენ მხარს პროფორიენტაციის გაკვეთილების სასკოლო კურიკულუმებში შეტანის აუცილებლობას. ამ გზით, უზრუნველყოფილი იქნება ის მოცემულობა, რომ ყველა სკოლის ყველა მოსწავლეს ექნება საკუთარი ინტერესების თვითგამორკვევისა და მომავლის პროფესიების გაცნობიერებულად არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა.

